ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
24-26 იანვარი, ორშაბათი-ოთხშაბათი 2022
№ 007 (16 039) ფასი 1 ₾


ეროვნული ბიბლიოთეკა



კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი დავკარგეთ...

14

# კარგად დავიწყეთ, ასე გავაგრძელოთ!

## ისტორიული დღე ისტორიულ გამარჯვებად იქცა



2



3

## ფეხბურთი ფეხებზე დაკიდებას ვერ იტანს...



## როცა ეროვნული ლიგის საუკეთესო მოთამაშე გარბის...

თბილისის დინამო ზორან მარუშიჩთან სამართლებრივ დავას იწყებს

4, 6



3

ჯოკერი ცეცაძისთვის ტორპედოს არაბიძის გამოსყიდვა სურს...



6

საბურთალოსა და ვალენსიას შორის სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა!..



13

ბითაძის სუპერმატჩი: ორმაგი დუბლი და რეკორდი...

# ისტორიული დებიუტი ისტორიული გამარჯვების დღედ იქცა!

22.01. გრონინგენი (ნიდერლანდები). მარტინი პლაზა

**3 : 2**

**საქართველო–აზერბაიჯანი**

**გოლები:** 0:1 ვილელა (6), 0:2 ვილელა (7), 1:2 ელისანდრო (10), 2:2 სებისკვერაძე (27), 3:2 თალესი (32-პენ)

**საქართველო:** კუპატაძე - შაგინია, რონინიო, თალესი, ელისანდრო

***სათადარიგოები:*** *ბუკია (მ), ლავთაძე, ვილიანი, თოფურია, კეკელია, თოდუა, სებისკვერაძე, კურტანიძე, ბრუნო პეტრი*

**მწვრთნელი:** ავთანდილ ასათიანი

**აზერბაიჯანი:** კურდოვი, ტიაგო ბოლინა, დე არაუჟო, ოლივეირა ვასურა, ედუარდო

***სათადარიგოები:*** *ფარზალიევი, ვილელა, ჩოვდაროვი, ბაგიროვი, ატაევი, აჰმედი*

**მწვრთნელი:** ალესიო

**მსაჯები:** ს. პელისიე (საფრანგეთი), დ. მატკოვიჩი (შვეიცარია), ნ. იელიჩი (ხორვატია)

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. ისტორიულ მატჩს **ავთანდილ ასათიანის** გუნდი დანაკლისით შეხვდა - სიმი საიოტი, ბინიო და ვახტანგ ჯვარაშვილი გამოგვაკლდნენ.

მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში არც აზერბაიჯანელები იყვნენ. კოვიდისა და ტრავმების გამო ჩვენი მეზობლებიც რამდენიმე ლიდერების გარეშე დარჩნენ. ნაკრებს დაუბრუნდნენ **ედუარდო** და **რაფაელ ვილელა**, ხოლო თამაშის წინა დღეს, კოვიდის გამო, **გალო** (მცველი) და **როვშან ჰუსეინლიც** (მეკარე) დააკლდათ, ხოლო ტრავმის გამო - **მანეკა.**

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ძლიერი მეტოქე გვყავდა და პირველ ტაიმში დიდ უპირატესობასაც ფლობდა. აზერბაიჯანელები მე-7 წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ - ჯერ კონტრშეტევაზე **ვილელას** გოლით გაიხსნა ანგარიში, რასაც ერთ წუთში მისივე დუბლი მოჰყვა.

საქართველოს ნაკრებმა დიდი ძალებით შეუტია და დიდი უპირატესობაც მოიპოვა. ეს უპირატესობა **ელისანდრომ** ულამაზესი გოლით ანგარიშშიც ასახა - ჩვენი ბრაზილიელი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების პირველი გოლის ავტორი გახდა! უეფას „ტვიტერმა" საქართველოს ნაკრების შემტევის გოლზე დაწერა - „რა დაასრულა - ეს გოლი მთელი ცხოვრება ემახსოვრება!".

იმავე ელისანდრომ, **შაგინიამ, ვილიანმა, თალესმა** და **რონინიომ** სცადეს ანგარიში გათანაბრება, მაგრამ აზერბაიჯანელთა მეკარე **ემინ კურდოვი** შესანიშნავად თამაშობდა. პირველი ტაიმი მეტოქემ 2:1 მოიგო.

მეორე ნახევარში აზერბაიჯანელებმა თამაში გაათანაბრეს, საქართველოს ნაკრებმა კი - ანგარიში. ბურთი მოედნის ცენტრში **შოთა თოფურიამ** ჩაჭრა და წაქცეულმა **არჩილ სებისკვერაძემ** ბურთი მეტოქის კარში შეაგორა - 2:2.

ამის შემდეგ, ჩვენმა გუნდმა ორი ძალიან კარგი შეტევა განახორციელა. აქედან ერთ ეპიზოდში მსაჯი ვალდებული იყო, აზერბაიჯანელთა კარში პენალტი დაენიშნა (**რიზვან ფარზალიევმა** ხელით ითამაშა), მაგრამ... რატომღაც დაინდო ჩვენი მეტოქე.

თუმცა მსაჯმა აზერბაიჯანელთა კარში პენალტი მაინც დანიშნა, თან იმავე ფარზალიევის მიერ ხელით თამაშის გამო. პენალტი **თალესმა** დაარტყა და თამაშის დასრულებამდე 8 წუთით ადრე საქართველოს ნაკრები წინ გაიყვანა - 3:2.

ამის შემდეგ მეტოქე შეტევაში 5 კაცით თამაშობდა, რითაც ჩვენებმა კინაღამ ისარგებლეს - რამდენჯერმე შორიდან ცარიელ კარში სცადეს გატანა, მაგრამ **ბრუნო პეტრისა** და **ვილიანის** დარტყმები კარს სანტიმეტრებში ასცდა.

საქართველოს ნაკრებმა სათავისო ანგარიში შეინარჩუნა და ისტორიული დებიუტი ისტორიული მოგების დღედ აქცია!

მატჩის შემდეგ

## *ავთანდილ ასათიანი*
## მოედანზე ემოციური ფონი იგრძნობოდა... ამ გამარჯვებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს!..

**საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და მოთამაშეებმა გამარჯვების შემდეგ კომენტარეები გააკეთეს. თამაში შეაჯამა აზერბაიჯანელთა თავკაცმაც:**

**ავთანდილ ასათიანი**, საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: *„გილოცავთ! ვიცი, რა სიხარულიც მოუტანა მოგებამ საქართველოს. გვჯეროდა ამ გამარჯვების და არაერთხელ ვთქვი, რომ საწყისი წუთები იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი. ევროპის ჩემპიონატზე პირველად ვასპარეზობდით და ეს ემოციური ფონი მოედანზე იგრძნობოდა. მთავარია, რომ ბიჭებმა ორი გაშვებული გოლის შემდეგ სწრაფად მოახერხეს მობილიზება. გასახდელში ვილაპარაკეთ, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა მეორე ტაიმში. ვფიქრობ, ამ ბიჭებმა დაიმსახურეს და ჩვენთვის ისტორიულ მომენტში პირველი 3 ქულა აიღეს.*

*ამ გამარჯვებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. უნდა ვეცადოთ და შემდეგ თამაშზე გადავერთოთ. ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ძალიან რთული მატჩი გველის და ასპროცენტიანი მობილიზების გარეშე იოლი არ იქნება. ჩემი აზრით, თამაშის სურათი საწყისმა წუთებმა და გაშვებულმა გოლებმა განაპირობა. ვირწმუნეთ, რომ ესეც ჩვეულებრივი თამაშია. ჩვენი გამარჯვება განსაკუთრებული სიურპრიზი არ ყოფილა. ველოდით ამ გამარჯვებას და ამისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. საქმე ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგესთან გვქონდა და მოსაგებად მაქსიმუმის მაქსიმუმი გავაკეთეთ".*

**ირაკლი თოდუა**, საქართველოს ნაკრების წევრი: *„მინდა, ყველას მივულოცო ეს გამარჯვება. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი და ფუტსალის გამარჯვება. ევროპის ჩემპიონატზე საქართველო წარვადგინეთ და ჩვენი სახელი გავიტანეთ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სასტარტო თამაშის მოგება, თუმცა ვაანალიზებთ, რომ ამით მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადავდგით. საოცარი ემოციები იყო, თუმცა ვეცდებით, ხვალიდან შემდეგ თამაშზე მოვახდინოთ კონცენტრირება".*

**შაგინია**, საქართველოს ნაკრების წევრი: *„ასეთ დიდ ტურნირზე თამაში ყოველთვის იყო ჩემი ოცნება - ჩვენი პირველი მატჩის მოგება უბრალოდ წარმოუდგენელია! შევინარჩუნეთ ცივი გონება და დანარჩენი ჩვენი გუნდის კლასმა გადაწყვიტა".*

**ელისანდრო**, საქართველოს ნაკრების წევრი: *„ეს გასაოცარი შეგრძნება! გაიტანო გოლი და დაეხმარო საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე პირველივე შეხვედრის გამარჯვებაში, ამაზე უკეთესი არაფერია!".*

**ალესიო**, აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: *„ძალიან რთული გადასატანია წაგება. ანგარიში გავხსენით და ორი ბურთით დავწინაურდით, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მატჩის წინ მსგავს სიტუაციებზე ვსაუბრობდით, მაგრამ თამაშის განმავლობაში არ ვიყავით საკმარისად კონცენტრირებულები და ამის გამო დავისაჯეთ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩვენზე არ იქნება დამოკიდებული. საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას მატჩის შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ეს თამაში ქართველებმა მოიგეს, ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაგვიჭირდება".*

**სერგო პორძაია**



თალესის ზუსტი პენალტი და გამარჯვების გოლი - 3:2


არჩილ სებისკვერაძე ათანაბრებს ანგარიშს - 2:2



ელისანდრო მეკარესთან პირისპირ და სხვაობას ვამცირებთ - 1:2


ავთანდილ ასათიანი

**D ჯგუფი**

| I ტური | |
|---|---|
| ესპანეთი-ბოსნია | 5:1 |

| II ტური | |
|---|---|
| **ოთხშაბათი, 26 იანვარი** | |
| ბოსნია-საქართველო | 20:30 |
| ესპანეთი-აზერბაიჯანი | 23:30 |

| III ტური | |
|---|---|
| **შაბათი, 29 იანვარი** | |
| აზერბაიჯანი-ბოსნია | 20:30 |
| საქართველო-ესპანეთი | 20:30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალურ თემაზე

# ფეხბურთი ფეხებზე დაკიდებას ვერ იტანს, სხვა შემთხვევაში, დავუბრუნდებით გამგებლების ჩემპიონატს!..

**2021 წლის მონაცემებით ბრაზილიის სერია A მსოფლიოში საუკეთესო ეროვნული ლიგაა, - ასეთია ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) ანალიტიკოსების შეფასება, რომელიც ორგანიზაციის გვერდზე გამოქვეყნდა...**

IFFHS შესაბამის შეფასებებს 1991 წლიდან მოყოლებული ადგენს. აქამდე, ხსენებული ორგანიზაცია, ძირითადად, ევროპის ტოპლიგებს გამოარჩევდა. ესპანეთმა პირველობა 13-ჯერ მოიპოვა, შემდეგ მოდიან იტალია (11), ინგლისი (5) და გერმანია (1).

დღესდღეობით კი პირველ ათეულში შედიან: **1. ბრაზილია, 2. ინგლისი, 3. იტალია, 4. ესპანეთი, 5. საფრანგეთი, 6. პორტუგალია, 7. ნიდერლანდები, 8. გერმანია, 9. არგენტინა, 10. პარაგვაი.**

ტოპ50-ში მოხვდა ევროპის 29 ლიგა, სამხრეთ ამერიკის - 8, აფრიკის - 7, აზიის - 4, ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის - 2.

სიაში სულ 80 საუკეთესო ლიგა დაასახელეს და მათ შორის მოხვდა საქართველოს ეროვნული ლიგაც, თუმცა ჩვენი ჩემპიონატი, IFFHS-ს შეფასებით, 72-ე ადგილზეა. სხვათა შორის, მცირე ზრდა გვაქვს - გასულ წელს 75-ე ადგილზე ვიყავით. სამი საფეხურით დაწინაურება, რა თქმა უნდა, დიდი ვერაფერი შვებაა.

რეიტინგით, საქართველო უსწრებს მხოლოდ არაბთა გაერთიანებული საემიროების, სუდანის, კოსოვოს, ფარერის კუნძულების, ყატარის, ბელარუსის, ჩრდილოეთ მაკედონიისა და ტაილანდის მთავარ ლიგებს.

საერთოდ, ამ ორგანიზაციის სტატისტიკა, ანალიზი და შეფასებები ყოველთვის საკამათო იყო. მაგრამ ჩვენთვის მაინც სასიამოვნო გახლდათ, როცა წლების წინ, გაჭირვებისა და პრობლემების მიუხედავად, ეროვნული ლიგა მსოფლიო რეიტინგში 44-ე ადგილზე იყო და ბევრ ცნობილ ლიგას უსწრებდა.

მაგრამ ჩვენ თავად ხომ ვიცით - გადის წლები და ქართული ლიგა გულშემატკივრებს ვერ ახარებს. მთავარი ბარომეტრი ევროთასებია, სადაც, ჰა და ჰა, პლეი ოფში მოვხვდეთ, ამის მეტს ველავ „ვქაჩავთ" - ვერც დონით, ვერც ფინანსებით და ვერც კვალიფიკაციით.

1964, 1978 და 1981 წლის წარმატებები კარგია, მაგრამ გულშემატკივარი მხოლოდ წარსულით ვერ იცხოვრებს - კლუბების განვითარებისთვის მეტი ფინანსები და სწორი მენეჯმენტია საჭირო. ამ კუთხით, 2022 წელი ოპტიმიზმის საფუძველს არ გვაძლევს. სახელმწიფო დაფინანსებაში არსებული კითხვის ნიშნები და ტოტალიზატორებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გაურკვევლობას კიდევ უფრო აღრმავებს.



უკვე შექმნილია კლუბების გაერთიანება, რომლის მიზანიც ახალი პროფესიული საფეხბურთო კავშირის დაფუძნებაა. მასში კერძო კლუბები არიან გაერთიანებული. ამ გაერთიანების წარმომადგენლები ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ახალ ხელმძღვანელს, **სოსო ბალათურიას** შეხვდნენ და სახელმწიფოსთან სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობაზე ისაუბრეს.

ბევრი მიიჩნევს (წარუმატებლობა ამის საფუძველს ქმნის), რომ ქართულ ფეხბურთში ფული ტყუილად იყრება, რადგან ეს სფერო ვერ განვითარდა. მაგრამ ამ ლოგიკით - „არ ვარგა და აღარ დავაფინანსოთ" - არაფერი გამოვა და შორს ვერ წავალთ. ასეთივე მიდგომით, წარმატებით შეიძლება ქართული ჯარის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ეკონომიკის დაფინანსების შეწყვეტა - წარმატება თითქმის არცერთ ამ სფეროში არ გვაქვს. ზოგადადაც, საქართველო ახლა წარმატებული ქვეყანაა? რა ვქნათ? ისევ სხვა ქვეყანას შევუერთდეთ?

რომ არ ვარგა, მოვლა-პატრონობა სწორედ ახლა სჭირდება. რადგან ფეხბურთის განვითარების დასრულებულ პროგრამას ხარვეზები აღმოაჩნდა, ის უნდა გაუმჯობედეს. იდეალური არაფერია, მაგრამ 25 წელი ქართული საფეხბურთო სამყარო სწორედ ასეთი პროგრამის განხორციელებაზე ოცნებოდა და რაც მივიღეთ, თუნდაც ხარვეზიანი, ეს არ ნიშნავს, რომ პროგრამა საჭირო არ არის.

პირიქით - ახლა და ამ ვითარებაშია სწორედ საჭირო, რადგან უცხოურ მოდელებზე აპელირება, რომ კლუბებს სახელმწიფო არ უნდა აფინანსებდეს, სწორია, მაგრამ რეალობასაა მოწყვეტილი. პროგრამიდან მეტი რომ დაიხარჯოს ბავშვთა ფეხბურთზე, ხარისხიან ინფრასტრუქტურასა და მწვრთნელთა, მენჯერების გაზრდასა და, ზოგადად, განათლებაზე, უკეთესი შედეგები იქნება.

ან ვის ჰქონდა ილუზია, რომ პროგრამის ამოქმედებიდან 5 წელიწადში „13 მაისს" გავიმეორებდით და მთებს გადავდგამდით? შეცდომა ამ პროგრამასთან დაკავშირებული მოლოდინებიც იყო. ამ დროს არა განვითარების, არამედ, გადარჩენის პროგრამა იყო, რომელმაც კლუბებს სტაბილურობის განცდა გაუჩინა.

მაგრამ ეს ყველაფერი ერთ დღეს გაქრა, რადგან პროგრამა გაუქმების საფრთხის წინაშე დადგა, ბიზნესი კი ქართულ კლუბებში, ძირითადად, ტოტალიზატორებით იყო წარმოდგენილი და მათთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილებამ ფეხბურთი კიდევ ერთხელ შეაყანყალა. ეს საფრთხე პირველად „ლოკომოტივში" მომხდარი ამბებით დავინახეთ.

პროგრამაში ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ კერძო კლუბებს ვალდებულება არ დაეკისრათ. ამის შესახებ „ლოკომოტივის" პრეზიდენტ **ლექსო თოფურიას** მისაღები პროგრამა ჰქონდა - კერძო კლუბს, სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში, მინიმუმ ორჯერ მეტი უნდა დაეხარჯა. მაგრამ მსგავსი პირობა არ ამოქმედებულა და ასეთ დროს კლუბი „ზარმაცდება".

მათი უმრავლესობის შეცდომა ის იყო, რომ მოდუნდნენ და სასათბურე პირობებს დასჯერდნენ, თავად კი ბიზნესში პარტნიორების ძებნა, გაძლიერება და ხვალინდელზე ზრუნვა ვერ შეძლეს. ამასაც ცოდნა სჭირდება და ეს ცოდნა ძალიან ბევრს არ აღმოაჩნდა, ბევრს კი - პასუხისმგებლობა.

მაგრამ არის ფაქტორი, რომელიც არც პროგრამის, არც კლუბების და არც არავის შეცდომა არ არის, არამედ, ეს არის რეალობა - მწირი ქართული ბიზნესი, რომელსაც ფეხბურთის პარტნიორობისთვის რესურსი საკმარისი არ აქვს. შესაბამისად, სურვილიც ნაკლებია. ფეხბურთი ისეთი სახეობაა, ორიოდე ბურთს რომ დაარიგებ საჩუქრად, ამით ვერ აღორძინდება.

დევნილობაში მყოფი დონეცკის „შახტარის" მხოლოდ სამედიცინო ხარჯებიც (12 მილიონი დოლარი) კი უფრო მეტია, ვიდრე მთელი ქართული ფეხბურთის დაფინანსება: 2021 წელს - 23,600 ლარი, ანუ, დაახლოებით 7,6 მილიონი დოლარი.

რა უნდა მოვუხერხოთ ამ რეალობას? ისიც სათქმელია, რომ პროფესიულ კლუბებს სახელმწიფო დაფინანსების მხოლოდ ნაწილი ხმარდებოდა - დანარჩენი იხარჯება ქალთა ფეხბურთზე, ბავშვთა აკადემიებზე, ფუტსალზე, მასობრიობაზე (რაც ასევე უმნიშვნელოვანესია), ინფრასტრუქტურაზე, მწვრთნელთა და სხვადასხვა პერსონალის გადამზადებასა და სწავლაზე...

ამავე დროს - ქართული ფეხბურთი ყოველწლიურად უზრუნველყოფს ქვეყანაში ვალუტის შემოსვლა. ეს თანხა, მინიმუმ, 6 მილიონი ევროა (სადღაც 6,8 მილიონი დოლარი). ანუ, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მიერ დაბანდებული თანხა, დაახლოებით, იმდენივე ოდენობით ქვეყანას ვალუტის სახით უბრუნდება - იგულისხმება ევროტურნირებიდან, ტრანსფერებიდან და ფიფა-უეფას პროგრამებიდან მიღებული თანხები.

ჩვენ საბჭოთა პერიოდიდან ინერციით მოვდიოდით და როცა ეს ინერციაც შეჩერდა, უფსკრულში აღმოვჩნდით. მხოლოდ 25-წლიანი ლოდინის შემდეგ ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიღებით დაიწყო სისტემის შესაქმნელად საფუძვლის ჩაყრა.

ფეხბურთში მოსახლეობის საკმაოდ სოლიდური ნაწილია ჩართული - დღეს საქართველოში 21 ათასი მოთამაშეა, მწვრთნელების, საფეხბურთო პერსონალის, მედია-საშუალებებისა და საფეხბურთო მეურნეობასთან დაკავშირებული პირების რაოდენობა კი უცნობია. ეს სახუმარო ციფრები არ არის, რადგან სოციალური მოვლენაა და ადამიანთა ფართო წრეს ეხება.

კარგი პროგრამა დღევანდელზე ოდნავ უკეთეს მომავალს მაინც ჩაუყრის საფუძველს, ოდნავ მეტი ხარისხიანი მოთამაშე გაიზრდება, ქართულ ლიგასაც მეტად შეავსებენ ჩვენი საფეხბურთო აკადემიების აღზრდილები... ოღონდ, საჭიროა პროგრამის კორექტირება და გაგრძელება, წლების წინ დაწყებული ჩავარდნა რომ შეჩერდეს.

სხვაგვარად, ტოპლიგებს კი არა, საშუალო ევროპულ ჩემპიონატებსაც 100 წელი ვერ დავუახლოვდებით და ისევ გამგებლების ჩემპიონატს დავუბრუნდებით, სადაც სახელმწიფო ფული კლუბებამდე მისავლელ გზაზე ისე იკარგებოდა, როგორც წყალი - ქვიშაში, ხოლო, ზოგ შემთხვევაში თუ არ იკარგებოდა, იმაზე იყო დამოკიდებული, რომელ გამგებელს უყვარდა ფეხბურთი და რომელს - სძულდა. ფეხბურთს მოვლა უყვარს და არა - ფეხებზე დაკიდება.

ტორპედო

# ცეცაძე ჯოკრის მოლოდინში!

## ქუთაისელთა პრეზიდენტს ნასიონალიდან არაბიძის გამოსყიდვა სურს...

**დმიტრი რეკიში** „ტორპედოს" ღირსებას აღარ დაიცავს. ბელარუსმა შემტევმა გასულ სეზონში შავთეთრების რიგებში 36 შეხვედრა ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა და 5 საგოლე გადაცემა გააკეთა და მისი ჩამოყვანა უშედეგო ნამდვილად არ იყო.

მაგრამ **გია ცეცაძემ** „ტორპედოს" გადაკეთება დაიწყო და ამ პროცესს თითქმის ყველა ლეგონერის წასვლა მოჰყვა - ყველაზე ადრე გუნდი დატოვეს **მიხაილ რადჩენკომ** და **ფიოდორ სტუკალოვმა**, ქუთაისური კლუბის ღირსებას აღარ დაიცავენ ასევე **მუროდჟონ ტუიჩიბაევი, ალეკ მუდიმუ, სამუელ ინკუმი, მეჰდი ბუკასი, მაგომედ პარაგულგოვი** და **ფადი ზიდანი**.

გუნდში ასევე აღარ იქნებიან **დავით ასათიანი, ლევან შოვნაძე, ალეკო ჩაკვეტაძე, ოლეგ მამასახლისი, ოთარ კვერნაძე, ლევან წოწონავა, გიორგი აბზიანიძე, ლაშა ჩალაძე** და **ლუკა ქაფიანიძე**.

ლეგიონერებიდან გუნდში დარჩნენ **დინო ჰამზიჩი**, რომელიც, რაღაც პერიოდი, წასული იყო „ტორპედოდან", **ვასილის კარაგუნისი**, ხოლო ქართველებიდან - **როინ კვასხვაძე, ვაჟა ტაბატაძე, ბაქარ მირცხულავა, მათე აბულაძე, ცოტნე ნადარაია, ირაკლი ძარია, მათე ცინცაძე, ბიძინა მახარობლიძე, თორნიკე ახვლედიანი** და **ლევან მჭედლიძე**.

საინტერესოა, რომ ბუკასი ერაყში გადავიდა, სადაც „ნადი ალ კუვა ალჯავიას" ღირსებას დაიცავს. რაც შეეხება **ლუკა ქაფიანიძის** ბათუმის „დინამოში" გადასვლას, რეალურად, 22 წლის ნიჭიერმა მცველმა საქართველოს ჩემპიონთან კონტრაქტი ჯერ კიდევ ზაფხულში გააფორმა, მაგრამ შეთანხმება მხოლოდ ახლა განხორციელდა.

რეალურად, ცეცაძემ უკვე მოახერხა „ტორპედოს" გაძლიერება. გუნდში მოვიდნენ - სანაკრებო გამოცდილების მქონე **გიორგი პაპუნაშვილი**, დაბრუნდნენ **გიორგი ქიმაძე, გიორგი კუხიანიძე** და **დინო ჰამზიჩი**, ცეცაძესთან იმუშავებენ მისთვის კარგად ნაცნობი **ლაშა შერგელაშვილი, ნიკა სანდოხაძე, გიული მანჯგალაძე, ირაკლი ბუღრიძე**, ხოლო „საბურთალოდან" **აკაკი შულაიას** დამატება კიდევ ერთი კარგი გარიგება იყო.



ცეცაძე ცდილობს, „ტორპედო" ისეთ გუნდად ჩამოაყალიბოს, სადაც საკუთარ ჩანაფიქრს სრულად განახორციელებს - ამაში კლუბის მენეჯმენტი, მისი ფინანასური შესაძლებლობები, ტრადიცია, შემადგენლობა და გულშემატკივრებიც უწყობენ ხელს.

ასეთი კარგი შემადგენლობის შეკრების მიუხედავად, „ტორპედოს" მწვრთნელი მაინც არ „ისვენებს" - მას **გიორგი არაბიძის** აყვანაც სურს, რომლის გარშემოც ჩამოაყალიბებს სათამაშო კონცეფციას. სხვადასხვა ეტაპზე მის კარიერაში ყოველთვის ჩნდებოდნენ ფეხბურთელები, რომელთაც განსაკუთრებულ როლს აკისრებდა - გუნდშიც და ასაკობრივ ნაკრებებშიც.

ახლა ცეცაძე „ჯოკრის" მოლოდინშია, რომელიც ამ გუნდს სხვაგვარ ელფერს შესძენს. მას ამაში ხელს პრეზიდენტი **დავით კერესელიძეც** უწყობს, რომელიც დაინტერესებულია პორტუგალიური „ნასიონალიდან" 24 წლის შემტევის ტრანსფერის გამოსყიდვით და არ არის სწორი ინფორმაცია, თითქოს, ეს იდეა აღარ არის აქტუალური. ჩვენი ინფორმაციით, ეს ტრანსფერი გამორიცხული სულაც არ არის.

გვერდი მოამზადა
**სერგო პორძაიამ**

საფიქრალი

# რა დონეზე ვართ, როცა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ნავბახორში მიდის?! ..და მარტო ეს?

**როგორც წესი, ამა თუ იმ ქვეყნის ჩემპიონატის ზოგადი დონის განსაზღვრის დროს ლაკმუსის ქაღალდად ამ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების მიერ ევროთასებზე ნაჩვენებ შედეგებს მიიჩნევენ, მაგრამ არის სხვა, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორებიც.**

**მაგალითად, ჩემპიონატის რაობაზე ძალიან კარგ, საფუძვლიან წარმოდგენას გვიქმნის სეზონთაშორისი პერიოდი. საქართველოში ახლა სწორედ ეს პერიოდი დგას, რომელსაც ცოტა სხვა თვალით გვინდა შევხედოთ და ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.**

**ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად გამოჩნდება, რომ საქართველოს ჩემპიონატი ოდნავადაც ვერაა მიმზიდველი პირველობა ასე თუ ისე ანგარიშგასაწევი ფეხბურთელებისთვის...**



## არ დაბრუნდნენ, ვერც გავამტყუნებთ!

ადრე, როცა არც სახელმწიფო დაფინანსება არსებობდა და არც სხვა ბევრი სიკეთე, საქართველოს ჩემპიონატს სეზონთაშორის პერიოდში რამდენიმე ისეთი ლეგიონერი უბრუნდებოდა, არაერთი მატჩი რომ ჰქონდა ჩატარებული საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში.

კი, შეიძლება ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ კონკრეტულ ფეხბურთელს კარიერის საუკეთესო პერიოდი არ ედგა, ან სოლიდურ საფეხბურთო ასაკში შედიოდა, მაგრამ ახლა ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

იმ ფეხბურთელთა უმრავლესობას, რომელსაც ახლა ჩამოვთვლით, ნამდვილად არ მივაკუთვნებთ ასეთ მოთამაშეთა კატეგორიას, მაგრამ დღესაც არიან ასეთი ფეხბურთელები, ოღონდ, ეგ არის, რომ საქართველოს ჩემპიონატი იმდენად არამიმზიდველი გახდა, ისინი სამშობლოში დაბრუნებას სულაც არ ჩქარობენ.

ისე კი, მცირე იმედი მაინც გვქონდა, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ორ ფეხბურთელს ჩვენს ეროვნულ ლიგაში ვიხილავდით... ითქვა კიდეც **გურამ კაშიას, ნიკა კვეკვესკირის, ჯაბა კანკავასა** და კიდევ რამდენიმე ლეგიონერის დაბრუნებაზე, მაგრამ საბოლოოდ, ეს დაბრუნებები არ შედგა და ეს ის შემთხვევაა, როცა ფეხბურთელებს ვერ გავამტყუნებთ.

ვერ გავამტყუნებთ იმიტომ, რომ ეს მოთამაშეები აკვირდებიან ჩვენი ჩემპიონატის მიმდინარეობას და იციან, რომ თუ დაბრუნდებიან, რეგრესისკენ წავლენ.

მეორეც - სახელფასო პირობებს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში გაცილებით უარესია სათამაშო და, განსაკუთრებით, სავარჯიშო პირობები. ასე რომ, ჩვენს ლეგიონერებს დაახლოებით ის თანხა რომ შესთავაზო, რომელსაც ისინი იღებენ უცხოურ კლუბებში, დიდი ალბათობით, ისინი მაინც არ ჩამოვლენ საქართველოს ჩემპიონატში სათამაშოდ.

სხვა თუ არაფერი, მათ კარგად იციან, რომ დაბრუნების შემთხვევაში დაეცემა მათი სათამაშო დონე და ისინი დადგებიან ნაკრებში ადგილის დაკარგვის საშიშროების წინაშე. ბევრი ფეხბურთელი გვინახავს ჩვენს პირველობაზე, კარგი წარსული ჰქონიათ, მაგრამ დაუწყიათ თამაში და მერე მათი დონე დანარჩენებისას გათანაბრებია...

## საუკეთესო ბომბარდირი... ნავბახორში...

უკვე იცით, სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - **ზორან მარუშიჩი**. დიახ, უზბეკურ „ნავბახორში". როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. რა თქმა უნდა, სერბებს მარუშიჩის დონის ასობით ფეხბურთელი ჰყავთ და თავიანთ სადარდებელს ისინი მიხედავენ, მაგრამ ჩვენ ის გვადარდებს, რომ უკანასკნელ წამამდე მარუშიჩი საქართველოს ჩემპიონატს წარმოადგენდა და ის უზბეკეთში ისე გადავიდა, როგორც საქართველოს ჩემპიონატის პროდუქტი.

რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ფეხბურთელს გაცილებით მეტი ხელფასი შესთავაზეს, ფაქტი მაინც ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული შემტევი წავიდა... უზბეკეთის ჩემპიონატში. გამოდის, რომ ჩვენი პირველობის საუკეთესო ბომბარდირიც კი არ წარმოადგენს ინტერესის საგანს თუნდაც საშუალოსთან მიახლოვებული ევროპული კლუბებისთვის.

უზბეკეთის ჩემპიონატი ვახსენეთ და, არაფერს ვიტყოდით, ტაშკენტის „ფახთაქორში" რომ წასულიყო, მაგრამ... პირდაპირ ვთქვათ - რა გუნდია ამისთანა ნამანგანის „ნავბახორი"? 2021 წელს უზბეკეთის ჩემპიონატში მე-6 ადგილი დაიკავა.

ცოტა ხნის წინ საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელები კვიპროსულ და დაახლოებით იმავე გაქანების ქვეყნების კლუბებში მაინც მიდიოდნენ, ახლა კი ესეც სანატრელი გაგვიხდა. მართლაც რომ ზედმეტია კომენტარი!..

## როცა რუსეთის პრემიერლიგის აუტსაიდერს ამჯობინებენ...

თბილისის „დინამოში" დიდ იმედებს ამყარებდნენ სერბ ცენტრალურ ნახევარმცველზე. მაშინ, როცა გავრცელდა ინფორმაცია **ნემანია გლავჩიჩის** მიმართ „დინამოს" ინტერესის თაობაზე, მისი თამაშის ამსახველი ვიდეო ვნახეთ და ამ კადრებშიც გამოჩნდა, რომ კარგი ფეხბურთელია, იმის მიუხედავადაც, რომ ვიდეოებით მაინც რთულია ფეხბურთელის რეალური ძალის განსაზღვრა.

როგორ განვითარდა მოვლენები შემდეგ? ადგა ეს გლავჩიჩი და რუსულ „ხიმკიში" წავიდა. „ხიმკი" კი იქაურ პრემიერლიგაში ბოლო ადგილზეა და დიდია იმის ალბათობა, რომ პირველ დივიზიონში დაქვეითდეს.

პირადად ჩემთვის ნამდვილად უცნობია, რას სთავაზობდა გლავჩიჩს „დინამო" ფინანსური კუთხით, მაგრამ ზოგადად საიდუმლო არავისთვისაა, რომ რუსული პრემიერლიგის აუტსაიდერებიც კი ფინანსურად უფრო უზრუნველყოფილები არიან, ვიდრე წამყვანი ქართული კლუბები.

შესაძლოა, ფინანსური თვალსაზრისით „ხიმკი" სულაც არ სთავაზობდა გლავჩიჩს „დინამოზე" უკეთეს პირობებს, მაგრამ ყველა ფეხბურთელი დაწვრილებით სწავლობს იმ გარემოს, რომელშიც უნდა ითამაშოს და, ცხადია, არც გლავჩიჩი იქნებოდა გამონაკლისი.

სავარაუდოდ, მას ჩვენს პირველობაზე ნათამაშებმა უცხოელებმა (ალბათ, თანამემამულე სერბებმა) უთხრეს, რომ საქართველოს ჩემპიონატი იმდენად დაბალი დონის ტურნირია, იქ სათამაშოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წახვიდე, თუ სხვა შეთავაზება არ გაქვს.

აბა, სად „დინამო" თავისი მდიდარი ისტორიით და სად - „ხიმკი"?!

მაგრამ ფეხბურთელები ახლა უფრო სხვა რამეებს უყურებენ და სადაც სამართალია, ესეც უნდა ვთქვათ - დღეს „დინამოს" ავტორიტეტი ველარ არის ისეთი, როგორიც წლების წინ იყო, თუმცა აქ ერთი კლუბი არაფერ შუაშია - მთლიანად ქართული საფეხბურთო მეურნეობაა ძალიან უკან.

აბა, წლების წინ „დინამოს" ლიდერი კი არა, დუბლშემადგენლობის ფეხბურთელიც კი რომ წასულიყო 1978 წელს დაარსებულ „ნავბახორში" (რომელსაც 1989 წელს „დინამო" საბჭოთა კავშირის თასზე შეხვდა და ორი მატჩის ჯამში 7:0 მოუგო), სკანდალის ტოლფასი ამბავი იქნებოდა...

## პერსპექტივა ვერ დაინახა...

„დინამოს" მაგალითს ამ წერილში ხშირად კი ვიშველიებთ, მაგრამ კონკრეტულად ამ კლუბს არაფერში ვადანაშაულებთ და მას ზუსტად იმხელა „დანაშაული" მიუძღვის ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის უკუსვლაში, რამდენიც სხვას. მაგრამ „ფლაგმანის" სტატუსს თუ გავითვალისწინებთ, შედარებით მეტია პასუხისმგებლობა და ეს არავის უნდა უკვირდეს.

..."დინამომ" პერსპექტიული ბელარუსი ფეხბურთელის, **ალექსანდრ შესტიუკის** გადაბირება სცადა. სცადა და არ გამოუვიდა, რადგან შესტიუკმა რუსეთში წასვლა და „ნიჟნი ნოვგოროდში" თამაში არჩია.

არა მგონია, შესტიუკისთვის რუსული პრემიერლიგის მეცამეტეადგილოსანს „ოქროს მთები" დაედგა და არც ის მგონია, „დინამოს" ჰაერივით სჭირდებოდეს ნიჭიერი ბელარუსები (საქართველოშიც არ გვაკლია ახალგაზრდული ნიჭი, თუ მას დაინახავ და დააფასებ), მაგრამ მთავარი სხვა რამეა - შესტიუკმა ჩათვალა, რომ რუსული პრემიერლიგის სახიფათო ზონაში მყოფი გუნდის წევრობა უფროა პერსპექტივის მხრივ გამართლებული, ვიდრე - საქართველოს ყველა დროის საუკეთესო კლუბისა.

რაც შესტიუკს მივადექით, არის იმის მაგალითებიც, რომ „დინამოში" ერთი სეზონი უთამაშია ახალგაზრდა ფეხბურთელს, ასე თუ ისე გამოუჩენია თავი და ისე წასულა რუსულ პრემიერლიგაში. აქ ბევრს **ლუკა გაგნიძის** ტრანსფერი გაახსენდება, მაგრამ ის მოსკოვის „დინამოში" მაინც წავიდა და მხოლოდ დროებითაა „ურალში".

## ...და ბოლოს

ძალიან გვიყვარს საქართველოს ჩემპიონატი. არც ის გვინდა, ვინმეს სხვანაირად ეგონოს და არც ის, ზოგიერთმა, „ზედა ეშელონებთან" დაახლოვებულმა „ყოვლისმცოდნემ" ბრტყელი სიტყვებით გვიკიჟინოს ყველაფერი მშობლიურის სიყვარულისა და დაფასების საჭიროებაზე...

ეს ყველაფერი ვიცით და ნუ შეწუხდებით. მაგრამ ჩვენ დიდი ილიას სიტყვებიც ვიცით - მოყვარეს რომ სარკე უნდა მიუტანო და ჩაახედო. ვერ გავჩერდებით მანამ, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატი თუნდაც საშუალოევროპული პირველობების რიგში არ ჩაეწერება, რისი პოტენციალიც მას ნამდვილად აქვს...

**ალეკო კაკაურიძე**

დინამო თბილისი

# ფრე პირველ ამხანაგურში, სამართლებრივი დავა მარუშიჩთან...



დინამო-სპაერი. თორნიკე კირკიტაძეს გააქვს გოლი სპაერის კარში

თბილისის „დინამომ" მოსამზადებელ ეტაპზე პირველი ამხანაგური მატჩი გამართა და დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ეროვნულ ლიგა 2-ში აღზევებულ „სპაერს" დაუზავდა - 2:2.

**კახა ცხადაძემ** ორი განსხვავებული შემადგენლობა ათამაშა. „დინამო" მე-3 წუთზე ახალწვეულთა გოლით დაწინაურდა - **თორნიკე კირკიტაძემ სტანისლავ ბილენკის** პასით გაიტანა. პირველ ტაიმში მასპინძელმა კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

66-ე წუთზე „დინამო" ორბურთიანი სხვაობით გავიდა წინ - **ლევან ხარაბაძემ** ფლანგზე გაილაღა და საგოლედ უპასა **გიორგი გაბედავას**, ვინც ძლიერი დარტყმით აიღო მეტოქის კარი. „სპაერმა" მაინც არ წააგო: მე-80 და 88-ე წუთებზე დუბლი შეასრულა **დავით ნაჭყებიამ** და თამაში ფრედ დასრულდა.

„დინამო" (სასტარტო): კერესელიძე, მაისურაძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, ბიტოკი, მექვაბიშვილი, ლომინაძე, კირკიტაძე, სხირტლაძე, ანტილევსკი, ბილენკი; *შეცვლაზე შევიდნენ: ბერუაშვილი, მაქაცარია, ხარაბაძე, იაკობიძე, ბენიო, ჯანგიძე, გაბიტაშვილი, პაპავა, გაბედავა, გაფრინდაშვილი, ოსეი, იობაშვილი.*

„დინამო" უკვე ბელეკშია (თურქეთში), სადაც სეზონისთვის მზადებას ორ ეტაპად გააგრძელებს - 22 იანვრიდან 2 თებერვლამდე და 5-დან 16 თებერვლამდე. ამ პერიოდში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი 8 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. **კახა ცხადაძემ** შეკრებაზე ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

გაგრძელება მე-6 გვერდზე »

დილა

# დრამე მალიდან, ქართველი მეკარე რუსეთიდან, ტავარეშიც შესაძლებელია...

## დილას აღმასრულებელი დირექტორი: ასე კარგად დაკომპლექტებული გუნდი ჯერ არ გვყოლია!..

გორის „დილამ" მალელი **ჰაჯი დრამე** დაიმატა, - ამის თაობაზე „დილას" აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი ჯოხაძემ** გვაცნობა. დრამე ესტონური „პაიდეს" გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ. 21 წლის შემტევ ნახევარმცველს, რომელსაც მარცხენა ფლანგზეც შეუძლია თამაში, მალის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია, მათ შორის, ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში 8 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი შეაგდო, ხოლო 17-წლამდელებში 11 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლი მიითვალა.

როგორც გორელთა მაღალჩინოსანმა გვითხრა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ასევე 26 წლის **ალვარო ტავარეშთან**, ვინც უკრაინული პრემიერლიგის ბინადარ „ლვივის" (ლვოვი) ფეხბურთელია და, დიდი ალბათობით, ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება. ტავარეში ცოტა ხნით აზერბაიჯანულ „კეშლაში" იყო განათხოვრებული.



ჰაჯი დრამე

გარდა ამისა, რეალურია, რომ „დილამ" რუსეთიდან დაიმატოს მეკარე **გიორგი ნათაბაშვილი**. ის 21 წლისაა (სიმაღლე - 1.89 მ), მოსკოვში დაიბადა და რუსული საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. ბოლოს „ალანიაში" თამაშობდა, სხვადასხვა დროს კი ვლადიკავკაზის „სპარტაკისა" და „ოლიმპის" (ხიმკი) კარს იცავდა.

„დილა" ცოტა ხნის წინ დატოვა **ლუკა გუგეშაშვილმა**, ვინც კარიერას აზერბაიჯანულ „ყარაბაღში" გააგრძელებს. გორში უკვე მიიწვიეს **დემეტრე ბულისკერია**, ვისაც თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოში" თამაშის გამოცდილება აქვს. როგორც „დილას" აღმასრულებელმა დირექტორმა გვითხრა, ნათაბაშვილის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

*„უახლოეს პერიოდში ველით ლეგიონერს ნიდერლანდებიდან. ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. ამ ეტაპზე მისი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ. დიდი ალბათობით, როცა ამ საკითხს დავხურავთ, სატრანსფერო აქტივობასაც დავასრულებთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასე კარგად დაკომპლექტებული გუნდი ჯერ არ გვყოლია"*, - დასძენს ჯოხაძე.

■ ■ ■

რუსთავში გაიმართა ამხანაგური მატჩი „დილასა" და „სიონს" შორის, რომელიც ამხანაგური ანარიშით - 2:2 დასრულდა. ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა.

ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. **ხორხელისა** (58-ე წუთი) და **ჩაგანავას** გოლებით ბოლნისელები სოლიდური სხვაობით დაწინაურდნენ, თუმცა თამაშის მიწურულს გორელებმა ორივე გოლი გაქვითეს - ჯერ **ლომთაძემ** 11-მეტრიანით შეამცირა ჩამორჩენა 84-ე წუთზე, ხოლო 89-ეზე **ონგოლო ჩიბოტამ** თავისი შანსი გამოიყენა და შეხვედრა 2:2 დასრულდა.

**„დილა" (I ტაიმი): ბულისკერია, ჩიტეიშვილი, ალეფ სანტოსი, ჭიჭინაძე, ახალაძე, მოსიაშვილი, გაგნიძე, დრამე, კაპანაძე, მაქაცარია, ლუდუშაური;**

**(II ტაიმი): ასათიანი, პაპიაშვილი, ცეცხლაძე, ხუბულური, ლომთაძე, ღაღანიძე, სანაშვილი, მუბარაკი, ლუკასი, ჩიბოტა, გეგელაშვილი.**

**„სიონი" (I ტაიმი): სეფიაშვილი, ჯაფიაშვილი, გადრანი, ნემსაძე, მაჩაიძე, ბენგალა, გაბისკირია, ციცქიშვილი, სიჭინავა, ტაბატაძე;**

**(II ტაიმი): სეფიაშვილი, ჯაფიაშვილი (60. ლ. უგრეხელიძე), სეხნიაშვილი, ნემსაძე (60. ტვილდიანი), კორიფაძე, ბენგალა (60. გ. უგრეხელიძე), გაბისკირია (60. მესიაჩენკო), ციცქიშვილი (60. ჩაგანავა), ხორხელი (60. ღამბარაშვილი), სიჭინავა (60. რაფაელო), ტაბატაძე (60. კვერნაძე 60).**

■ ■ ■

„დილასთან" სპარინგის გარდა, „სიონი" დუშეთის „არაგვსაც" შეხვდა და 11:0 გაიმარჯვა. ბოლნისელთა ოფიციალური ფეისბუქგვერდი არ აქვეყნებს მატჩის ტექნიკურ მონაცემებს, ამიტომ, მხოლოდ „მშრალი" ინფორმაციით დაკმაყოფილება გვიწევს. მორიგ ამხანაგურ შეხვედრას „სიონი" 27 იანვარს, „საბურთალოსთან" გამართავს.

აქვე, ერთი სატრანსფერო ინფორმაცია ბოლნისიდან - „სიონში" ითამაშებს 25 წლის ცენტრალური მცველი **ზურაბ სეხნიაშვილი**, ვინც წლების განმავლობაში თბილისური „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, ბოლნისის „სიონის" დაცვას გაამაგრებს. ეს სოლიდური შენაძენია უმაღლეს ლიგაში აღზევებული კლიბისთვის.

სეხნიაშვილმა გასულ სეზონში „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში 33 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. მან დიდი წვლილი შეიტანა იმასი, რომ საქართველოს ორგზის ჩემპიონმა ეროვნულ ლიგა 2-ში ადგილი შეინარჩუნა.

**ალეკო კაკაურიძე**

**„ლელო" მწუხარებას გამოთქვამს ფოტოგრაფ ბადრი კეთილაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებს, სრულიად ჟურნალისტურ სამყაროს.**

### ქართული სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო ბთ**<br>გია გეგუჩაძე | ნიქაბაძე (?), გაგოშიძე (მერანი მ), შინდაგორიძე (საბურთალო), მანჯგალაძე (ტორპედო), ვ. თევდორაძე (შუქურა), გროცურეკი (?), ხარატიშვილი (შუქურა - იჯარით), ავალიანი (შუქურა - იჯარით), ჩუკვურა (?), ჯიჯავაძე (?) | **ფალავანდიშვილი (უკლუბოდ), ბიძინაშვილი (დილა), რადინი (დინამო თბ), დენკოვიჩი (ქაისარი, ყაზახეთი / სერბეთი), რეხვიაშვილი (შუქურა), ბეგაშვილი (მერანი მ), ქაფიანიძე (ტორპედო), ჩუკვურა (თელავი - იჯარა დაუსრულდა), ჯიჯავაძე (რუსთავი - იჯარა დაუსრულდა)**, ანანიძე (დინამო თბ) | 10 იანვრიდან - ბათუმში<br>16 იანვრიდან - თურქეთში<br>ლეხი (პოლონეთი) 2:1<br>რაკოვი (პოლონეთი) 3:3 |
| **დინამო თბ**<br>კახა ცხადაძე | ანანიძე, რადინი (ორივე - დინამო ბთ), იაშვილი, ქარდავა, ქავთარაძე (ყველა - საბურთალო), მიგინეიშვილი (კარიერა დაასრულა), ქიმაძე (ტორპედო), სპორსკლედე (?), კუცია (?), კობოური (კარვინა, ჩეხეთი), მარუშიჩი (ნავბახორი, უზბეკეთი) | **ბელენკი (დინამო ბრესტი, ბელარუსი / უკრაინა), ბიტოკი (იაგელონია, პოლონეთი / ნიგერია), ანტილევსკი (ტორპედო ჟოდინო, ბელარუსი), კამარა (დილა), კერესელიძე (გაგრა), თ. კირკიტაძე (ლოკომოტივი), გვიშიანი (გაგრა - იჯარა დაუმთავრდა)**, ჯანგიძე, ი. იაკობიძე, მაისურაძე, ფაჩულია, იობაშვილი, ლომინაძე, მ. მაქაცარია (ყველა - დინამო 2) | 10 იანვრიდან - თბილისში<br>სპაერი 2:2<br>22 იანვრიდან - თურქეთში |
| **დილა**<br>ანდრეი დემჩენკო | მაისაშვილი (სამგურალი), ბიძინაშვილი (დინამო ბთ), კამარა (დინამო თბ), გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), ბულრიძე (ტორპედო), ნემსაძე (სიონი) | **თ. მაქაცარია (გაგრა), ლომთაძე (სამტრედია), ბულისკერია (მერანი თბ), ძოწენიძე (თელავი), საად მუსა (ლეოპარდსი კენია / სამხრეთ სუდანი)**, ივანიაძე (სიონი), **დრამე (პაიდე ესტონეთი / მალი), ნათაბაშვილი (ალანია, რუსეთი), ალვარო ტავარეში (ლვივი, უკრაინა / ბრაზილია), ჩიბოტა (?), მუბარაკი (?), ახალაძე (სამტრედია), ლუკასი (?)** | სიონი 2:2 |
| **ლოკომოტივი**<br>ლაშა ჟაღიაშვილი | **გიორგი ჭიაბრიშვილი (მთავარი მწვრთნელი), გავაშელიშვილი (სამგურალი), თ. კირკიტაძე (დინამო თბ), უბილავა, გურეშიძე, სიხარულიძე (ყველა - საბურთალო), შონია (გაგრა), სანდოხაძე (ტორპედო), ვადი (?), სპეკელინკი (?), დიასამიძე (?), კახაბრიშვილი (?)**, გაბაძე (?), დარცმელია (?), სამურკასოვი (?), იმრანი (?) | **ლაშა ჟაღიაშვილი (მთავარი მწვრთნელი), შეყილაძე (თელავი - იჯარა დაუსრულდა)**, ჭავჭანიძე (რუსთავი) | 18 იანვრიდან - საგურამოში<br>ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **საბურთალო**<br>ლევან კორღალიძე | **შულაია (ტორპედო), მანდრიჩენკო (ინჰულეცი, უკრაინა), მუდრაკი (?), ოდუკო (?), ერისთავი, ჩაჩუა (ორივე - შუქურა)**, მალი (?) | **შინდაგორიძე (დინამო ბთ), იაშვილი, ქარდავა, ქავთარაძე (ყველა - დინამო თბ), ჩადუნელი (გაგრა), უბილავა, გურეშიძე, სიხარულიძე (ყველა - ლოკომოტივი)** | 10 იანვრიდან - თბილისში<br>შევარდენი 11:0<br>თბილისი სიტი 3:0<br>29 იანვრიდან - თურქეთში |
| **თელავი**<br>გიორგი ჭელიძე | **გიორგი მიქაძე (მთავარი მწვრთნელი, სამგურალი), ჩუკვურა (დინამო ბთ - იჯარა დაუსრულდა), ძოწენიძე (დილა), მ. ბაშელეიშვილი, რუხაძე (ორივე - სამგურალი), შერგელაშვილი (ტორპედო), ნ. ბაშელეიშვილი, ჯანელიძე (ორივე - შუქურა), შეყილაძე (ლოკომოტივი - იჯარა დაუსრულდა)** | **გიორგი ჭელიძე (მთავარი მწვრთნელი)**, ჩუკვურა (დინამო ბთ) | 20 იანვრიდან - თელავში |
| **სამგურალი**<br>გიორგი მიქაძე | **სოსო ფრუიძე (მთავარი მწვრთნელი, კლუბის მენეჯმენტი), ფონიავა (მერანი მ), ლექვთაძე, მეშველიანი (ორივე - შუქურა), დ. კირკიტაძე (?), ბუხაიძე (?), ამინუ (?)** | **გიორგი მიქაძე (მთავარი მწვრთნელი, თელავი), ჯეფინიო (შუქურა), შოვნაძე (ტორპედო), გავაშელიშვილი (ლოკომოტივი), მაისაშვილი (დილა), მ. ბაშელეიშვილი, რუხაძე (ორივე - თელავი), დევდარიანი (საბურთალო 2)** | 8 იანვრიდან - წყალტუბოში<br>შუქურა 2:1<br>3 თებერვლიდან - თურქეთში |
| **ტორპედო**<br>გიორგი ცეცაძე | **პარაგულგოვი (?), შოვნაძე (სამგურალი), ჩალაძე, წოწონავა (ორივე - მერანი მ), ინკუმი (?), ზიდანი (?), ბუკასი (?), მუდიმუ (?), რეკიში (?), მამასახლისი, ჩაკვეტაძე (ორივე - შუქურა), ქაფიანიძე (დინამო ბთ), ო. კვერნაძე (?), აბზიანიძე (?), დ. ასათიანი (?)** | **ქიმაძე (დინამო თბ), გ. კუხიანიძე (ყიზილყუმი, უზბეკეთი), შულაია (საბურთალო), მანჯგალაძე (დინამო ბთ), შერგელაშვილი (თელავი), ბულრიძე (დილა), პაპუნაშვილი (აპოლონი, კვიპროსი), ჰამზიჩი (უკლუბოდ), სანდოხაძე (ლოკომოტივი)**, არაბიძე (სამტრედია) | 10 იანვრიდან - თურქეთში |
| **სიონი**<br>გიორგი დარასელია | ალიევი (?), ჩელებაძე (?), ქოჩლაძე (?), ადამაძე (?), ივანიაძე (დილა) | **სეხნიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ციცქიშვილი (უკლუბოდ), გ. გადრანი (სამტრედია), ნემსაძე (დილა), ბენგალა (?), რაფაელო (?), მესიაჩენკო (სამტრედია), ჩაგანავა (?), ო. კვერნაძე (ტორპედო)** | 4 იანვრიდან - თბილისში<br>გარეჯი 0:2<br>არაგვი 11:0<br>დილა 2:2 |
| **გაგრა**<br>გაგა კირკიტაძე | **მაქაცარია (დილა), კერესელიძე (დინამო თბ), ჩადუნელი (საბურთალო), გაზდელიანი (შუქურა), გვიშიანი (დინამო თბ - იჯარა დაუმთავრდა)** | **ბ. ქურდაძე (სამტრედია), შონია (ლოკომოტივი)** | |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო თბილისი

# ფრე პირველ ამხანაგურში, სამართლებრივი დავა მარუშიჩთან...

« მე-4 გვერდიდან

მეკარეები - ანდრეს პრიეტო, დავით კერესელიძე, მიხეილ მაქაცარია, ლუკა კუტალაძე

მცველები - საბა ხვადაგიანი, საიმონ ბენიო, ალექსანდრე კალანდაძე, ირაკლი იაკობიძე, თორნიკე ჯანგიძე, სტივენ ბიტოკი, ლევან ხარაბაძე, გიორგი მაისურაძე

ნახევარმცველები - გიორგი პაპავა, ანზორ მექვაბიშვილი, ნიკა ლომინაძე, დიტო ფაჩულია, გიორგი მოისწრაფიშვილი, თორნიკე კირკიტაძე, უსმანე კამარა, ბარნს ოსეი, დმიტრი ანტილევსკი, გიორგი გვიშიანი

თავდამსხმელები - გიორგი გაბედავა, დავით სხირტლაძე, სტანისლავ ბელენკი, ჯადული იობაშვილი

აქვე თურქეთში გასამართი ამხანაგური მატჩების განრიგიც: **26 იანვარი** - ლვივი (უკრაინა); **29 იანვარი** - ნაპრედაკი (სერბეთი); **1 თებერვალი** - ლუდოგორეცი (ბულგარეთი); **2 თებერვალი** - მეტალისტი (უკრაინა); **8 თებერვალი** - დინამო (კიევი, უკრაინა); **10 თებერვალი** - დინამო (მოსკოვი, რუსეთი); **11 თებერვალი** - რანდერსი (დანია); **15 თებერვალი** - ფახთაქორი (უზბეკეთი).

■ ■ ■

თბილისის „დინამო" **ზორან მარუშიჩის** ტრანსფერთან დაკავშირებით სამართლებრივ დავას იწყებს, - ამის შესახებ კლუბის ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ.

*„სერბმა ფეხბურთელმა ცალმხრივად, თვითნებურად დაარღვია „დინამოსთან" არსებული მოქმედი ხელშეკრულება. მიუხედავად, თბილისურ კლუბთან მოქმედი კონტრაქტისა, ფეხბურთელმა მიიღო კარიერის უცხოეთში გაგრძელების გადაწყვეტილება და დადებული კონტრაქტის გარდა, დაარღვია ფიფას საერთაშორისო სამართლის ნორმები.*

*„დინამო თბილისმა" ზორან მარუშიჩთან 2021 წლის დეკემბრის დასაწყისში გაააქტიურა კონტრაქტის შესაბამისი პუნქტი, რომლის მიხედვითაც მხარეებს შორის კონტრაქტი ავტომატურად, 2022 წლის ბოლომდე გახანგრძლივდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, „დინამო თბილისმა" შესაბამისი ღონისძიების გატარება უკვე დაიწყო"*, - განაცხადა „დინამოს" სპორტულმა დირექტორმა **ალექსანდრე რეხვიაშვილმა**.

*„მოვუწოდებთ სხვადასხვა მედიასაშუალებას, კლუბში მიმდინარე ამ და სხვა საკითხთან დაკავშირებით, ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმონ „დინამო თბილისის" პრესსამსახურთან"*, - ნათქვამია კლუბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

...ამასობაში, კი უზბეკურმა „ნავბახორმა" ოფიციალურ საიტზე მარუშიჩის ტრანსფერი დაადასტურა: *„თურქეთში, ქალაქ ანტალიაში შეკრებაზე მყოფ „ნავბახორს" კიდევ ერთი ლეგიონერი შეემატება. უახლოეს პერიოდში კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს ზორან მარუშიჩი"*, - წერია ნამანგანელთა განცხადებაში.

*29 წლის მარუშიჩი კარიერის განმავლობაში თამაშობდა სერბეთის „სლოგაში", „ვოჟდოვაცში", „ბორჩაში", „ტემნიჩში", „სლობოდაში", ასევე, ბოსნიურ „სლავიასა" და „კრუპაში", ბელარუსულ „დნეპრსა" და „ნემანში".*

*2021 წლის სეზონი მარუშიჩმა თბილისის „დინამოში" გაატარა. ის 16 გოლით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გარდა ამისა, საუკეთესო ლეგიონერად, საუკეთესო თავდამსხმელად და საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.*

*„ტრანსფერმარკტზე" მარუშიჩის ღირებულება 450 000 ევროს შეადგენს"*, - წერს უზბეკური კლუბის ოფიციალური საიტი.

თელავი



გიორგი ჭელიძე

## უკვე ოფიციალურად: ჭელიძე მთავარ მწვრთნელად, ხომერიკი ასისტენტად...

როგორც Lelo.ge-მ („ლელო") ცოტა ხნის წინ გაცნობათ, „თელავის" მთავარ მწვრთნელად 35 წლის **გიორგი ჭელიძე** დაინიშნა და ეს უკვე დადასტურებულია კლუბის ოფიციალური ფეისბუქგვერდის მიერ.

სხვადასხვა დროს ჭელიძე იცავდა „ოლიმპის", „თბილისის", ბათუმის „დინამოს", მოსკოვის „ლოკომოტივის" (რუსეთი), „ზორიას" (უკრაინა), „ზესტაფონის", „ნეფთჩის" (აზერბაიჯანი), „სამსუნსფორისა" (თურქეთი) და „ნეს ციონას" (ისრაელი) ღირსებას.

დღეს კი ჭელიძე უეფას უმაღლესი სამწვრთნელო კატეგორიის - პრო ლიცენზიის მფლობელია. ამ ასპარეზზე ის პირველად 2016 წელს გამოჩნდა და იმუშავა ჯერ „შევარდენში", მერე კი ტყიბულის „მეშახტეში", ქობულეთის „შუქურასა" და „საბურთალო 2-ში".

„თელავის" პრესსამსახურის ინფორმაციით, სიახლეა გუნდის სამწვრთნელო შტაბშიც. ჭელიძის პირველი ასისტენტი 48 წლის **ლევან ხომერიკი** იქნება, რომელიც გულშემატკივარს წარსულში ბათუმისა და თბილისის „დინამოს", ბელგიური „მეხელენის", შვეიცარიული „არაუსა" და „ვოლენის", აგრეთვე ჰაიფას (ისრაელი) „ჰაპოელის" თავდამსხმელად უნდა ახსოვდეს. იყო ბათუმის „დინამოს" მთავარი მწვრთნელიც. მეკარეებს კი გამოცდილი სპეციალისტი, 43 წლის **თამაზ ოდიკაძე** განვრთნის.

საბურთალო



# ესეც კონტრაქტი!

## საბურთალოსა და ვალენსიას შორის სამწლიანი თანამშრომლობა გაფორმდა!..

**„საბურთალოსა" და „ვალენსიას" შორის 3-წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ამის თაობაზე თბილისური კლუბის ოფიციალური საიტი იტყობინება, ანუ მოხდა ის, რაზეც ადრე ვიტყობინებოდით...**

**ტარიელ ხეჩიკაშვილი** („საბურთალოს" დამფუძნებელი): *„საბურთალოსთვის" ტრადიციად ჩამოყალიბდა ესპანურ კლუბებთან თანამშრომლობა. გარდა ამისა, კლუბში მუშაობდნენ ესპანელი მწვრთნელები, მენეჯერები და ფეხბურთელები...*

*რაც შეეხება ახალ თანამშრომლობას - „ვალენსია" დიდი ტრადიციების მქონე, ძალიან ძლიერი და წარმატებული კლუბია. გადამწყვეტი ფაქტორი, მათი საქმისადმი მიდგომა და პროფესიონალიზმი აღმოჩნდა.*

*თანამშრომლობა იქნება მრავალმხრივი, დიდი ყურადღება მიექცევა აკადემიას, იმუშავებს გაცვლითი პროგრამა, ცოდნას გაიღრმავებენ მწვრთნელები, სტაჟირებაზე გაემგზავრებიან ნიჭიერი ფეხბურთელები, იქნება მუდმივი კომუნიკაცია აკადემიისა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 3 წლიანია, მჯერა თანამშრომლობა უფრო ხანგძლივი იქნება.*

*სასიამოვნოა, რომ „საბურთალოსა" და „ვალენსიას" ხედვები ერთმანეთს დაემთხვა. ვისარგებლებ შემთხვევით და „ვალენსიას" ხელმძღვანელობას მადლობას გადავუხდი. ძალიან კარგი დახვედრა მოგვიწყეს, ყველაფერი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მჯერა, ჩვენი თანამშრომლობა ორივე კლუბისთვის ნაყოფიერი და წარმატებული იქნება".*

**შონ ბაი** („ვალენსიას" გენერალური დირექტორი): *„ვალენსია" სისტემატურად საერთაშორისო პროექტების ძიებაშია. სასიამოვნოა, რომ თბილისის „საბურთალოსთან" მეგობრული და, რაც მთავარია, საქმიანი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.*

*მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ხედვები ერთმანეთს დაემთხვა. „ვალენსიასთვის" დიდი პატივია „საბურთალოსთან" თანამშრომლობა. გვჯერა, ორივე მხარისთვის ნაყოფიერი და წარმატებული პროექტი იქნება. ეს ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, მომავალში ჩვენი ურთიერთობა მასშტაბური იქნება.*

*„ვალენსია" არის ის კლუბი და აკადემია, რომელიც სისტემატურად ნიჭიერი ბავშვების ძიებაშია. ვფიქრობ, ეს პროექტი ასევე ხელს შეუწყობს ქართულ-ესპანური კულტურის კიდევ უფრო დაახლოებასაც".*

### საბურთალომ არც თბილისი სიტი დაინდო

„საბურთალომ" „შევარდენის" განადგურების (11:0) შემდეგ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და ისიც დიდი ანგარიშით მოიგო, ოღონდ, გაცილებით მოკრძალებულად - 3:0 დაამარცხა მესამელიგელი „თბილისი სიტი".

პირველი გოლი ტექნიკური დარტყმით **ლევან ნონიკაშვილმა** შეაგდო. შემდეგ **გიორგი გულიაშვილმა** იყოჩაღა, ხოლო მეორე ტაიმში კი გუნდის ახალწვეულმა **ირაკლი სიხარულიძემაც** გამოიჩინა თავი.

„საბურთალო" (I ტაიმი): **გოშაძე, უბილავა, ჩადუნელი, ჯგერენაია, ლაცაბიძე, ო. მამაგეიშვილი, ქარდავა, გოჩოლეიშვილი, ლ. ნონიკაშვილი, ქავთარაძე, გულიაშვილი;** (II ტაიმი): **გოშაძე (ლეჟავა), იაშვილი, კაკუბავა, გურეშიძე, მამაცაშვილი, შ. ნონიკაშვილი, ქარდავა, პარკინაშვილი, გ. მამაგეიშვილი, ი. ტაბატაძე, სიხარულიძე.**

მორიგ საკონტროლო მატჩს „საბურთალო" 27 იანვარს, ბოლნისის „სიონთან" გამართავს, 29-დან კი თურქულ შეკრებაზე გადავა და ახალი სეზონისთვის მზადებას ევროპაშივე დაასრულებს. **ლევან კორღალიძის** შეგირდები შეკრებაზე 4 ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ, სამშობლოში კი 12 თებერვალს დაბრუნდებიან და სეზონის პირველი ოფიციალური მატჩისთვის მოემზადებიან - 20 თებერვალს დედაქალაქელები სუპერთასისთვის ბათუმის „დინამოს" დაუპირისპირდებიან.

რაც შეეხება თურქულ სპარინგებს, 1 თებერვალს „საბურთალოს" მეტოქე რუმინეთის რანგით მეორე ლიგის ბინადარი „ჰერმანშტადტი" (II ადგილზეა და მთავარ ლიგაში დაბრუნებისთვის იბრძვის) იქნება. 4-ში თბილისელები უზბეკეთის სუპერლიგის მეოთხეადგილოსან „ნასაფს" გაეჯიბრებიან, 8-ში უკრაინის პრემიერ ლიგაში მოასპარეზე „ჩერნომორეცთან" (სადაც გიორგი წიტაიშვილი და ბექა ვაჩიბერაძე თამაშობენ) მოსინჯავენ ძალებს, ხოლო შეკრებას 11 თებერვალს, რუსეთის რანგით მეორე ლიგის ლიდერ „ორენბურგთან" მატჩით დაასრულებენ.

ამხანაგური მატჩი

# მიქაძის არაოფიციალური დებიუტი იღბლიანი აღმოჩნდა

„სამგურალმა" და „შუქურამ" ფოთის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ამხანაგური მატჩი გამართეს. ორივე გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ამდენად, ეს იყო **გიორგი მიქაძისა** და **რევაზ გოცირიძის** არაოფიციალური დებიუტი. თამაში წყალტუბოელებმა მოიგეს - 2:1.

პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გახსნა **დემურ ჩიხლაძემ**, რასაც მეორე ნახევრის დასაწყისში უკვე მამია გავაშელიშვილის გოლი მოჰყვა - მან ისარგებლა მცველების შეცდომით და „სამგურალი" ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა.

88-ე წუთზე „შუქურამ" სხვაობა შეამცირა და თამაშის გარდაჩენის შანსიც მიეცა. თავი **ზურაბ მუსელიანმა** გამოიჩინა, რაც საბოლოო ანგარიში გამოდგა - 2:1.

„სამგურალი": **ქვილითაია, კიკაბიძე, ქურდაძე, პატარკაციშვილი, კალანდარიშვილი, ა. ვერულიძე, გილმორი, ტურე, რუხაძე, ჩიხლაძე კუხიანიძე;** II ტაიმი: **შოვნაძე, ჯამიუ (ტ. ბურჯანაძე), მაისაშვილი, თევზაძე, ახვლედიანი, მ. ბაშელეიშვილი, იობიძე, დევდარიანი, ჯეფინიო, შ. ბურჯანაძე, გავაშელიშვილი**

„შუქურაში" ამ ფეხბურთელებმა ითამაშეს: **ხარატიშვილი, კომახიძე, მამასახლისი, ჩაკვეტაძე, ჩაჩუა, ჯინჭარაძე, ღლონტი, სარდალიშვილი, ლექვთაძე, ერისთავი, ბ. ვერულიძე;** შეცვლაზე შევიდნენ: **ფარტენაძე, კაკაშვილი, ჯანელიძე, ნ. ბაშალეიშვილი, ინგოროყვა, გაზდელიანი, მუსელიანი, ვ. თევდორაძე.**



სამგურალი-შუქურა 2:1

გვერდი მოამზადა **ალეკო კაკაურიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი



# მსუყე ფრე პოლონეთის ვიცე-ჩემპიონთან

ბათუმის „დინამომ" თურქულ შეკრებაზე მეორე საკონტროლო შეხვედრა გამართა. საქართველოს ჩემპიონის მეტოქე ამჯერადაც პოლონური გუნდი იყო - ჩემპიონატის ლიდერ პოზნანის „ლეხთან" (სადაც **ნიკა კვეკვესკირი** თამაშობს) მოგების (2:1) შემდეგ **გია გეგუჩაძის** გუნდი **ვაკო გვილიას** ჩესტოხოვას „რაკოვს" დაუპირისპირდა, რომელიც ექსტრაკლასაში ამჟამად მესამე ადგილზეა და ქვეყნის ვიცე-ჩემპიონია.

ბათუმელებმა თამაში კარგად დაიწყეს და მე-12 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც. გოლი **თორნიკე გაფრინდაშვილმა** გაიტანა. ბრწყინვალე შესრულება იყო - ბურთმა „ცხრიანი" შეარხია.

პოლონელებმა ანგარიში პენალტით გაათანაბრეს, მას მერე, რაც **ლაზარე კუპატაძემ** საჯარიმოში პოლონელთა შემტევი **იაკუბ არაკე** წააქცია და მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. ბათუმელთა მეკარემ **ვლადისლავ გუტკოვსკის** დარტყმის მიმართულება გამოიცნო, მაგრამ ბურთის მოგერიება ვერ შეძლო.

ამის შემდეგ პოლონელებმა მწვავედ შეუტიეს და საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით **ბენ ლედერმანმა** „რაკოვი" დააწინაურა. თუმცა, ოთხ წუთში, კუთხურის გათამაშების შემდეგ, **ბენჯამინ ტეიდმა** წონასწორობა აღადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის „დინამო" მაღალი პრესინგით თამაშობდა და მეტოქეს არაფერს უთმობდა. ბევრი იყო ბრძოლა და წვრილმანი ჯარიმა, ზოგადად კი თამაში ხისტი გამოდგა, ოღონდ, ეგ იყო, მეტოქეები უხეშობის ზღვარს არ გადადიოდნენ.

მეორე ნახევარში პოლონელები მეორედ დაწინაურდნენ. საჯარიმო **იგორ საპალამ** შეასრულა, ბურთი „ცოცხალ კედელში" მდგომ ბათუმელ მოთამაშეს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა, საპირისპირო მხარეს გადამხტარმა „დინამოს" მეკარემ კი ბურთის შეჩერება ველარ მოახერხა.

საქართველოს ჩემპიონმა თამაშის გადარჩენა მაინც მოახერხა. გოლი კურიოზული გამოდგა - კვლავ გაფრინდაშვილმა ითამაშა კარგად, საჯარიმოში შეჭრილმა დაარტყა, ბურთი **გიორგი ზარიას** მოხვდა თავში და კარში ჩაეშვა - 3:3.

ბათუმელებმა ბოლო წუთები შეტევაში გაატარეს, მეტოქეს ხშირად აწუხებდნენ და ბოლომდე მაღალი პრესინგით ცდილობდნენ მეოთხე გოლის გატანას, მაგრამ ანგრიში აღარ შეცვლილა.

| რაკოვი- დინამო (ბთ) | 3:3 |
|---|---|

**გოლები**: 0:1 გაფრინდაშვილი (12), 1:1 გუტკოვსკი (20-პენ), 1:2 ლედერმანი (30), 2:2 ტეიდი (34), 3:2 საპალა (57), 3:3 ზარია (82)

**დინამო** (ძირითადი შემადგენლობა): კუპატაძე - ჩაბრაძე, მარგველაშვილი, აზაცკი, აზაროვი - ტეიდი, ალთუნაშვილი - გაფრინდაშვილი, დენკოვიჩი, ჯილაური - ფანცულაია.

ბათუმელები მესამე საკონტროლო მატჩს 27 იანვარს, მონტენეგროს „რუდარის" წინააღმდეგ გამართავენ.

**სერგო პორძაია**

ლეგიონერი

# რატომ ჭიანურდება კიტეიშვილის დაბრუნება?



გასული წლის 3 ოქტომბერს მიღებული ტრავმის შემდეგ **ოთარ კიტეიშვილი** მოედანზე აღარ გამოჩენილა. „ჰარტბერგთან" იმ ავადსახსენებელ გასვლით მატჩში მან სინდესმოზური მყესები გაიწყვიტა.

წესით, საქართველოს ნაკრების 26 წლის ნახევარმცველს (Zaubermaus, ანუ „მაგიური თაგვი", როგორც ავსტრიულ მედიაში შეარქვეს) ვარჯიში უკვე უნდა დაეწყო, მაგრამ... ნაოპერაციებიდან ფიქსატორები ცოტა ხნის წინ ამოუღეს და ამ მომენტისთვის გუნდთან ერთად ვარჯიშზე ლაპარაკიც ზედმეტია.

*„ახლა საქმეები უკვე სწორი მიმართულებით მიდის. როგორც გუნდის ექიმები მეუბნებიან, ჯერ კიდევ რამდენიმე კვირაა საჭირო იმისთვის, რომ ის გუნდთან ერთად სრულფასოვან საწვრთნელ პროცესში ჩაერთოს. ასე რომ, ოთარს თებერვალში ველოდები"*, - ამბობს „შტურმის" მთავარი მწვრთნელი **კრისტიან ილცერი**.

**ალეკო კაკაურიძე**

U17

# საქართველო ბელარუსის საერთაშორისო ტურნირზე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომლის სახელწოდებაა - „განვითარების თასი". ტურნირს ყოველწლიურად ბელარუსის დედაქალაქი მინსკი მასპინძლობს.

„განვითარების თასზე" 10 გუნდი ითამაშებს. ისინი ორ ხუთ-ხუთგუნდიან ჯგუფში არიან გადანაწილებულები. **გიორგი ჩიტაურის** შეგირდები 6, 7, 9 და 10 თებერვალს, შესაბამისად, ისრაელის (დასაწყისი 13:20 ჩვენი დროით), ბელარუსი 16-წლამდელების (16:40), მოლდოვისა (13:20) და უზბეკეთის (16:40) ნაკრებებს შეხვდებიან.

მეორე ჯგუფში თავი მოიყარეს ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ბელარუსის 17-წლამდელთა ნაკრებებმა.

ჯგუფებში გამარჯვებულები პირდაპირ ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, მეორე ადგილებზე გასულები III საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებენ და ასე შემდეგ.

ამ ტურნირს ჩვენი ნაკრებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს - ჩიტაურის გუნდისთვის ეს იქნება მოსამზადებელი ეტაპი 21-29 მარტს შოტლანდიაში გასამართი ელიტრაუნდისთვის, სადაც მასპინძელი ნაკრების გარდა, საქართველოს 17-წლამდელებს გერმანელ და ჩეხ თანატოლებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ჭაბუკებმა ელიტრაუნდის საგზური ოქტომბერში, უნგრეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოიპოვეს, სადაც ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ.

**ალეკო კაკაურიძე**



ლეგიონის უქმეები

# 0!

ამ უქმეების ქართული მონაგარი ნულის ტოლია - არათუ გოლი, ჩვენმა ლეგიონერებმა საგოლე პასიც ვერ გააკეთეს! რას ვიზამთ, ასეც ხდება ხოლმე...

**ესპანეთი.** ლა ლიგა. **გიორგი მამარდაშვილი** („ვალენსია") არ ყოფილა „ატლეტიკოსთან" საგარეო მატჩის განაცხადში.

**ესპანეთი.** სეგუნდა RFEF. IV ჯგუფი. **ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავამ** („კადისი B") სრული მეორე ტაიმი ითამაშა „სან როკესთან" სტუმრად ფრედ (0:0) დასრულებულ მატჩში.

**ესპანეთი.** ტერსერა RFEF. IV ჯგუფი. **გიორგი გაგუამ** („ალავესი B") 67-ე წუთმდე ითამაშა „ურიტარასთან" სტუმრად მოგებულ (2:1) მატჩში.

**გერმანია.** II ბუნდესლიგა. **გურამ გიორბელიძემ** („დინამო" დრეზდენი) 87-ე წუთიდან ითამაშა „ჰანოვერთან" სტუმრად ფრედ (0:0) დასრულებულ მატჩში.

**გერმანია.** III ლიგა. **შალვა ოგბაიძე** („ვიქტორია" ბერლინი) არ ყოფილა „კაიზერსლაუტერნთან" სტუმრად წაგებული (0:2) მატჩის განაცხადში.

**ბელგია.** ჟუპილერ პრო ლიგა. **გიორგი მიქაუტაძემ** („სერენი") შეუცვლელად ითამაშა და 47-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო „სტ. ტრუიდენთან" სტუმრად წაგებულ (1:3) მატჩში. ეს „სერენის" ზედიზედ მე-7 მარცხია.

**გიორგი ჩაკვეტაძე** („გენტი") არ ყოფილა „შარლერუასთან" საგარეო მატჩის განაცხადში.

**ლევან შენგელიამ** („ლეუვენი") 82-ე წუთიდან ითამაშა მატჩში, რომელშიც მისი გუნდი „ბეერსხოტთან" გასვლაზე 1:3 დამარცხდა.

**ცოტნე ბენდიანიშვილი** („კორტრაიკი") სათადარიგო იყო „ეუპენთან" შინ ფრედ (1:1) დასრულებულ მატჩში.

**პორტუგალია.** ლიგა პორტუგალი. **გიორგი აბურჯანიამ** („ჟილ ვისენტე") 64-ე წუთიდან ითამაშა, ხოლო 86-ეზე ყვითელი ბარათი მიიღო „პორტიმონენშესთან" შინ მოგებული (1:0) მატჩის განაცხადში.

**პორტუგალია.** ლიგა პორტუგალ 2. **გიორგი აბუაშვილი** („პორტუ B") არ ყოფილა „კაზა პიასთან" საშინაო მატჩის (0:3) განაცხადში.

**თურქეთი.** სუპერლიგა. **საბა ლობჟანიძემ** („ჰათაისფორი") შეუცვლელად ითამაშა „რიზესფორთან" შინ ფრედ (0:0) დასრულებულ მატჩში.

**ვატო არველაძის** „ქარაგიუმრუქმა" სტუმრად 0:5 წააგო **გიორგი ხაბულიანის** „ადანა დემირსფორთან". არველაძემ სრული მეორე ტაიმი ითამაშა, ხაბულიანი განაცხადში არ ყოფილა.

**საბერძნეთი.** სუპერლიგა. გადადებული მატჩი. **ბაჩანა არაბულმა** („ლამია") 72-ე წუთიდან ითამაშა „არისთან" სტუმრად ფრედ (0:0) დასრულებულ მატჩში.

**საბერძნეთი.** სუპერლიგა 2. **ირაკლი მაისურაძე** („ასტერას ვლახიოტი") პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს „კალითეასთან" საკუთარ მოედანზე წაგებულ (0:2) მატჩში.

**კვიპროსი.** I დივიზიონი. ქართველების (**მურთაზ დაუშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი ქვილითაია**) აპოელ-მა „არისს" უმასპინძლა და ფრეს (1:1) დასჯერდა. ქვილითაია ბოლომდე მოედანზე იყო, ოქრიაშვილმა 68-ე წუთიდან ითამაშა. დაუშვილი ტრავმის გამო განაცხადში არ ყოფილა.

**ავთო ებრალიძემ** („დოქსა") შეუცვლელად ითამაშა „ოლიმპიაკოსთან" შინ ფრედ (0:0) დასრულებულ მატჩში.

**რევაზ ინჯგია** („აპოლონი") სათადარიგო იყო „პაფოსთან" სტუმრად მოგებულ (1:0) მატჩში.

**ირანი.** პრო ლიგა. **გიორგი გველესიანი** („სეპაჰანი") ძირითად შემადგენლობაში იყო „მეს რაფსანჯანთან" სტუმრად წაგებულ (1:3) მატჩში.

**ალეკო კაკაურიძე**

### ორშაბათს თამაშობენ

**ესპანეთი.** ლა ლიგა 2. „ალმერია" (**გიორგი მაკარიძე**) - „ეიბარი", 23:59

**კვიპროსი.** I დივიზიონი. აეკ ლარნაკა - „ანორთოსისი" (**გიორგი ლორია, მწვრთნელი თემურ ქეცბაია**), 21:00

**ისრაელი.** ლეუმით ლიგა. „ჰაპოელი" (ფ-თ) - „ნეს ციონა" (**ლევან კუტალია**)

### გადაიდო

**ესპანეთი.** პრიმერა RFEF. II ჯგუფი. „ალბასეტე" - „საბადელი" (**ლუკა ხარშილაძე**)

**საფრანგეთი.** ლიგა 2. „გრენობლი" (**გიორგი კოხრეიძე**) - „ნიორი"

**საბერძნეთი.** სუპერლიგა 2. პაოკ B (**ნიკა ნინუა**) - „ტრიკალა"

**ავსტრალია.** A-ლიგა. „პერს გლორი" - „ნიუკასლ ჯეთსი" (**ბექა მიქელთაძე**).

ამხანაგური მატჩი

# ნიტაიშვილის სუპერგოლი

ოდესის „ჩერნომორეცმა", სადაც ორი ქართველი - **გიორგი ნიტაიშვილი** და **ბექა ვაჩიბერაძე** თამაშობს, მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და შანსი არ დაუტოვა კოსოვოს „პრიშტინას" - 4:0.

ქართველები თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთვნენ. მატჩის ბოლო გოლი ნიტაიშვილმა გაიტანა, ოღონდ, ეს არ იყო უბრალოდ გოლი, ამას უფრო „სუპერგოლი" ეთქმის - საქართველოს ნაკრების შემტევმა მარჯვენა ფლანგზე მიიღო ბურთი, ნამებში შეაფასა სიტუაცია და ბურთი შორეულ, მაღალ კუთხეში ჩააბზრიალა.

**ალეკო კაკაურიძე**

გასულ უქმეებზე რამდენიმე საყურადღებო შედეგი დაფიქსირდა. სასწაული თამაში მოიგო „ატლეტიკომ", რომელიც 0:2-ს აგებდა შინ „ვალენსიასთან"...

ბეწვის ხიდზე გაიარა „რეალმაც" - ისიც, ორბურთიანი სხვაობით აგებდა შინ „ელჩესთან", მაგრამ თანაქალაქელებისგან განსხვავებით მხოლოდ ქულა გადაარჩინა...

ამავე „ოპერიდან" იყო მატჩი იტალიაშიც, ოღონდ, ბედნიერი დასასრულით - „ინტერმა" ძლივს მოუგო „ვენეციას" და კვლავ მყარად არის მოკალათებული პირველ ადგილზე...

შეცვლაზე შესული მარკუს რაშფორდი (გოლი მესამე დამატებულ წუთზე) და ედინსონ კავანი (პასი) რომ არა, „მანჩესტერ იუნაიტედი" შინ ქულის ამარა დარჩებოდა „ვესტ ჰემთან" პაექრობაში...

„მანჩესტერ სიტიმ" ვერ მოიგო პრემიერლიგის მორიგ ტურში, რამაც „ლივერპული" გამოაცოცხლა, თან ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული...

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XXIII ტური

**უოტფორდი-ნორვიჩი 0:3**

**გოლები:** 0:1 სერჯენტი (51), 0:2 სერჯენტი (74), 0:3 პუცა (90+2-საკ. კარში)
**გაძევება:** დენისი (78. უოტფორდი)

**ევერტონი-ასტონ ვილა 0:1**

**გოლი:** 0:1 ბუენდია (45+3)

**ბრენტფორდი-ვულვზი 1:2**

**გოლები:** 0:1 მოუტინიო (48), 1:1 ტონი (71), 1:2 ნევეში (78)

**ლიდსი-ნიუკასლი 0:1**

**გოლი:** 0:1 შელვი (75)

**მან იუნაიტედი-ვესტ ჰემი 1:0**

**გოლი:** 1:0 რაშფორდი (90+3)
**იუნაიტედი (4-2-3-1):** დე ხეა - დალოტი, მაგუაირი, ვარანი, ტელესი - მაკტომინი, ფრედი (82. კავანი) - გრინვუდი (82. მარსიალი), ბრუნო ფერნანდეში, ელანგა (62. რაშფორდი) - რონალდო

**საუთჰემპტონი-მან სიტი 1:1**

**გოლები:** 1:0 უოლკერ-პიტერსი (7), 1:1 ლაპორტი (65)
**სიტი (4-3-3):** ედერსონი - უოლკერი, რუბენ დიაში, ლაპორტი, კანსელუ - ბერნარდო სილვა, როდრი, დე ბრუინი - სტერლინგი (60. გაბრიელ ჟეზუსი), გრილიში, ფოდენი

**არსენალი-ბარნლი 0:0**

**არსენალი (4-1-4-1):** რამსდეილი - უაითი, ჰოლდინგი, გაბრიელი, ტირნი - ლოკონგა - საკა, ედეგორი, სმიტ როუ (77. ნკეტია), მარტინელი - ლაკაზეტი

**კრ. პალასი-ლივერპული 1:3**

**გოლები:** 0:1 ვან დეიკი (8), 0:2 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (32), 1:2 ედუარი (55), 1:3 ფაბინიო (89-პენ)
**ლივერპული (4-3-3):** ალისონი - ალექსანდერ-არნოლდი (90+2. ჯო გომესი), მატიპი, ვან დეიკი, რობერტსონი - ჯ. ჰენდერსონი, ფაბინიო, კ. ჯოუნსი - ოქსლეიდ-ჩემბერლენი (60. მინამინო), ჟოტა, ფირმინო (90. მილნერი)

**ლესტერი-ბრაიტონი 1:1**

**გოლები:** 1:0 დაკა (46), 1:1 უელბეკი (82)

**ჩელსი-ტოტენჰემი 2:0**

**გოლები:** 1:0 ზიეში (47), 2:0 ტიაგო სილვა (55)
**ჩელსი (4-1-4-1):** არისაბალაგა - აზპილიკუეტა, რიუდიგერი, ტიაგო სილვა, სარი - ჟორჟინიო (73. კანტე) - ზიეში (90+1. საულ ნიგესი), მაუნტი, კოვაჩიჩი, ჰადსონ-ოდოი (87. ალონსო) - ლუკაკუ
**ტოტენჰემი (4-4-2):** ლორისი - ტანგანგა (57. სკიპი), დაიერი, სანჩესი, ბ. დევისი - დოჰერტი, უინქსი (89. ბრაიან ხილი), ჰოიბერგი, სესენიონი (56. ლუკას მოურა) - ბერგვეინი, კეინი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მან სიტი | 23 | 18 | 3 | 2 | 55:14 | 57 |
| 2. ლივერპული | 22 | 14 | 6 | 2 | 58:19 | 48 |
| 3. ჩელსი | 24 | 13 | 8 | 3 | 48:18 | 47 |
| 4. მან იუნაიტედი | 22 | 11 | 5 | 6 | 36:30 | 38 |
| 5. ვესტ ჰემი | 23 | 11 | 4 | 8 | 41:31 | 37 |
| 6. არსენალი | 21 | 11 | 3 | 7 | 33:25 | 36 |
| 7. ტოტენჰემი | 20 | 11 | 3 | 6 | 26:24 | 36 |
| 8. ვულვზი | 21 | 10 | 4 | 7 | 19:16 | 34 |
| 9. ბრაიტონი | 22 | 6 | 12 | 4 | 23:23 | 30 |
| 10. ლესტერი | 20 | 7 | 5 | 8 | 34:37 | 26 |
| 11. ასტონ ვილა | 21 | 8 | 2 | 11 | 28:32 | 26 |
| 12. საუთჰემპტ. | 22 | 5 | 10 | 7 | 26:34 | 25 |
| 13. კრ. პალასი | 22 | 5 | 9 | 8 | 31:34 | 24 |
| 14. ბრენტფორდი | 22 | 6 | 5 | 12 | 26:38 | 23 |
| 15. ლიდსი | 21 | 5 | 7 | 9 | 24:40 | 22 |
| 16. ევერტონი | 20 | 5 | 4 | 11 | 24:35 | 19 |
| 17. ნორვიჩი | 22 | 4 | 4 | 14 | 13:45 | 16 |
| 18. ნიუკასლი | 21 | 2 | 9 | 10 | 21:43 | 15 |
| 19. უოტფორდი | 20 | 4 | 2 | 14 | 23:40 | 14 |
| 20. ბარნლი | 18 | 1 | 9 | 8 | 16:27 | 12 |

**ბომბარდირი:** 16 - მ. სალაჰი (ლივერპული); 10 - დ. ჟოტა (ლივერპული); 9 - ჯ. ვარდი (ლესტერი).

**მომდევნო ტური**

8 თებერვალი: ნიუკასლი-ევერტონი, ვესტ ჰემი-უოტფორდი, ბარნლი-მანჩესტერ იუნაიტედი
9 თებერვალი: მანჩესტერ სიტი-ბრენტფორდი, ნორვიჩი-კრისტალ პალასი, ტოტენჰემი-საუთჰემპტონი, ასტონ ვილა-ლიდსი
10 თებერვალი: ლივერპული-ლესტერი, ვულვზი-არსენალი

## ესპანეთი
### ლა ლიგა. XXII ტური

**ესპანიოლი-ბეტისი 1:4**

**გოლები:** 1:0 დე ტომასი (14), 1:1 ბ. იგლესიასი (31-პენ), 1:2 გ. როდრიგესი (36), 1:3 ბ. იგლესიასი (53), 1:4 ვილიან ჟოზე (76)
**გაძევება:** დე ტომასი (81. ესპანიოლი)

**ლევანტე-კადისი 0:2**

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (34), 0:2 ს. სანჩესი (73)

**ვილიარეალი-მალიორკა 3:0**

**გოლები:** 1:0 რუსო (12-საკ. კარში), 2:0 ტრიგეროსი (34), 3:0 პარეხო (87-პენ)
**გაძევება:** რუსო (86. მალიორკა)

**სევილია-სელტა 2:2**

**გოლები:** 0:1 ჩერი (37), 0:2 ასპასი (40), 1:2 ა. გომესი (71), 2:2 ო. ტორესი (74)
**სევილია (4-3-3):** დმიტროვიჩი - რეკიკი, დიეგო კარლოსი, აკუნია, მონტიელი - რეგესი (46. ა. გომესი), ჟორდანი (90+1. ლუისმი), რაკიტიჩი (46. ო. ტორესი) - კორონა (71. გუდელი), ოკამპოსი, რაფა მირი (46. რომერო)

**ატლეტიკო-ვალენსია 3:2**

**გოლები:** 0:1 მუსა (25), 0:2 დურო (44), 1:2 კუნია (64), 2:2 ა. კორეა (90+1), 3:2 ერმოსო (90+3)
**ატლეტიკო (4-4-2):** ობლაკი - ვრსალიკო (61. ერერა), ხიმენესი, ერმოსო, ლოდი (46. ა. კორეა) - კარასკო (90+9. სერანო), დე პოული, კოკე, ლემარი (57. კუნია) - ჟოაო ფელიქსი (57. ფელიპე), ლ. სუარესი

**გრანადა-ოსასუნა 0:2**

**გოლები:** 0:1 დ. გარსია (64), 0:2 კ. გარსია (89)

**რეალი-ელჩე 2:2**

**გოლები:** 0:1 ბოიე (43), 0:2 პერე მილია (76), 1:2 მოდრიჩი (82-პენ), 2:2 მილიტაო (90+2)
**რეალი (4-3-3):** კურტუა - ლ. ვასკესი (79. ვალვერდე), მილიტაო, ალაბა, მენდი - მოდრიჩი, კაზემირო, კროოსი (64. როდრიგო) - აზარი (79. ისკო), ბენზემა (58. იოვიჩი), ვინისიუსი
**გამოუყენებელი პენალტი:** ბენზემა (32. რეალი)

**ვალეკანო-ბილბაო 0:1**

**გოლი:** 0:1 ნ. სერანო (30)

**სოსიედადი-ხეტაფე 0:0**

**ალავესი-ბარსელონა 0:1**

**გოლი:** 0:1 ფ. დე იონგი (87)
**ბარსელონა (4-3-3):** ტერ შტეგენი - დესტი, პიკე, არაუხო, ალბა - ფ. დე იონგი, ბუსკეტსი, პედრი (90. ლენგლე) - ფერან ტორესი, ლ. დე იონგი (84. ჟუტგლა), აბდე ეზალზული (71. ნიკო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 22 | 15 | 5 | 2 | 47:20 | 50 |
| 2. სევილია | 22 | 13 | 7 | 2 | 34:16 | 46 |
| 3. ბეტისი | 22 | 12 | 4 | 6 | 41:25 | 40 |
| 4. ატლეტიკო | 21 | 10 | 6 | 5 | 36:26 | 36 |
| 5. ბარსელონა | 21 | 9 | 8 | 4 | 32:23 | 35 |
| 6. სოსიედადი | 20 | 9 | 6 | 5 | 22:21 | 33 |
| 7. ვილიარეალი | 22 | 8 | 8 | 6 | 36:23 | 32 |
| 8. რ. ვალეკანო | 20 | 9 | 4 | 7 | 27:21 | 31 |
| 9. ვალენსია | 22 | 7 | 8 | 7 | 35:36 | 29 |
| 10. ბილბაო | 21 | 6 | 10 | 5 | 20:17 | 28 |
| 11. ოსასუნა | 22 | 7 | 7 | 8 | 22:27 | 28 |
| 12. სელტა | 22 | 7 | 6 | 9 | 26:25 | 27 |
| 13. ესპანიოლი | 22 | 7 | 6 | 9 | 26:30 | 27 |
| 14. გრანადა | 22 | 5 | 9 | 8 | 26:33 | 24 |
| 15. ელჩე | 22 | 5 | 8 | 9 | 23:30 | 23 |
| 16. ხეტაფე | 21 | 5 | 6 | 10 | 17:23 | 21 |
| 17. მალიორკა | 21 | 4 | 8 | 9 | 17:33 | 20 |
| 18. კადისი | 22 | 3 | 9 | 10 | 19:36 | 18 |
| 19. ალავესი | 22 | 4 | 5 | 13 | 16:35 | 17 |
| 20. ლევანტე | 21 | 1 | 8 | 12 | 21:43 | 11 |

**ბომბარდირები:** 17 - კ. ბენზემა (რეალი); 12 - ვინისიუსი (რეალი), რ. დე ტომასი (ესპანიოლი), ხუანმი (ბეტისი); 11 - ი. ასპასი (სელტა); 10 - ხოსელუ (ალავესი).

**მომდევნო ტური**

4 თებერვალი: ხეტაფე-ლევანტე
5 თებერვალი: ელჩე-ალავესი, მალიორკა-კადისი, სელტა-რაიო ვალეკანო, ოსასუნა-სევილია
6 თებერვალი: ვალენსია-სოსიედადი, ბარსელონა-ატლეტიკო, ბეტისი-ვილიარეალი, რეალი-გრანადა
7 თებერვალი: ბილბაო-ესპანიოლი


ატლეტიკოს საოცარი ქამბეკი ვანდა მეტროპოლიტანოზე

# ბეწვის ხიდზე

## იტალია
### სერია A. XXIII ტური

**ვერონა-ბოლონია 2:1**

**გოლები:** 0:1 ორსოლინი (14), 1:1 კაპრარი (38), 2:1 კალინიჩი (85)

**ჯენოა-უდინეზე 0:0**

**გაძევება:** კამბიასო (79. ჯენოა)

**ინტერი-ვენეცია 2:1**

**გოლები:** 0:1 ანრი (19), 1:1 ბარელა (40), 2:1 ჯეკო (90)
**ინტერი (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - შკრინიარი, დე ვრეი, ა. ბასტონი (46. დიმარკო) - დარმიანი (73. დუმფრისი), ბარელა (72. ვიდალი), ბროზოვიჩი (82. ვესინო), ჩალჰანოღლუ, პერიშიჩი - ჯეკო, ლაუტარო მარტინესი (72. ალექსის სანჩესი)

**ლაციო-ატალანტა 0:0**

**ლაციო (4-3-3):** სტრაკოშა - ჰისაი (69. ლაძარი), ლუიზ ფელიპე, პატრიკი, მარუშიჩი - მილინკოვიჩ-სავიჩი, ლუკამ ლეივა, ლუის ალბერტო (79. ბაშიჩი) - ფელიპე ანდერსონი, ძაკანი, იმობილე

**კალიარი-ფიორენტინა 1:1**

**გოლები:** 1:0 ჟოაო პედრო (47), 1:1 სოტილი (75)
**გამოუყენებელი პენალტი:** ბირაგი (8. ფიორენტინა), ჟოაო პედრო (68. კალიარი)
**გაძევება:** ოდრიოსოლა (65. ფიორენტინა)

**ნაპოლი-სალერნიტანა 4:1**

**გოლები:** 1:0 ჟუან ჟეზუში (17), 1:1 ბონაცოლი (33), 2:1 მერტენსი (45+4-პენ), 3:1 რაჰმანი (47), 4:1 ინსინიე (53-პენ)
**ნაპოლი (4-2-3-1):** მერეტი - დი ლორენცო (76. ძანოლი), რაჰმანი, ჟუან ჟეზუში, მარიო რუი (76. გულამი) - ლობოტკა, ფაბიან რუისი (64. პოლიტანო) - ლოსანო (46. ინსინიე), ზელენსკი, ელმასი - მერტენსი (64. ოსიმენი)
**გაძევება:** ვესელი (51. სალერნიტანა)

**სპეცია-სამპდორია 1:0**

**გოლი:** 1:0 ვერდე (69)
**გაძევება:** ეკდალი (73. სამპდორია)

**ტორინო-სასუოლო 1:1**

**გოლები:** 1:0 სანაბრია (16), 1:1 რასპადორი (88)

**ემპოლი-რომა 2:4**

**გოლები:** 0:1 აბრაჰამი (24), 0:2 მანჩინი (33), 0:3 სერჯიო ოლივეირა (35), 0:4 ძანიოლო (37), 1:4 პინამონტი (55), 2:4 ბაიოში (72)
**რომა (3-5-2):** რუი პატრისიო - მანჩინი, სმოლინგი, იბანიესი - კარსდორპი, სერჯიო ოლივეირა, კრისტანტე, მხითარიანი (75. ვერეტუ), მაიტლანდ-ნაილსი (60. ვინა) - ძანიოლო (79. აფენა-გიანი), აბრაჰამი

**მილანი-იუვენტუსი 0:0**

**მილანი (4-2-3-1):** მენიანი - კალაბრია (76. ფლორენცი), კალულუ, რომანიოლი, ერნანდესი - ტონალი, კესიე - მესიაში (61. სელემეკერსი), დიასი (61. ბენნასერი), ლეაო (76. რებიჩი) - იბრაჰიმოვიჩი (28. ჟირუ)
**იუვენტუსი (4-4-2):** შჩესნი - დე შილიო, რუგანი, კიელინი, ალექს სანდრო - კუადრადო (65. ბერნარდესკი), ბენტანკური (90. რაბიო), ლოკატელი (65. არტური), მაკკენი - დიბალა (90. კულუშევსკი), მორატა (74. კინი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 16 | 5 | 1 | 53:17 | 53 |
| 2. ნაპოლი | 23 | 15 | 4 | 4 | 43:16 | 49 |
| 3. მილანი | 23 | 15 | 4 | 4 | 47:25 | 49 |
| 4. ატალანტა | 22 | 12 | 7 | 3 | 44:26 | 43 |
| 5. იუვენტუსი | 23 | 12 | 6 | 5 | 34:21 | 42 |
| 6. რომა | 23 | 12 | 2 | 9 | 40:30 | 38 |
| 7. ფიორენტინა | 22 | 11 | 3 | 8 | 41:30 | 36 |
| 8. ლაციო | 23 | 10 | 6 | 7 | 46:39 | 36 |
| 9. ვერონა | 23 | 9 | 6 | 8 | 43:38 | 33 |
| 10. ტორინო | 22 | 9 | 5 | 8 | 30:21 | 32 |
| 11. სასუოლო | 23 | 7 | 8 | 8 | 39:38 | 29 |
| 12. ემპოლი | 23 | 8 | 5 | 10 | 37:47 | 29 |
| 13. ბოლონია | 22 | 8 | 3 | 11 | 29:37 | 27 |
| 14. სპეცია | 23 | 7 | 4 | 12 | 24:42 | 25 |
| 15. უდინეზე | 21 | 4 | 9 | 8 | 28:36 | 21 |
| 16. სამპდორია | 23 | 5 | 5 | 13 | 29:41 | 20 |
| 17. ვენეცია | 22 | 4 | 6 | 12 | 20:40 | 18 |
| 18. კალიარი | 23 | 3 | 8 | 12 | 22:44 | 17 |
| 19. ჯენოა | 23 | 1 | 10 | 12 | 20:45 | 13 |
| 20. სალერნიტანა | 21 | 3 | 2 | 16 | 14:50 | 11 |

**ბომბარდირი:** 17 - ჩ. იმობილე (ლაციო), დ. ვლაჰოვიჩი (ფიორენტინა); 12 - ჯ. სიმეონე (ვერონა); 11 - ლ. მარტინესი (ინტერი); 10 - დ. ბერარდი (სასუოლო), ჟ. პედრო (კალიარი).

**მომდევნო ტური**

6 თებერვალი: რომა-ჯენოა, ატალანტა-კალიარი, ბოლონია-ემპოლი, ფიორენტინა-ლაციო, ინტერი-მილანი, იუვენტუსი-ვერონა, სალერნიტანა-სპეცია, სამპდორია-სასუოლო, უდინეზე-ტორინო, ვენეცია-ნაპოლი

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XX ტური

**აინტრახტი-არმინია 0:2**

**გოლები:** 0:1 ვიმერი (5), 0:2 შოპფი (27)

**ლევერკუზენი-აუგსბურგი 5:1**

**გოლები:** 1:0 ბელარაბი (9), 2:0 დიაბი (24), 2:1 მაიერი (62), 3:1 დიაბი (64), 4:1 დიაბი (70), 5:1 ალარიო (82)

**გლადბახი-უნიონი 1:2**

**გოლები:** 0:1 კრუზე (18-პენ), 1:1 კონე (40), 1:2 კრუზე (84)

**ფრაიბურგი-შტუტგარტი 2:0**

**გოლები:** 1:0 იტო (37-საკ. კარში), 2:0 შადე (72)

**ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი 2:3**

**გოლები:** 0:1 ჰალანდი (6), 1:1 კრამარიჩი (45+1), 1:2 როისი (58), 1:3 რაუში (66-საკ. კარში), 2:3 რუტერი (77)
**დორტმუნდი:** კობელი - ვოლფი (56. ზაგადუ), აკანჯი (83. პონგრაჩიჩი), ჰუმელსი, რაფაელ გერეირო - ბელინგემი, დაუდი - ბრანდტი (56. თ. აზარი), როისი, მალენი (83. მუკოკო) - ჰალანდი (63. ვიტცელი)

**ფიურტი-მაინცი 2:1**

**გოლები:** 1:0 დუდაკი (12), 2:0 ბელი (66-საკ. კარში), 2:1 ონისივო (90+3)

**ბოხუმი-კიოლნი 2:2**

**გოლები:** 1:0 ჰოლტმანი (25), 1:1 ჰიუბერსი (36), 1:2 მოდესტე (45), 2:2 ასანო (70)

**ლაიპციგი-ვოლფსბურგი 2:0**

**გოლები:** 1:0 ორბანი (76), 2:0 გვარდიოლი (84)
**ლაიპციგი:** გულაჩი - სიმაკანი (74. მუკიელე), ორბანი, გვარდიოლი - ჰენრიხსი (55. კლოსტერმანი), ლაიმერი (56. ადამსი), კამპლი, ანჯელინო, ნკუნკუ (81. პოულსენი) - ანდრე სილვა, ნოვოა (88. ოლმო).

**ჰერტა-ბაიერნი 1:4**

**გოლები:** 0:1 ტოლისო (25), 0:2 მიულერი (45), 0:3 სანე (75), 0:4 გნაბრი (79), 1:4 ეკელენკამპი (85)
**ბაიერნი:** ნოიერი - კიმიხი, პავარი, ზიულე, ერნანდესი (79. უპამეკანო) - ტოლისო (69. ზაბიტცერი) - გნაბრი (80. მუსიალა), მიულერი (80. ვანერი), სანე, კომანი (69. რიჩარდსი) - ლევანდოვსკი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 20 | 16 | 1 | 3 | 65:19 | 49 |
| 2. დორტმუნდი | 20 | 14 | 1 | 5 | 52:31 | 43 |
| 3. ლევერკუზენი | 20 | 10 | 5 | 5 | 49:32 | 35 |
| 4. უნიონი | 20 | 9 | 7 | 4 | 29:25 | 34 |
| 5. ფრაიბურგი | 20 | 9 | 6 | 5 | 33:23 | 33 |
| 6. ლაიპციგი | 20 | 9 | 4 | 7 | 38:23 | 31 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 20 | 9 | 4 | 7 | 41:32 | 31 |
| 8. კიოლნი | 20 | 7 | 8 | 5 | 32:34 | 29 |
| 9. აინტრახტი | 20 | 7 | 7 | 6 | 30:30 | 28 |
| 10. მაინცი | 20 | 8 | 3 | 9 | 28:23 | 27 |
| 11. ბოხუმი | 20 | 7 | 3 | 10 | 19:29 | 24 |
| 12. გლადბახი | 20 | 6 | 4 | 10 | 26:37 | 22 |
| 13. ჰერტა | 20 | 6 | 4 | 10 | 22:42 | 22 |
| 14. არმინია | 20 | 4 | 9 | 7 | 20:26 | 21 |
| 15. ვოლფსბურგი | 20 | 6 | 3 | 11 | 17:32 | 21 |
| 16. აუგსბურგი | 20 | 4 | 7 | 9 | 20:35 | 19 |
| 17. შტუტგარტი | 20 | 4 | 6 | 10 | 22:35 | 18 |
| 18. ფიურტი | 20 | 2 | 4 | 14 | 17:52 | 10 |

**ბომბარდირები:** 23 - რ. ლევანდოვსკი (ბაიერნი); 18 - პ. შიკი (ლევერკუზენი); 16 - ე. ჰალანდი (დორტმუნდი); 13 - ა. მოდესტე (კიოლნი).

**მომდევნო ტური**

4 თებერვალი: ჰერტა-ბოხუმი
5 თებერვალი: შტუტგარტი-აინტრახტი, მაინცი-ჰოფენჰაიმი, აუგსბურგი-უნიონი, არმინია-გლადბახი, კიოლნი-ფრაიბურგი, ბაიერნი-ლაიპციგი
6 თებერვალი: დორტმუნდი-ლევერკუზენი, ვოლფსბურგი-ფიურტი

## საფრანგეთი
### ლიგა 1. XXII ტური

**ლიონი-სტ. ეტიენი 1:0**

**გოლი:** 1:0 დემბელე (15-პენ)

**ბრესტი-ლილი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯალო (3-საკ. კარში), 2:0 მონიე (90+5-პენ)

**ლანსი-მარსელი 0:2**

**გოლები:** 0:1 პაიე (34-პენ), 0:2 ბაკამბუ (77)

**მეცი-ნიცა 0:2**

**გოლები:** 0:1 ტურამი (58), 0:2 გუირი (86)

**ანჟერი-ტრუა 2:1**

**გოლები:** 0:1 დომინგესი (11), 1:1 მანგანი (26-პენ), 2:1 მანგანი (37-პენ)

**ბორდო-სტრასბური 4:3**

**გოლები:** 1:0 ჰვანი (17), 2:0 ელისი (21), 3:0 ჰვანი (39), 3:1 გამეირო (43), 3:2 გამეირო (57), 4:2 ჰვანი (90), 4:3 მაჯიდი (90+6)

**კლერმონი-რენი 2:1**

**გოლები:** 0:1 სანტამარია (19), 1:1 და კუნია (60), 2:1 ტელი (71)

**ნანტი-ლორიანი 4:2**

**გოლები:** 1:0 ჟიროტო (3[illegible]), 2:0 კოლო მუანი (53), 2:1 მოფი (56), 3:1 ბაკარ[illegible] (69), 3:2 სუმანო (85), 4:2 გებელსი (86)

**მონპელიე-მონაკო 3:2**

**გოლები:** 1:0 ვაჰი (13), 2:0 მავიდიდი (32), 2:1 ბენ იედერი (34), 2:2 ვანდერსონი (82), 3:2 მავიდიდი (90+1)

**პსჟ-რეიმსი 4:0**

**გოლები:** 1:0 ვერატი (44), 2:0 სერხიო რამოსი (62), 3:0 ფაესი (67-საკ. კარში), 4:0 დანილო (75)
**პსჟ (4-3-3):** ნავასი - კერერი, მარკინიოსი, სერხიო რამოსი, მენდეში - პარედესი, ვერატი (76. ანდერ ერერა), დანილო - დი მარია (63. მესი), იკარდი, მბაპე (77. დრაქსლერი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 22 | 16 | 5 | 1 | 46:18 | 53 |
| 2. ნიცა* | 22 | 13 | 4 | 5 | 36:18 | 42 |
| 3. მარსელი | 21 | 11 | 7 | 3 | 30:16 | 40 |
| 4. სტრასბური | 22 | 10 | 5 | 7 | 44:29 | 35 |
| 5. რენი | 22 | 10 | 4 | 8 | 41:21 | 34 |
| 6. მონპელიე | 22 | 10 | 4 | 8 | 37:30 | 34 |
| 7. მონაკო | 22 | 9 | 6 | 7 | 35:26 | 33 |
| 8. ლანსი | 22 | 9 | 6 | 7 | 36:31 | 33 |
| 9. ნანტი | 22 | 9 | 5 | 8 | 30:27 | 32 |
| 10. ლილი | 22 | 8 | 8 | 6 | 30:30 | 32 |
| 11. ლიონი* | 21 | 8 | 8 | 5 | 29:27 | 31 |
| 12. ანჟერი | 21 | 7 | 8 | 6 | 28:28 | 29 |
| 13. ბრესტი | 22 | 7 | 7 | 8 | 28:33 | 28 |
| 14. რეიმსი | 22 | 5 | 9 | 8 | 22:27 | 24 |
| 15. კლერმონი | 22 | 5 | 6 | 11 | 22:39 | 21 |
| 16. ტრუა | 22 | 5 | 5 | 12 | 20:31 | 20 |
| 17. ბორდო | 22 | 4 | 8 | 10 | 34:53 | 20 |
| 18. მეცი | 22 | 4 | 7 | 11 | 24:43 | 19 |
| 19. ლორიანი | 22 | 3 | 8 | 11 | 18:38 | 17 |
| 20. სტ. ეტიენი | 21 | 2 | 6 | 13 | 18:43 | 12 |

* - ნიცას და ლიონს დაკლებული აქვთ თითო ქულა

**ბომბარდირები:** 13 - ვ. ბენ იედერი (მონაკო); 12 - ჯ. დევიდი (ლილი); 10 - კ. მბაპე (პსჟ), ლ. აჯორკა (სტრასბური), ა. გუირი (ნიცა), გ. ლაბორდი (რენი), მ. ტერიე (რენი).

**გადატანილი მატჩი**

26 იანვარი: ანჟერი-სტ. ეტიენი

**მომდევნო ტური**

4 თებერვალი: მარსელი-ანჟერი
5 თებერვალი: სტ. ეტიენი-მონპელიე, მონაკო-ლიონი
6 თებერვალი: ლორიანი-ლანსი, ნიცა-კლერმონი, რეიმსი-ბორდო, სტრასბური-ნანტი, ტრუა-მეცი, რენი-ბრესტი, ლილი-პსჟ


მარკუს რაშფორდს გააქვს გამარჯვების გოლი ვესტ ჰემის კარში





პრემიერლიგა
## კონტე წარსულთან დამარცხდა

პრემიერლიგის მორიგ ტურში გულშემატკივარმა რამდენიმე ძალიან დრამატული შეხვედრა იხილა. მათ შორის უსათუოდ უნდა გამოვარჩიოთ „მანჩესტერ იუნაიტედის" გვიანი გამარჯვება „ვესტ ჰემთან".

მესამე დამატებულ წუთზე „წითელ ეშმაკებს" **მარკუს რაშფორდმა** მოაგებინა, ვინც შეცვლაზე შევიდა და საგოლე პასიც კიდევ ერთი სამარქაფოსგან - **ედინსონ კავანისგან** მიიღო. გახსოვთ, „იუნაიტედი" ადრე ხშირად იგებდა დამატებით დროში ასეთ რთულ თამაშებს, ოღონდ, ეგ არის, რომ ახლა **კრიშტიან რონალდო** ვერ არის ფორმაში.

„ევერტონს" ვერ უშველა დროებით მწვრთნელად კლუბის ლეგენდის, **დანკან ფერგიუსონის** დანიშვნამ. **სტივენ ჯერარდის** განვრთნილმა „ასტონ ვილამ" კი მორიგი კარგი მატჩი ჩაატარა და დამსახურებულადაც მოიგო.

ვერ მოიგო „მანჩესტერ სიტიმ". ლიდერი სულაც აგებდა „საუთჰემპტონთან", მაგრამ ფავორიტს ქულა ცენტრალურმა მცველმა **აიმერიკ ლაპორტმა** გადაურჩინა. არადა, „ქალაქელები" ტრადიციულად დიდ უპირატესობას ფლობდნენ...

„არსენალმა" გაფლანგა საუკეთესო ოთხეულში დამკვიდრების შანსი, ვერ მოუგო რა შინ აუტსაიდერ „ბარნლის". სასწაული შანსი გაუშვა ხელიდან **ალექსანდრ ლაკაზეტმა**. მართალია, „მეთოფეები" დომინირებდნენ, მაგრამ ეს გოლებში ვერ ასახეს - 0:0.

„ლივერპულმა" **მოჰამედ სალაჰისა** და **სადიო მანეს** გარეშე გასვლაზე აჯობა „კრისტალ პალასს". ნამატჩევს, პირველი გოლის ავტორმა **ვირჯილ ვან დეიკმა** თქვა - ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ გვაქვსო.

**ანტონიო კონტე** ერთ დროს „ჩელსის" წვრთნიდა, ახლა კი „არისტოკრატებს" გასვლით ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემის" დამრიგებლის რანგში დაუპირისპირდა და 0:2 დამარცხდა. „ჩელსიმ" **ჰაკიმ ზიეჩისა** და **ტიაგო სილვას** იმარჯვა.

**ფაქტები**

* კრიშტიანო რონალდომ ბოლო 90 საჯარიმო დარტყმიდან მხოლოდ ერთი აქცია გოლად.
* კრიშტიანო რონალდომ ზედიზედ მესამე ისეთი მატჩი ჩაატარა, რომელშიც ვერც გოლი გაიტანა და ვერც საგოლე გადაცემა შეასრულა.
* ბოლოს კრიშტიანო რონალდომ 2021 წლის 30 დეკემბერს გამოიჩინა თავი „ბარნლისთან" გოლით და საგოლე პასით.
* „ევერტონმა" მიმდინარე სეზონში მეცხრედ გაუშვა პირველმა გოლი მატჩში და ყველა ასეთი მატჩი წააგო.
* „არსენალს", ყველა ტურნირის ჩათვლით, არ მოუგია ბოლო 5 შეხვედრიდან არცერთი.
* „ჩელსიმ" ყველა ტურნირზე ზედიზედ მეოთხე მატჩი მოუგო „ტოტენჰემს".

ალეკო კაკაურიძე

ლა ლიგა
## ქამბექების ტური

ორკვირიანი პაუზის წინ „სამეფო კლუბმა" კვლავ შეინარჩუნა „სევილიასთან" 4-ქულიანი უპირატესობა, მას 10 ქულამდე მიუახლოვდა „ბეტისი", 14-მდე კი „ატლეტიკო"...

საოცარი მატჩი გაიმართა „ვანდა მეტროპოლიტანოზე", სადაც „ატლეტიკო" „ვალენსიასთან" 64-ე წუთამდე 0:2-ს აგებდა, ასევე მარცხდებოდა **დიეგო სიმეონეს** გუნდი 90 წუთის გასვლის შემდეგაც, თუმცა შეცვლაზე შესულებმა **კუნიამ** და **კორეამ** გაიტანეს, მე-3 კომპენსირებულ წუთზე კი „ლამურების" კარში **მარიო ერმოსომ** გაიტანა და ჩემპიონს სამი ქულა მოუტანა.

**დიეგო სიმეონე** („ატლეტიკოს" მწვრთნელი): „პირველი ტაიმი ჩვენი არ იყო, მეტოქემ ორჯერ გაგვიტანა. ვიცოდით, რომ ფანები ბოლომდე გვიგულშემატკივრებდნენ და დანებების საშუალებას არ მოგვცემდნენ. სხვა შემთხვევაში, აუცილებლად გავაკრიტიკებდი ბიჭებს, მაგრამ ვხედავდი, რომ მოედანზე „ატლეტიკო" გავიდა და ალარაფერი იყო საჭირო. ბევრმა ვერ გაიგო, რატომ შევცვალე ჟოაო ფელიქსი ფელიპეთი, მაგრამ ეს ნორმალურია. ჩვენ გვჭირდებოდა კუნიას ტიპის ფეხბურთელი მოედანზე. კარასკოს და კორეას შესანიშნავი ტაიმი ჰქონდათ. ბევრი ვიბრძოლეთ და სიტუაცია შევცვალეთ. ძალიან მაგარი მატჩი მოვიგეთ".

ტურში კიდევ ორმა გუნდმა მოახერხა 2-ბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა, მაგრამ ლიდერმა „რეალმა" და „სევილიამ" ვერ მოიგეს, მხოლოდ ქულა გადაარჩინეს. „სამეფო კლუბს" კომპენსირებულ დროში **ედერ მილიტაოს** თავურმა უშველა, თორემ „ელჩესთან" სენსაციურად მარცხდებოდა.

**ფაქტები**

* ჩოკო ლოსანომ „კადისის" ბოლო 6 საგარეო გოლიდან 5-ში მიიღო უშუალო მონაწილეობა (3 გოლი, 2 საგოლე პასი).
* ლა ლიგაში ჯერ არცერთ გუნდს არ შეუნარჩუნებია ადგილი, მას მერე, რაც 21-ე ტურის შემდეგ 11 ქულა ჰქონია - „ლევანტე".
* მანუ ტრიგეროსმა (ვილიარეალი) ამ სეზონში ლა ლიგაში 5 გოლი გაიტანა, მეტი, ვიდრე წინა ცხრა სეზონში ცალ-ცალკე.
* ფრანკო რუსო (მალიორკა) ლა ლიგაში პირველი ფეხბურთელი გახდა, სულ მცირე 2003 წლის მერე, ვინც ერთ მატჩში გაიტანა ავტოგოლი, „აიკიდა" პენალტი და გააძევეს. შაბათს აშკარად არ იყო მისი დღე.
* ხესუს კორონა მე-4 მექსიკელია, ვინც „სევილიას" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა ლა ლიგაში.
* „სევილიამ" პირველ ტაიმში ორი და მეტი გოლი 2021 წლის ნოემბრის მერე პირველად გაუშვა.
* იაგო ასპასმა (სელტა) „სევილიას" კარიერაში 10 გოლი გაუტანა, „სევილია" ასპასის ყველაზე საწვარელი „საპნილოა".
* იან ობლაკმა (ატლეტიკო) ამ სეზონში 26 გოლი გაუშვა. ლა ლიგაში ის ყველაზე ცუდი მეკარეა ამ სეზონში დარტყმებთან შეფარდებით გაშვებულ ბურთებში.
* „ოსასუნამ" ლა ლიგაში ბოლო 6 გოლიდან 4 თავით გაიტანა. სულ ნავარელებს ამ სეზონში 7 გოლი აქვთ თავით გატანილი, მეტი მხოლოდ „ბარსელონას" (8 გოლი) აქვს.
* „ატლეტიკო" მხოლოდ მეორე გუნდია ამ საუკუნეში, რომელმაც ლა ლიგაში მოგება მას მერე შეძლო, რაც კომპენსირებულ დრომდე აგებდა და ამ დროში ორი გოლი გაიტანა, პირველი „ბეტისი" იყო (2011 წელს), ორივეს მსხვერპლი „ვალენსიაა".
* უგო დურომ (ვალენსია) ლა ლიგაში „ატლეტიკოს" სამი გოლი გაუტანა, ამდენივე - სხვა გუნდებს.
* 2017 წლის მარტის შემდეგ პირველად, „რეალმა" ორბურთიანი სხვაობა ამოქაჩა.
* ქარიმ ბენზემამ (რეალი) ლა ლიგაში პირველად ვერ გაიტანა პენალტი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სერია A
## რომას ერთი ტაიმიც ეყო...

ტურს ინტრიგა ნამდვილად არ აკლდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ინტერმა" ბეწვის ხიდზე გაიარა. მილანელები ვერ იგებდნენ „ვენეციასთან" საშინაო შეხვედრას, რომლის უპირობო ფავორიტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ **ედინ ჯეკომ** სულ ბოლოს 3 ქულა მაინც მოუტანა მილანელებს.


სიმონე ინძაგის ინტერი მყარ ლიდერობას ინარჩუნებს

ძალიან უსახური გამოდგა „ლაციოსა" და „ატალანტას" რომაული დაპირისპირება. ეს ალბათ იმის გამოც მოხდა, რომ „ატალანტას" უამრავი ფეხბურთელი აკლდა ძირითადი შემადგენლობიდან (სათადარიგოთა სკამზე თითქმის სულ აკადემიის აღსაზრდელები ისხდნენ). საბოლოოდ შეხვედრა 0:0 დასრულდა.

ისევ მოუმატა „ნაპოლიმ", საშინაო მატჩში შანსი არ დაუტოვა „სალერნიტანას", „რომამ" კი უხვგოლიან შეხვედრაში გასვლაზე მოუგო „ემპოლის". უკვე პირველ ტაიმში რომაელებმა 4 უპასუხო გოლი გაიტანეს.

მეორე ნახევარში **ჟოზე მოურინიომ** ცოტა კი ინერვიულა, რადგან მისმა „ჯალაროსიმ" 2 ბურთი გაუშვა, მაგრამ ტოსკანელებმა მეტი ველარ შეძლეს.

**ფაქტები**

* „ლაციომ" და „ატალანტამ" 0:0 ბოლოს 2007 წელს ითამაშეს.
* „ნაპოლიმ" ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში.
* „რომამ" ზედიზედ მე-5 მატჩში აჯობა „ემპოლის".
* სერჟიო ოლივეირამ „რომაში" მეორე მატჩი ჩაატარა და მეორე გოლი გაიტანა.

ალეკო კაკაურიძე

ბუნდესლიგა
## ლევანდოვსკიც არ იყო საჭირო...

„დორტმუნდი" სწრაფად მოვიდა გონს გერმანიის თასიდან გავარდნის შემდეგ და „ჰოფენჰაიმთან" კარგად გამოიყურებოდა. შესანიშნავი იყო პირველი საგოლე კომბინაცია და ერლინგ ჰალანდის გოლი სამმატჩიანი პაუზის შემდეგ. თუმცა, მის შემდეგ „დორტმუნდს" პრობლემები შეექმნა, როდესაც მასპინძლებმა მოუმატეს და ხორვატმა ვეტერანმა **ანდრეი კრამარიჩმა** თავისი მე-1000 გოლი გაიტანა „ჰოფენჰაიმში".

სტუმრებმა შეძლეს შესვენებაზე გონს მოსვლა და „დორტმუნდისთვის" ხელი არ შეუშლია ჰალანდის შეცვლას, რომელიც დისკომფორტს გრძნობდა პირველ ტაიმში მიღებული დაზიანების გამო. ნორვეგიელის გარეშე შეტევაში ლიდერობა თავის თავზე აიღო **დონიელ მალენმა**, რომლის ასისტენტური ჰეთ-თრიკი მხოლოდ იმის გამო არ შედგა, რომ მისი პასი ავტოგოლად იქცა.

კვირას, „ბაიერნმა" აღადგინა ცხრაქულიანი უპირატესობა, თან ახალი რეკორდი დაამყარა - 20 ტურის შემდეგ 65 გოლი აქამდე არცერთ გუნდს არ გაუტანია. თუ „რეკორდმაისტერი" ამ გრაფიკით გააგრძელებს, სეზონს 111 გოლით დაასრულებს. ამჯერად, მიუნხენელები **რობერტ ლევანდოვსკის** გარეშე გავიდნენ ფონს.

პოლონელი მინდორზე იყო, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში შედეგიანი მოქმედება არ ჰქონია. სამაგიეროდ, 135-ე გოლი გაიტანა ბუნდესლიგაში **თომას მიულერმა**. სხვათა შორის, მისი გოლი მე-100 იყო „ბაიერნისთვის" **იულიან ნაგელსმანის** ხელმძღვანელობით. ამისთვის 29 მატჩი გახდა საჭირო.

**ფაქტები**

* „ლევერკუზენი" შინ 5 მატჩია არ აგებს.
* „აუგსბურგს" 5-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს.
* დიაბიმ (ლევერკუზენი) ბუნდესლიგაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა.
* „ლევერკუზენს" არასოდეს გაუტანია 20 ტურის შემდეგ 48 გოლი.
* „ლევერკუზენს" არასოდეს წაუგია „აუგსბურგთან": +15=7-0.
* „გლადბახმა" შინ ზედიზედ მეოთხედ წააგო.
* „გლადბახი" (289) ამ სეზონში დარტყმების რაოდენობით მხოლოდ „ბაიერნს" (378) ჩამორჩება, მაგრამ მხოლოდ 25 გოლი გაიტანა, დარტყმების გამოყენების რვა პროცენტს შეადგენს.
* „დორტმუნდმა" ზედიზედ მესამედ და ბოლო ხუთ მატჩში მეოთხედ მოიგო.
* შეწყდა „ჰოფენჰაიმის" 7-მატჩიანი წაუგებელი სერია საკუთარ მოედანზე.
* ჰალანდს ბუნდესლიგაში ჩატარებულ 57 მატჩში 56 გოლი აქვს გატანილი, ხოლო 79 ოფიციალურ მატჩში „დორტმუნდის" მაისურით 80 გოლი გაიტანა.
* კრამარიჩს „დორტმუნდის" წინააღმდეგ 10 მატჩში რვა გოლი აქვს გატანილი.
* მატს ჰუმელსმა „დორტმუნდის" რიგებში 422-ე მატჩი ჩაატარა და გაუსწრო შტეფან როიტერს. ამ მაჩვენებლით ჰუმელსზე წინ მხოლოდ მიხაელ ცორკი (571 მატჩი) და რომან ვაიდენფელერი (453) არიან.
* „კიოლნი" ექვსი მატჩია „ბოხუმთან" არ აგებს.
* „ლაიპციგმა" ზედიზედ მესამედ მოიგო - პირველად წლევანდელ სეზონში.
* „ლაიპციგს" ბუნდესლიგაში 100 მოგება დაუგროვდა. ამისთვის 190 მატჩი დასჭირდა.
* „ბაიერნმა" სტუმრად ზედიზედ მეოთხედ მოიგო.
* „ბაიერნი" ბუნდესლიგაში ზედიზედ 67 მატჩია უგოლოდ არ ტოვებს მოედანს.
* სერჟ გნაბრიმ ზედიზედ მეექვსე სეზონში გაიტანა მინიმუმ 10 გოლი.

გიორგი თვალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის დუშან ვლაჰოვიჩი



**გაბრიელ ბატისტუტას** დროიდან მოყოლებული, „ფიორენტინა" დიდი ხანი ველარ იწონებდა თავს კარგი მეცხრე ნომრით. მაგრამ ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლეგენდარული არგენტინელის მემკვიდრეობას სერბი **დუშან ვლაჰოვიჩი** აგრძელებს.

ვლაჰოვიჩმა ამ სეზონში უკვე მოასწრო ყველა ტურნირზე 21 მატჩში 19 გოლის გატანა. 21 წლის ფეხბურთელის შესაძლებლობები უკვე შეამჩნიეს დიდმა კლუბებმა - „არსენალმა" და „მანჩესტერ სიტიმ". იტყობინებიან, რომ ვლაჰოვიჩისთვის რბოლაში „არსენალი" ლიდერობს, რომელიც მზად არის 190 სანტიმეტრი სიმაღლის ფორვარდისთვის თავისი სატრანსფერო რეკორდი მოხსნას.

ვლაჰოვიჩის საფეხბურთო ამბავი 15 წლიდან იწყება, როცა ის ბელგრადის „პარტიზანში" ჩაირიცხა. ის აღმერთებს **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** და შვედს ქედმაღლური ქცევით ჰგავს.

■ ■ ■

იქამდე, სანამ ფლორენციაში გააღმერთებდნენ, ვლაჰოვიჩმა სამშობლოში მიიპყრო ყურადღება.

2014 წელს ის „პარტიზანს" შეუერთდა, მანამდე კი ბელგრადის სხვა ცნობილ კლუბებში - ოფკ-სა და „ცრვენა ზვეზდაში" მოასწრო თამაში.

ერთი წლის შემდეგ, ფორვარდმა კარიერაში პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა - მაშინ მხოლოდ 15 წლის იყო. ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელებმა მასში დიდი პოტენციალი დაინახეს და კონტრაქტიც ამის წყალობით დაიმსახურა.

2016 წელს, ვლაჰოვიჩს 9-ნომრიანი მაისური „პარტიზანის" მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **ივან ტომიჩმა** გადასცა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ეს ბიჭი მოედანზე „ნამდვილი მონსტრი" გახდებოდა.

აი, რას იხსენებს Sky Sports-თან ინტერვიუში „პარტიზანის" მთავარი მწვრთნელის მაშინდელი თანაშემწე **ზარკო ლაზეტიჩი**: *„ორი ვარჯიშის შემდეგ ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა ივან ტომიჩმა თქვა: „ეს ბიჭი - მონსტრია. ეს არის მოთამაშე, რომელიც 100 მილიონი ევრო ეღირება".*

მალე ვლაჰოვიჩმა რეკორდების დამყარება დაიწყო - ის გახდა კლუბის ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი. მანამდე ეს რეკორდი მადრიდის „რეალის" ფორვარდ **ლუკა იოვიჩს** ეკუთვნოდა. ამის შემდეგ, დუშანი „პარტიზანის" ყველაზე ახალგაზრდა ბომბარდირიც გახდა.

თანდათან გაჩნდა ფორვარდის მიმართ „არსენალის", „იუვენტუსისა" და „ანდერლეხტის" ინტერესი. მაგრამ ვლაჰოვიჩის საოცნებო ტრანსფერი სულ სხვა კლუბში განხორციელდა და ეს მისი ცნობილი თანაგუნდელის დახმარებით მოხდა.

■ ■ ■

„პარტიზანში" ვლაჰოვიჩის პარტნიორი იყო ბულგარული ფეხბურთის ლეგენდა **ვალერი ბოჟინოვი,** რომელსაც სერია A-ში ბევრ კლუბში უთამაშია, მათ შორის, „ფიორენტინაში".

ახალგაზრდა ფეხბურთელის შესაძლებლობებით აღფრთოვანებულმა ბოჟინოვმა მაშინვე დაურეკა ფლორენციული კლუბის სპორტულ დირექტორ **პანტალეო კორვინოს.**

*„მე ვურჩიე კორვინოს ვლაჰოვიჩის შეძენა, არადა, ის 15 თუ 16 წლის იყო"*, - განუცხადა ბოჟინოვმა გამოცემა Football Italia-ს.

*„ვლაჰოვიჩი არანორმალური იყო, მართლაც არანორმალური. ის მეუბნებოდა: „მე ვარ ზლატან იბრაჰიმოვიჩი ბელგრადიდან, მე უძლიერეს კლუბებში ვითამაშებ". მომწონდა მისი ქედმაღლობა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ძლიერი მოთამაშე გახდებოდა"*, - ესეც ბოჟინოვის სიტყვებია.

„ფიორენტინა" ბულგარელს ენდო. 17 წლის ვლაჰოვიჩთან წინასწარი კონტრაქტი გაფორმდა. სერბი იტალიაში სამ მილიონ ევროდ 18 წლის ასაკში გადავიდა.

ვლაჰოვიჩს დიდი დრო არ დასჭირვებია „ფიორენტინას" გულშემატკივართა გულის მოსაგებად.

მან 2019 წელს, იტალიის თასზე „მონცას" წინააღმდეგ დუბლი შეასრულა. მომდევნო სეზონში კი უკვე გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. 2021 კალენდარულ წელს მან სერია A-ში 33 გოლი გაიტანა, რაც კრიშტიანო რონალდოს მიერ 2020 წელს დამყარებული რეკორდის გამეორებაა.

■ ■ ■

ამასობაში, ვლაჰოვიჩი სერბეთის ნაკრების ძირითადის მყარი წევრი გახდა. მისი სერიოზული წვლილი ის არის, რომ სერბეთის ნაკრებმა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა. მან ყატარის საგზური ბოლო ტურში პორტუგალიის ნაკრების დამარცხებით მოიპოვა.

იმ მატჩის შემდეგ, ვლაჰოვიჩმა იმედგაცრუებულ **კრიშტიანო რონალდოსთან** მიახლოება სცადა, მაგრამ მათ შორის თბილი საუბარი არ გამოვიდა. პორტუგალიელი აშკარად გაღიზიანებული ჩანდა.

ვლაჰოვიჩი ასე იხსენებს იმ მომენტს: *„მამა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ყოველი მატჩის შემდეგ, მიუხედავად იმისა, მოვიგებდი თუ წავაგებდი, უნდა მივსულიყავი მეტოქესთან, გავსაუბრებოდი მას, ხელი უნდა ჩამომერთმია ყველასთვის. მე ამას ახლაც ვაკეთებ.*

*წავედი რონალდოსკენ. გასაგებია, რომ იმ მომენტში ის აღელვებული და გაბრაზებული იყო. ერთადერთი, რაც მითხრა იყო ის, რომ ბელგრადში გატანილი გოლი არ უნდა გაეუქმებინათ და ეს ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა.*

*მე მას წარმატება ვუსურვე პლეი ოფში და დავარწმუნე, რომ ისინი გავიდოდნენ ფინალში, რადგან ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია".*

ცნობისთვის, ვლაჰოვიჩს სერბეთის ნაკრებში ჩატარებულ 12 მატჩში შვიდი გოლი აქვს გატანილი.



# მესიმ კარაგერს ვირი უწოდა

„ლივერპულის" ყოფილმა ფეხბურთელმა **ჯეიმი კარაგერმა** აღიარა, რომ პირადი შეტყობინება მიიღო „პარი სენ-ჟერმენის" ფორვარდ **ლიონელ მესისგან.** არგენტინელმა ინგლისელს „ვირი" უწოდა მას შემდეგ, რაც კარაგერმა ივარაუდა, რომ მესის გადასვლა პარიზულ კლუბში არ იყო სწორი ტრანსფერი.

*„ინსტაგრამში" პირადი შეტყობინება მივიღე მესისგან. არ გიჩვენებთ ამ შეტყობინებას, მაგრამ მასში მან ვირი მიწოდა.*

*იმედია, ის პარასკევობით უყურებს ფეხბურთს ჩემი კომენტარებით, რადგან მინდა ვუთხრა: „ლიონელ, მე შენ ძალიან მიყვარხარ. შენ ყველა დროის უდიადესი ფეხბურთელი ხარ, და შენთან შედარებით, მე ვირი ვიყავი. ვიღებ ამას, მაგრამ შენ ვერ მოხვდები ჩემ მიერ შედგენილი გასული წლის გუნდში. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში კოპა ამერიკა მოიგე არც ისე კარგად თამაშობდი, იმისთვის, რომ სალაჰი გუნდის მიღმა დამეტოვებინა"*, - მოჰყავს კარაგერის სიტყვები Sky Sports-ს.

# ფატიმ შეიძლება 3-4 თვე გამოტოვოს

## ბარსელონა ტალიაფიკოს იჯარას გეგმავს



„ბარსელონა" აგრძელებს ფორვარდ **ანსუ ფატის** მკურნალობის ვარიანტების შესწავლას.

რამდენიმე დღის წინ, ფეხბურთელმა მარცხენა ფეხზე ბარძაყის კუნთის დაზიანება მიიღო.

ესპანური პრესა იტყობინება, რომ ფატიმ შეიძლება სამი-ოთხი თვე გამოტოვოს, თუ ფეხბურთელი ქირურგიულ ჩარევას დასთანხმდება.

„ბარსელონას" ხელმძღვანელობა ურჩევს ფატის - ოპერაცია ფინეთში გაიკეთოს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ფეხბურთელმა უნდა მიიღოს.

■ ■ ■

ამასობაში, „ბარსელონა" იმედოვნებს, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას „აიაქსიდან" არგენტინელ მცველ **ნიკოლას ტალიაფიკოს** გადაიბირებს.

როგორც გაზეთი Mundo Deportivo წერს, კატალონიელებს სურთ ტალიაფიკოს სეზონის ბოლომდე იჯარით აყვანა, რის შემდეგაც ექნებათ მისი გამოსყიდვის უფლება. სანაცვლოდ, კატალონიელები „აიაქსს" სთავაზობენ იჯარით მცველ **ალექს ბალდეს** აყვანას. ახლა, ამსტერდამული კლუბი განიხილავს ამგვარ ვარიანტს.

აღნიშნავენ, რომ ტალიაფიკო არ გეგმავს „აიაქსთან" კონტრაქტის გაგრძელებას და იმედოვნებს, რომ „ბარსელონას" წინადადება მიღებული იქნება. ნიდერლანდელებს კი სურთ ფეხბურთელის შენარჩუნება, რადგან მასზე აქცენტს აკეთებს მთავარი მწვრთნელი **ერიკ თენ ჰაგი.**

ამ სეზონში ტალიაფიკომ ერედივიზიონში 10 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

## მანჩესტერი ჰალანდს ჩამოშორდა

„მანჩესტერ იუნაიტედი" აღარ მიიჩნევა პრეტენდენტად „დორტმუნდის" ფორვარდ **ერლინგ ჰალანდის** გაფორმებაზე, - იტყობინება ESPN.

21 წლის ნორვეგიელი ამჯობინებს „რეალში" გადასვლის ვარიანტს, ამიტომაც ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეტევის გაძლიერების სხვა ვარიანტებზე გადაერთოს.

ჰალანდზე კიდევ ერთ პრეტენდენტად რჩება „მანჩესტერ სიტი".

## ვერმალენმა კარიერა დაასრულა

ბელგიელმა **ტომას ვერმალენმა** 36 წლის ასაკში კარიერა დაასრულა. ფეხბურთელი, რომლის ბოლო კლუბი იყო იაპონური „ვისელ კობე", ბელგიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შევიდა. ამის შესახებ ბელგიის საფეხბურთო ასოციაციის პრესსამსახურმა გამოაცხადა.

კარიერის განმავლობაში ვერმალენი „აიაქსში", „ვაალვიკში", „არსენალში", „ბარსელონასა" და „რომაში" თამაშობდა. ბელგიის ნაკრებში 85 მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა.

ვერმალენი ნიდერლანდებისა და ესპანეთის (სამჯერ) ჩემპიონია, სამჯერ მოიგო ესპანეთის თასი, თითოჯერ ჩემპიონთა ლიგა, კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი და უეფა-ს სუპერთასი.

## ლორისმა კონტრაქტი გააგრძელა

საფრანგეთის ნაკრების მეკარე **უგო ლორისმა** 2.5 წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება „ტოტენჰემთან". 35 წლის ფეხბურთელი ლონდონურ კლუბში მინიმუმ 2024 წლის ზაფხულამდე ითამაშებს, - წერს „ტოტენჰემის" პრესსამსახური.

ლორისი „ტოტენჰემში" 2012 წელს „ლიონიდან" გადავიდა. მას შემდეგ მან ლონდონელთა რიგებში 395 მატჩი ჩაატარა. 2014 წლიდან ფრანგი გუნდის კაპიტანია.

ამ სეზონში ლორისმა „ტოტენჰემში" 22 მატჩი ჩაატარა და 27 გოლი გაუშვა.

## ანჩელოტიმ აზარის წასვლა გამორიცხა

მადრიდის „რეალის" მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** კომენტარი გაუკეთა გუნდიდან **ედენ აზარის** სავარაუდო წასვლის შესახებ ჭორებს.

ცოტა ხნის წინ, პრესაში დაიწერა, რომ „რეალი" აპირებს ბელგიელ ნახევარმცველთან გამოთხოვებას. ანჩელოტიმ უარყო ეს ინფორმაცია.

*„აზარი შედის მომავალ სეზონში ჩვენს გეგმებში. შემიძლია ეს დავადასტურო"*, - მოჰყავს იტალიელი სპეციალისტის სიტყვები გაზეთ Marca-ს.

ამ სეზონში აზარმა ყველა ტურნირზე 16 მატჩი ჩაატარა და ორი შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა თავი.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ 31 წლის ბელგიელმა უარი განაცხადა „ნიუკასლში" გადასვლაზე.

## ფელიქსი ატლეტიკოდან გარბის

მადრიდის „ატლეტიკოს" ნახევარმცველმა **ჟოაო ფელიქსმა,** შესაძლოა, კლუბი დატოვოს.

AS-ის ჟურნალისტმა **ხავიერ მატალიანასმა** დაწერა, რომ თავად მოთამაშეს სურს მადრიდული კლუბიდან წასვლა. და იგივე უნდა გუნდის მთავარ მწვრთნელ **დიეგო სიმეონეს.**

ამასთან, პორტუგალიელის ტრანსფერის წინააღმდეგ გამოდის „ატლეტიკოს" გენერალური დირექტორი **მიგელ ანხელ ხილი.**

ამ სეზონში ფელიქსმა 12 მატჩი ჩაატარა ლა ლიგაში, გაიტანა ორი გოლი და ერთი შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

## გვარდიოლა ნიდერლანდებს ჩაიბარებს?

„მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა,** შესაძლოა, ნიდერლანდების ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში ინგლისურ კლუბში კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, - დაწერა გაზეთმა „მირორმა".

აღნიშნავენ, რომ ნიდერლანდების საფეხბურთო კავშირმა უკვე დაიწყო მუშაობა იმაზე, რომ დაარწმუნოს 51 წლის სპეციალისტი - გახდეს ეროვნული გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი.

ცოტა ხნის წინ, გვარდიოლამ განაცხადა, რომ აპირებს „სიტის" დატოვებას 2023 წლის ზაფხულში და სურვილი აქვს რომელიმე ქვეყნის ნაკრები ჩაიბაროს.

## რეალმა და ბარსამ მოილაპარაკეს

მადრიდის „რეალისა" და „ბარსელონას" პრეზიდენტებმა **ფლორენტინო პერესმა** და **ჟოან ლაპორტამ** ზეპირ შეთანხმებას მიაღწიეს.

როგორც გაზეთი Marca წერს, კლუბების ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს, რომ არ გადაიბირებენ ერთმანეთის ფეხბურთელებს, რომლებსაც კონტრაქტის ვადა ეწურებათ. იგულისხმება ექვსი თვე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

ამასთან, შეთანხმება არ ეხება სხვა გუნდებიდან „რეალისა" და „ბარსელონას" სატრანსფერო მიზნებს.

## მეოთხედფინალის წილისყრა

გაიმართა ესპანეთის თასის მეოთხედფინალური წილისყრა. მთავარმა ფავორიტმა „რეალმა" მეტოქედ „ბილბაო" მიიღო, რომელსაც ცოტა ხნის წინ ესპანეთის სუპერთასის ფინალში მოუგო.

**მეოთხედფინალური წყვილები**

ბილბაო-რეალი
სოსიედადი-ბეტისი
ვალენსია-კადისი
ვალეკანო-მალიორკა

ესპანეთის თასის მეოთხედფინალური ეტაპის თამაშები 1-3 თებერვალს გაიმართება. მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე ჩატარდება.

გვერდი მოამზადა
გიორგი **თვალიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმო. ჰაცუ ბაშო


ტოჩინოშინი

# უარყოფითი ბალანსი ელიტაში დარჩენით

34 წლის ქართველმა სუმოისტმა **ლევან გორგაძემ** იმავე **ტოჩინოშინმა** უარყოფითი ბალანსით (მაკე-კოში) ზედიზედ 7 ბაშო დაასრულა, თუმცა, ელიტარულ მაკუუჩი დივიზიონში დაქვეითებას მაინც გადაურჩა.

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინი 2022 წლის ჰაცუ ბაშოს დასავლეთის მე-15 მაეგაშირას წოდებით შეხვდა და იყო საფრთხე, კიდევ ერთი მაკე-კოშის შემთხვევაში, ელიტარულ მაკუუჩი დივიზიონს დაემშვიდობებოდა, თუმცა, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა.

ქართველმა სეკიტორმა წლის პირველ სუპერტურნირზე დასკვნითი 3 ორთაბრძოლიდან ორის მოგება მოახერხა, შეჯიბრება 7 მოგებითა და 8 მარცხით დაასრულა და რანგით მე-2 ძურიოს დაქვეითებისგან სწორედ ამან იხსნა.

ტოკიოში მიმდინარე შეჯიბრების ბოლო დღეს ტოჩინოშინი დასავლეთის მე-2 მაეგაშირა **იჩინოჯოს** გაეჯიბრა და საკმაოდ ხანგრძლივი დაპირისპირება იორიკირით დათმო. ქართველ სუმოისტს წარმატების შანსი შერკინების სტარტზე ჰქონდა, თუმცა, შემდეგ მავაშიზე ჩაჭიდება დაკარგა და მეტოქემ დოჰიოდან გაიყვანა.

„იმპერატორის თასის" მფლობელი 29 წლის იაპონელი სეკივაკე **მიტაკეუმი** გახდა, რომელმაც დასკვნით ორთაბრძოლაში იოკოძუნა **ტერუნოფუჯი** იორიკირით დაამარცხა და ჰაცუ ბაშო 13 მოგებითა და 2 წაგებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ მიტაკეუმიმ ჩემპიონის ტიტული უკვე მესამედ მოიპოვა.

მარტის ბაშოს ბანძუკე 28 თებერვალს გამოქვეყნდება, ტოჩინოშინი, რომელიც ჰაცუ ბაშოზე დასავლეთის მე-15 მაეგაშირა იყო, კიდევ დაქვეითდება, თუმცა მაკუუჩის დივიზიონში დარჩება. მარტის ბაშოზე მაკე-კოში მას უკვე ჯურიოს დივიზიონში დააქვეითებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. მეტოქე

# საქართველოსთან ბოლომდე დავიხარჯებით

საქართველოს ნაკრები რაგბი ევროპის 2022 წლის ჩემპიონატს 6 თებერვალს „მიხეილ მესხზე" იწყებს, მეტოქე პორტუგალიაა, რომლისთვისაც „ბორჯღალოსნებს" 7 წელიწადია, რაც არ უმასპინძლიათ. ეს ტურნირი 2023 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო შეჯიბრებაც არის, თუმცა საქართველოს ნაკრებს თითქმის განაღდებული აქვს საგზური, განსხვავებით პორტუგალიისგან, რომელსაც დიდი ბრძოლები ელის წინ.

მსოფლიოს თასის ოფიციალურ საიტს პორტუგალიელთა 10-მა ნომერმა **ჟორჟე აბეკასისმა** ინტერვიუ მისცა. პორტუგალია დღეისათვის საკვალიფიკაციო ტურნირში მე-3 ადგილზეა, „ლობუში" რეალურად „ევროპა 2-ის" საგზურისთვის იბრძოლებს.

„კარგია, რომ რთული მატჩებით ვიწყებთ, საქართველოს გარდა, ესპანეთთან გასვლით, რაც ასევე მაგარი მატჩი უნდა იყოს. ჩვენი მიზანი თამაშიდან თამაშზე იქნება კონცენტრირებული. საუკეთესო თვისებები უნდა გამოვავლინოთ, თუნდაც ეს საქართველოსთან საგარეო მატჩი იყოს. საქართველოს ბევრი გულშემატკივარი ეყოლება, იქნება ზეწოლა, მაგრამ ეს კარგია ჩვენთვის - უნდა ვიგრძნოთ, რომ მსოფლიოს თასის საგზურისთვის ვიბრძვით".

2021 წელს რაგბი ევროპის ელიტას დაბრუნებული პორტუგალია მხოლოდ საქართველომ და რუმინეთმა დაამარცხა. პორტუგალიელთა 24 წლის ლიდერს მიაჩნია, რომ პატრის ლაგისკეს ხელში ძალზე რეალურია, რომ 16-წლიანი პაუზის შემდეგ, პორტუგალია მსოფლიოს თასზე გავიდეს:


ჟორჟე აბეკასისი

„ჩემი აზრით, მთავარია, თავად ვირწმუნოთ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია. შარშანდელი სეზონის წინ არავის სჯეროდა ჩვენი, მაგრამ შედეგი დავდეთ. არავინ ელოდა, რომ ისეთ ძლიერ გუნდს, როგორიც საქართველოა, კარგად ვეთამაშებოდით. ახლა უფრო რთული იქნება, რადგან რუმინეთი, ესპანეთი და, რა თქმა უნდა, საქართველო ძალიან ძლიერი გუნდებია. ჩვენ კი წლეულს შარშანდელზე უკეთესი შედეგების ჩვენება გვსურს".

შეგახსენებთ, რომ 2021 წელს საქართველოს ნაკრებმა ხუთივე შეხვედრა მოიგო, პორტუგალიამ კი 3 მოიგო და 2 წააგო. საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიასთან 22-ჯერ ითამაშა, აქედან 16 მოიგო, 4 ფრედ დაასრულა და 2 წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

# შავი ლომის მეტოქეები ცნობილია?

**2022 წლიდან პირველი ქართული სარაგბო ფრენჩაიზი „შავი ლომი" მხოლოდ რაგბი ევროპის სუპერთასზე არ ითამაშებს, გუნდი სამხრეთ აფრიკის პროვინციათა ჩემპიონატში, ქარის თასზეც გამოვა, ოღონდ, პირველ დივიზიონში.**


შავი ლომი

ქარის თასის პრემიერ დივიზიონი 14 იანვარს დაიწყო, ელიტაში 7 გუნდი გამოდის: „ბლუ ბულსი", „პუმასი", „ვესტერნ პროვინსი", „ჩიტასი", „შარკსი", „გრიქვესი" და „გოლდენ ლაიონსი". აქედან არავინ გავარდება, შემდეგი სეზონიდან კი პირველი დივიზიონის საუკეთესო სამხრეთაფრიკული გუნდი დაემატება და ქარის თასზე 8 კლუბი იასპარეზებს.

რაც შეეხება პირველ დივიზიონს, სადაც „შავი ლომი" იასპარეზებს, ოფიციალურად ჯერ არ თქმულა, თუმცა ჩემპიონატი სტარტს 26 მარტს აიღებს და მასში მხოლოდ სამხრეთაფრიკული გუნდები არ მიიღებენ მონაწილეობას. ქართული ფრენჩაიზის გარდა, ითამაშებენ ზიმბაბვე, ნამიბია და კენია. სამხრეთაფრიკული გუნდებია - „იგლზი", „გრიფონსი", „ლეოპარდსი", „ვალკე" (ფალკონსი), „ბოლანდ კავალიერსი", „ისტერნ პროვინსი", „ბორდერ ბულდოგსი". ჩემპიონატის ზუსტი განრიგი და ფორმატი მოგვიანებით გახდება ცნობილი. 2021 წლის ქარის თასზე (პირველი დივიზიონი) ეს 7 გუნდი ასპარეზობდა, „ლეოპარდსმა" 26 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, თუმცა პრემიერ დივიზიონში არ ითამაშებს.

როგორც ჩანს, ალმასვლა მხოლოდ სამხრეთაფრიკულ გუნდებს შეეხებათ და არა უცხოურ ფრენჩაიზებს (მათ შორის, არც „შავ ლომს"). შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის სუპერთასზე „შავ ლომს" ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი „ენისეისთან", თუმცა ამის მიუხედავად, ჯგუფიდან გასულია და ნახევარფინალში ითამაშებს. „ენისეისთან" მატჩი რამდენჯერმე გადაიდო და ჯერ არ არის ცნობილი, როდის ჩატარდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო


ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, გურამ თუშიშვილი

# პარიზის გრანდ-სლემის შემადგენლობა ცნობილია

IJF-ის პირველ ორ ტურნირზე საქართველოს ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა ცნობილია. ჩვენ უკვე გაგაცანით, თუ რა შემადგენლობით გამოვლენ ქართველი ძიუდოისტები წლის პირველ შეჯიბრებაზე - პორტუგალიის გრან-პრიზე (28-30 იანვარი), ახლა ჯერი პარიზის გრანდ-სლემზეა, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში 5-6 თებერვალს გაიმართება.

პარიზის ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია ძიუდოს სამყაროში. ამიტომაც მასზე უკვე დარეგისტრირდა 56 ქვეყნის 357 სპორტსმენი. ბუნებრივია, ცვლილებები იქნება, მათ შორის ქართულ განაცხადშიც. ამ დროისთვის გრანდ-სლემზე 13 ქართველი ძიუდოისტია (ყველა ვაჟებში) დარეგისტრირებული. პარიზში ტოკიოს სამივე ვერცხლისმედალოსანი აპირებს გამოსვლას: **ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი** და **გურამ თუშიშვილი**. ამ სამეულიდან თუშიშვილს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ არსად უასპარეზია.

საქართველოს ნაკრები პარიზის გრანდ-სლემზე

**- 60 კგ**: ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე

**- 66 კგ**: ვაჟა მარგველაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი

**- 73 კგ**: ლაშა შავდათუაშვილი

**- 81 კგ**: ვლადიმერ ახალკაცი, ტატო გრიგალაშვილი

**- 90 კგ**: ლუკა მაისურაძე, ბექა ღვინიაშვილი

**- 100 კგ**:, ილია სულამანიძე, ონისე სანებლიძე

**+100 კგ**: გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. ქორქია-საკანდელიძის მემორიალი

# ფინალში მეგა ქუთაისს დაუპირისპირდება

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნის ტურნირის ნახევარფინალურ მატჩში **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** გაწვრთნილმა „მეგამ" მემორიალის შარშანდელი ფინალისტი „ვერა" დაამარცხა და ქუთაისში, ისტორიაში პირველი ტიტულის მოსაგებად ითამაშებს.

შარშანდელი ფინალი არ შედგა. 2021 წლის მემორიალის ფინალში „ქუთაისმა" „ვერა" დაამარცხა. იმერული კლუბი ტიტულს დაიცავს, თუმცა ამჯერად „მეგასთან. ფინალური შეხვედრა ქუთაისის ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეში 25 იანვარს, 15:00 საათზე გაიმართება.


ტურნირზე

რაც შეეხება ნახევარფინალურ მატჩს, ძალიან დაძაბული გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო წუთებზე გადაწყდა. ორივე გუნდი დანაკლისით თამაშობდა, თუმცა „ვერას" 2 სასტარტო ხუთეულის მოთამაშე - **ვახტანგ ქადარია** და **თაჩ უნრუჰი** აკლდა. ამის მიუხედავად, **დავით გასიტაშვილის** გაწვრთნილი ვერელები დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ.

თამაშის უმეტეს დროს ვერა იყო წინ. ბოლო პერიოდის წინ გასიტაშვილის გუნდი 79:70 ლიდერობდა, თუმცა „მეგამ" ბოლო ათწუთეულში დიდებულად ითამაშა. დასრულებამდე 2 წუთით ადრე ვერელები 5 ქულით დაწინაურდნენ, თუმცა **დარელ ბრაუნმა** და **ზაკ სელიასმა** გათანაბრება მოახერხეს - 96:96. ბოლო წუთზე კი „მეგას" ლეგიონერებმა იყოჩაღეს. ჯიმონ ჰენსონმა სამქულიანი ჩააგდო, რის შემდეგაც **დემონტე ფლანიგანმა** ვერელებს ჩაუქრა და ორქულიანი გარღვევით თავისიანებს გამარჯვება დაუბევა.

საუკეთესო 29 ქულით და 5 პასით **ჯიმონ ჰენსონი** გახდა. ფლანიგანის ანგარიშზე 22 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა. შედეგიანობით გამოირჩა **ოთარ ბულიავა** - 16 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი. აღსანიშნავია ახალგაზრდა **გიორგი კობახიძის** კარგი თამაში, რომელმაც 5 სამქულიანი ჩააგდო და თავისიანების გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო. „ვერაში" 35 ქულითა და 11 მოხსნით **ზაკ სელიასი** გამოირჩა, 30 ქულა **დარელ ბრაუნის** ანგარიშზეა.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა

# გურამ ვეკუა: როცა კერპად ლაშა ტალახაძე გყავს, მხოლოდ ოლიმპიურ ოქროზე უნდა იფიქრო

საქართველოს 15 და 17-წლამდელი ძალოსნებისთვის (მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ანთაური**) 2021 წელი წარმატებული გამოდგა: 20-27 აგვისტოს პოლონეთის ქალაქ ჩეხანოვში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მათ 16 ოქროს, 7 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან, რომელსაც 3-12 ოქტომბერს საუდის არაბეთმა უმასპინძლა, ჩვენმა სამმა სპორტსმენმა 2 ოქროს, 6 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა. ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეში მცხოვრებ **გურამ ვეკუას** (2004 წლის 5 იანვარს არის დაბადებული), რომელიც ჭაბუკებში ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალოსანია.



გურამ ვეკუა ასპარეზობისას

- გურამ ვეკუა უნიკალური მონაცემების, უნიჭიერესი და ერთობ შრომისმოყვარე ყმაწვილია, - მითხრა ზურაბ ანთაურმა. 2018 წლიდან ვავარჯიშებ და არ მახსოვს დღემდე მეცადინეობა გაეცდინოს ან ზედმეტი შენიშვნის მიცემა დამჭირვებოდეს. 2020 წელსაც, კოვიდპანდემიის მიუხედავად, წვრთნა წუთითაც არ შეგვიწყვეტია. ონლაინვარჯიშების დაწყებამდე 5-10 წუთით ადრე მიკავშირდებოდა და მოთელვა უკვე დამთავრებული ჰქონდა. დღესაც ასეა. მამა უდგას გვერდით - ყოფილი ძალოსანი სლავა ვეკუა, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. გურამს ოჯახის არნახული მხარდაჭერა აქვს და ისიც მშობლებს, და არა მხოლოდ მათ, იმედებს არ უცრუებს. წლებთან ერთად საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის გამოცდილებასაც რომ შეიძენს, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ძალოსანთა ეროვნულ ნაკრებს ღირსეული ცვლა ეყოლება...

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ ზუგდიდში გურამ ვეკუას შევეხმიანე.

- ბავშვობისას, თანატოლების მსგავსად, ფეხბურთი მიტაცებდა, მაგრამ მამას, რომელიც ძალოსნობაში საქართველოს ორგზის ჩემპიონია, ძალიან უნდოდა, მისი გზა გამეგრძელებინა, - მითხრა გურამმა. - რიყეში ძალოსნობის კარგი დარბაზი გვაქვს. ბევრი სახელოვანი სპორტსმენი გაიზარდა აქ. რვა წლისამ ნათლიასთან - ბეჟან ჭიჭინაძესთან დავიწყე ვარჯიში, მაგრამ გული ვერაფრით დავუდე. მშობლებისგან მალულად, მეგობრების რჩევით, კრივზე დავიწყე სიარული, თუმცა მალე ისიც მომწყინდა. მას შემდეგ, რაც მამამ ძალოსნობის მწვრთნელად დაიწყო მუშაობა, ისევ დარბაზს მივაშურე. წლები მომემატა და შტანგასაც სხვა თვალით შევხედე. 2018 წელს 15-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე ორჭიდში მეორე ადგილი დავიკავე - ხაშურელმა ბონდო ჭილაძემ მაჯობა. ეტყობა, მაშინ შემამჩნია ბატონმა ზურაბ ათაურმა, რადგან შეჯიბრებიდან ერთი თვის შემდეგ დუშეთში თანატოლთა საქართველოს ნაკრების შეკრებაზე მიხმო, მერე იტალიაში ევროპის პირველობაზე წამიყვანა, სადაც მე-5 ადგილი დავიკავე.

**- მომდევნო წელი კი წარმატებული გამოდგა.**

- 2019 წლის იანვარში ზურაბ მასწავლებლის ინიციატივით გლდანის ოლიმპიური რეზერვის მზადების ცენტრში აღმოვჩნდი. იქ დავიწყე ინტენსიური წვრთნები. კვირაში სამჯერ ორჯერადი ვარჯიშებიც მქონდა და შედეგმაც არ დააყოვნა: 15-წლამდელებში ჯერ საქართველოს პირველობა მოვიგე, მერე კი ეილათში (ისრაელი) ევროპის პირველობაზე სამი ოქროს მედალი ავიღე. ყველაფერი აღმავლობის გზით მიდიოდა, მაგრამ კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით მალე შეზღუდვები დაწესდა. დარბაზში არ გვიშვებდნენ, თუმცა ვარჯიშები არ შეგვიწყვეტია: ბატონი ზურაბის რჩევით, მამამ ჩვენი სახლის სარდაფი გამოათავისუფლა - მე და ჩემს ძმას, ირაკლის, სავარჯიშო ოთახი მოგვიწყო. კორონავირუსით დაავადების გამო ზურაბ მასწავლებელი საავადმყოფოშიც კი აღმოჩნდა, მაგრამ ონლაინვარჯიშებს მაინც განვაგრძობდით. თავისუფალ დროს კი რეგულაციების დაცვით მამა გვამეცადინებდა. ამგვარმა წვრთნამ შედეგი გამოიღო - 2021 წელს პოლონეთში ევროპის პირველობაზე 17-წლამდელებში ოქროს სამი მედალი მოვიპოვე, ირაკლიმ კი 15-წლამდელებში ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა.

**- მერე იყო მსოფლიოს ჩემპიონატი საუდის არაბეთში...**

- დიახ. ნაკრებში სამნი ვიყავით და სამივე - ზუგდიდიდან. შეჯიბრებისას ვცდილობდი, მწვრთნელის დარიგებები ბოლომდე გამეთვალისწინებინა. ატაცში სამივე ცდა გამოვიყენე, მაგრამ 148 კილოგრამმა მხოლოდ ვერცხლის მედალი მომიტანა. ხუთი კილოგრამით უზბეკმა კურბონმუროდ ნომოზოვმა მაჯობა. იგი უწინ 102 კილოში გამოდიოდა, მაგრამ ამ ჩემპიონატისთვის წონა დაიკლო და 96 კილოში იასპარეზა. აზიელმა ძალოსანმა კიდევ ორი პირველი ადგილი დაიკავა, მე კი აკვრაში 180 კილოგრამით და ორჭიდში 328 კილოთი ვერცხლის მედლები მერგო. სასიამოვნო იყო, რომ საუდის არაბეთში ნათია გადელიამ ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი, ხოლო ნიკოლოზ ესართიამ 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა. ასე რომ, ზუგდიდელებმა მშობლიურ ქალაქში მსოფლიოს ჩემპიონატის ცხრა მედალი ჩამოვიტანეთ.

არაბეთიდან დაბრუნების შემდეგ 20-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე გავიმარჯვე, წლის მიწურულს კი ეროვნულ ჩემპიონატში ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ანტონ პლესნოისა და ახალგაზრდებში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ირაკლი ჩხეიძის შემდეგ მესამე ადგილი დავიკავე. ყველაფერი ეს ჩემი პირადი მწვრთნელის - ზურაბ ანთაურის დამსახურებაა. ამ წლების განმავლობაში მისგან იმდენი სიკეთე მახსოვს, რომელთა გაკეთება, ალბათ, მშობლებსაც რომ გაუჭირდებოდათ. ყურადღებისა და თანადგომისთვის ოჯახის წევრების, ჩვენი ფედერაციის, ოლიმპიური მზადების ცენტრის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზედა ეწერის აფხაზეთის მე-15 საჯარო სკოლის მადლობელი ვარ. ვეცდები, მათი იმედები მომავალშიც გავამართლო.



გურამ ვეკუა და ზურაბ ანთაური

**- გურამ, კერპი თუ გყავს?**

- ლაშა ტალახაძე. შესანიშნავი პიროვნებაა, სპორტსმენიც - შეუდარებელი. შეკრებებზე ზოგჯერ ერთად რომ ვართ, ვიხიბლები მისი მონდომებით. ნამდვილად, მისაბაძი ადამიანია.

**- ძალოსნობის გარდა რა გიტაცებს?**

- ფეხბურთი. ხშირად ვთამაშობ ხოლმე. მადრიდის „რეალს" ვქომაგობ. ფეხბურთელებში კი რონალდუ მომწონს.

**- თავისუფალ დროს რითი ერთობი?**

- მუსიკას ვუსმენ. თავადაც ვმღერი, ფანდურზე, ჩონგურსა და გიტარაზე ვუკრავ. ხუთი წელიწადი ხალხური სიმღერების ბავშთა გუნდში ვიყავი. ნათია გადელიასაც კარგი ხმა აქვს. როცა რიყეს სკოლაში ვსწავლობდით, კონცერტებზე ხშირად გამოვსულვართ ერთად. მსოფლიოს ჩემპიონატზე არაბებისთვისაც გვინდოდა გვემღერა, მაგრამ მოგვერიდა.

**- რაზე ოცნებობ?**

- როცა კერპად ლაშა ტალახაძე გყავს, მხოლოდ ოლიმპიურ ოქროზე უნდა იფიქრო!

ვაჟა დანელია

ჭადრაკი




ლევან ფანცულაია

# 81-ე ჩემპიონატი დღეს დაიწყება

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დაიწყება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 81-ე ეროვნული ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი საერთაშორისო არბიტრი **მარგარიტა თანდაშვილი**). მედლებისთვის წრიული სისტემით სხვადასხვა კუთხის 12 წარმომადგენელი იბრძოლებს. ესენი არიან: **ლევან ფანცულაია, ლუკა პაიჭაძე, გიგა ყუფარაძე, თორნიკე სანიკიძე, ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ნოდარ ლორთქიფანიძე, ირაკლი ახვლედიანი, ნიკოლოზ ჩხაიძე, ნოე თუთისანი, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, ნიკოლოზ კაჭარავა.** შეჯიბრების საპრიზო ფონდია 25.000 ლარი (პირველ-მერვე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან, შესაბამისად: 8.000-6.000-4.000-2.700-1.800-1.200-800-500 ლარით). პირველ-მესამე ადგილებზე გასულთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს. ამ პირველობას კი მარტში სლოვენია უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია

## განცხადება

საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის" მიმდინარე წლის 18 თებერვალს, 14 საათზე, ქალაქ თბილისში ატარებს საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას (მის: უნივერსიტეტის ქ. N 2). დელეგატების რეგისტრაცია დაიწყება იქვე 13 საათიდან.

ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველებმა შესაბამისი განცხადება უნდა წარმოადგინონ ა.წ. 10 თებერვლის 18 სთ-მდე იმავე მისამართზე.

## ფედერაციის გამგეობა

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერციის ყოფილ პრეზიდენტს ნონა გაფრინდაშვილს ძმის, **მურად გაფრინდაშვილის** გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ქართული ლეგიონი



გოგა ბითაძე

# შენგელიას 13 ქულა მილანთან

ევროლიგისმორიგ ტურში **თორნიკე შენგელიას** ცსკა-მ მილანის „ოლიმპიას" უმასპინძლა და 10 ქულის სხვაობით დამარცხდა.

ქართველი ფორვარდი გუნდში გამორჩეული იყო - 13 ქულა, 7 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მას მხარი იფე ლუნდბერგმა აუბა, რომელმაც 15 ქულა ჩააგდო.

სტუმართა მხრიდან კაილ ჰაინსმა, დეივონ ჰოლმა და ტროი დენიელსმა 13-13 ქულა მიითვალეს.

12 მოგებითა და 8 წაგებით ცსკა ევროლიგაზე მე-7 ადგილზეა, უახლოეს შეხვედრას 28 იანვარს, ყაზანის „უნიქსთან" გამართავს.



თორნიკე შენგელია

# შერმადინი VS მაკფადენი: მურსია წინ მიიწევს



გიორგი შერმადინი

ესპანეთისლიგა ენდესაში **გიორგი შერმადინის** „ტენერიფე" სტუმრად თად მაკფადენის „მურსიას" დაუპირისპირდა და დაძაბულ შეხვედრაში 86:88 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრების ცენტრმა ამ შეხვედრაში 30:11 წუთი ითამაშა და ორმაგი დუბლის გაფორმება მოახერხა. გიორგის ანგარიშზე 10 ქულა, 11 მოხსნა (3 შეტევაში), 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარებაა. მან 11-დან 4 ორქულიანი და 2-დან 2 ერთქულიანი ჩააგდო, 2-ჯერ დაკარგა ბურთი და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

**თად მაკფადენმა** „ტენერიფესთან" 20:45 წუთი ითამაშა და შერმადინს 1 ქულით აჯობა - 11 ქულა დააგროვა. მან ამ დროში ასევე 1 მოხსნის, 2 პასისა და 1 ჩაჭრის დაგროვება მოასწრო. მაკფადენმა 3-დან 1 ორქულიანი და 8-დან 3 სამქულიანი გამოიყენა. ის 2-ჯერ დაჯარიმდა და 4-ჯერ დაკარგა ბურთი.

ამ მოგების შემდეგ, „მურსიამ" მე-4 ადგილზე გადაინაცვლა და სამეფო თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, „ტენერიფემ" კი ლიგა ენდესაში ზედიზედ მე-4 შეხვედრა წააგო და მე-9 ადგილზე იმყოფება.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# ბითაძის კიდევ ერთი რეკორდი: 35

**გოგა ბითაძის** „ინდიანა პეისერსი" NBA-ის რეგულარულ სეზონში ორი მოგების შემდეგ, დასავლეთ კონფერენციის ლიდერ „ფინიქს სანსს" დაუპირისპირდა და 103:113 დამარცხდა.

ქართველი ცენტრი ზედიზედ მეორე შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა და ამჯერადაც იმედები გაამართლა. ქართველმა კალათბურთელმა „ფინიქს სანსის" წინაალმდეგ NBA-ში სარეკორდო 35:08 წუთი ითამაშა და ორმაგი დუბლიც დააგროვა.

მის ანგარიშზე 16 ქულა, 11 მოხსნა (4 შეტევაში), 2 პასი და 1 დაფარებაა. გოგამ 11-დან 6 ორქულიანი და 5-დან 4 ერთქულიანი ჩააგდო, პერიმეტრიდან კი 3-ჯერ ისროლა და უშედეგოდ, მან ერთხელ დაკარგა ბურთი და 3-ჯერ დაჯარიმდა. ბითაძემ თავის გუნდელებთან შედარებით ყველაზე მეტი დრო გაატარა პარკეტზე და მასზე მეტი ქულა მხოლოდ **კრის დუარტემ** და **ლენს სტივენსონმა** დააგროვეს (ორივეს 17-17 ქულა ჰქონდა).

შეხვედრის პირველი მეოთხედი „ინდიანას" სასარგებლოდ დასრულდა, მაგრამ გასული სეზონის ფინალისტებმა მეორე და მესამე მეოთხედებში საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში რიკ კარლაილის გუნდმა 8 ქულით მოიგო, 10 ქულით დამარცხდნენ. საუკეთესო ამ შეხვედრაში 23 ქულით მიკალ ბრიჯისი იყო, 21 ქულითა და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა ბისმაკ ბიომბომ, კრის პოლის ანგარიშზე კი 18 ქულაა.

შემდეგ შეხვედრას „ინდიანა პეისერსი" 25 იანვარს „ნიუ ორლეანს პელიკანსის" წინაალმდეგ გამართავს.

ორ კვირაში ერთხელ ჟურნალ „გზასთან" ერთად




27 იანვრიდან წიგნი #5

ოსკარ უაილდი * მიხეილ ჯავახიშვილი * ჰერმან მელვილი

სამი ავტორი
სამი მოთხრობა

სამი განსხვავებული და მსოფლიოში აღიარებული ავტორი – თითოეულ წიგნში!

მათი რჩეული მოთხრობები

ორიგინალური თემატიკა და სიუჟეტი გამორჩეული ხელწერით

* თუ ჯერ კიდევ არ შეგიძენიათ ამ სერიის წინა ტომები, 27 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით, არ გამოტოვო სპეციალური შეთავაზება ბიბლუსის მაღაზიათა ქსელში. შეიძინე თითოეული წიგნი 3 ლარად. შეაგროვე აუცილებლად წასაკითხი მოთხრობები.

იკითხეთ პრესის გავრცელების წერტილებში; ან შეიძინეთ ონლაინ www.palitral.ge საიტიდან და ისარგებლეთ სახლში მიტანის სერვისით; ტელ: +995 32 238 38 71

პალიტრა L

სანთელი

# სამიზნედ მხოლოდ ათიანები

## ლეგენდარული მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე გარდაიცვალა...

საბჭოეთის დედაქალაქში იმ დღეს დილიდანვე წვიმდა, „კრილატსკოეს" სასროლეთზე ცივი ქარი ზუზუნებდა. გალუმპულ მშვილდოსნებს გათოშილი ხელი არ ემორჩილებოდათ. ბევრმა მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო და სამი დღის ნაჯაფი ქარს გაატანა. ბავშვობისას გაჭირვებაგამოვლილი ქეთევან ლოსაბერიძე ბუნების ჭირვეულობასაც გაუმაგრდა და მეტოქეთა წინააღმდეგობასაც, ზუსტად ისროდა მიზანში.

1980 წლის 3 აგვისტოს გაზეთი „ლელო" დაწერს: „ქარი კი თავისას არ იშლიდა - სახეში სცემდა მოასპარეზეებს, რომლებიც ნაშუადღევს 60 მეტრიან დისტანციაზე გამოვიდნენ. ამ დროს მშვილდოსნებს რამდენჯერმე გადაუარა თავზე შვეულმფრენმა, საიდანაც საბჭოთა ოპერატორები კრილატსკოეში მიმდინარე მშვილდოსანთა და ნიჩბოსანთა სტარტებს იღებდნენ მოსკოვის დიდი ოლიმპიადის ფილმისთვის.

თუ ეს კადრები ამ სურათში შევა, დიქტორი, ალბათ, იტყვის: „ასე ისროდა ქეთევან ლოსაბერიძე - მოსკოვის ოლიმპიადის... მედლის მფლობელი". ნეტავ ვიცოდეთ, რა სახის მედალი იქნება ეს? ნერვები მომართული მშვილდივით დაგვეძაბა ყველას, სუნთქვა გვეკვროდა, როდესაც ქეთევანი „ათიანებს" უმიზნებდა.

წარმოგვიდგენია, რა დღეში იყო ამ დროს თვით სპორტსმენი, თუმცა გარეგნულად ვერაფერს შეატყობდით"...

ასპარეზობის სტარტიდან დაწინაურებული ფინიშთანაც პირველი იყო: 1980 წლის 2 აგვისტოს ქალბატონმა ქეთევანმა 2491 ქულა მოაგროვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა - ვერცხლის მედალოსან თანაგუნდელ **ნატალია ბუტუზოვას** 14 ქულით აჯობა, ხოლო ვაჟებში ჩემპიონს, 18 წლის ფინელ **ტომი პოიკოლაინენს** 36 ქულით გაუსწრო.

საბჭოთა მშვილდოსნობის ისტორიაში ეს არნახული წარმატება იყო. და არა მარტო საბჭოეთისა: ქართველი ჩუნიბი ევროპიდან პირველი და ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ მშვილდოსან ქალთა შორის.

### სადარბაზო ბარათი

ქეთევან ლოსაბერიძე 1949 წლის პირველ აგვისტოს დაიბადა ტყიბულში. მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული (1980) და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების (1972) მეოთხეადგილოსანი გახლდათ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 1981), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 1978), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 1979) და ხუთგზის მესამე პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1972, 1978), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979), მილანის, ლოძის, კიოლნისა და ლვოვის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს 1980 წლის საუკეთესო სპორტსმენი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენების კავალერი; 2002-2005 წლებში საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნულ ფედერაციას ხელმძღვანელობდა.

### ინდაურის ფრთებით დაწყებული ამბავი

სახელოვან ქართველ ჩუბინს არაერთხელ შევხვედრივარ და მისაუბრია მასთან. ყოველთვის მოღიმარი სახითა და გულახდილობით გამოირჩეოდა. ერთხელ რომ ვკითხე, ოლიმპიური ჩემპიონის გზა როგორ დაიწყო-მეთქი, გაეცინა და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა - ქალიშვილმა მთხოვა, ოღონდ ინდაურის ფრთებზე ნუ ილაპარაკებო...

არადა, ყველაფერი მართლაც ინდაურის ფრთებით დაიწყო. ტყიბულში დაბადებულ-გაზრდილი ქალიშვილი, პატარაობიდანვე შრომას იყო შეჩვეული. დედა ხუთი წლისას გარდაეცვალა, ამიტომ ცხრავე და-ძმას საკუთარი წვლილი შეჰქონდა საოჯახო საქმეში. ქალბატონი ქეთევანი თავად იკაფავდა გზას, ნებისყოფისა და შრომისმოყვარეობის უნარი გამოიმუშავა, რამაც სპორტში უმაღლესი მწვერვალები დააპყრობინა.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველკურსელი იყო, შალვა ჯაშიაშვილმა ქალბატონ ქეთევანსა და მის რამდენიმე მეგობარს მშვილდოსნობაში ვარჯიში რომ შესთავაზა. შრომაში გამოწრთობილს არ გასჭირვება ფიზიკურ დატვირთვებთან შეგუება. ნახევარი საუკუნის წინ სად იყო დღევანდელის მსგავსი ინვენტარი. ისრებისთვის ინდაურის ფრთებს იყენებდნენ. გოგონები ბატონ შალვასთან ერთად დადიოდნენ ბაზარში და ინდაურებს ჩუმად აჭრიდნენ ფრთებს. მერე, საიდუმლო რომ გამჟღავნდა, მწვრთნელ-შეგირდების გამოჩენისთანავე ქალები ფრინველებს კალთის ქვეშ მალავდნენ...

- პირველ წარმატებას 1967 წელს მივაღწიე - წვრთნის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ ქუთაისში „დინამოს" სტადიონზე საქართველოს ჩემპიონი გავხდი, - გაიხსენა გარდასული დღეები სახელოვანმა ვეტერანმა სპორტსმენმა. - მას შემდეგ, რაც მშვილდოსნობა ოლიმპიურ თამაშებს დაუბრუნდა, უფრო ინტენსიურად დავიწყეთ ვარჯიში, რადგან საბჭოთა კავშირმაც შეიტანა ეს სახეობა სპარტაკიადების პროგრამაში.

1971 წელს მე-5 ადგილი დავიკავე პირადში, საქართველოს ნაკრებმა კი, რომლის შემადგენლობაშიც ჩემთან ერთად გუგული რიჟამაძე და ლუბოვ ასატუროვა გამოდიოდნენ, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ლუბას სულ რაღაც ერთი წლის დაწყებული ჰქონდა ვარჯიში, მაგრამ ყოფილმა ნიჩბოსანმა მალევე აუღო ალღო სპორტის ამ სახეობას და სპარტაკიადის ჩემპიონიც გახდა. ფაქტობრივად, ეს სენსაცია იყო. იმავე წლის ბოლოს საკავშირო თასიც მოიგო.

**- საბჭოთა ნაკრებში როგორ აღმოჩნდით?**

- საკმაოდ სტაბილური შედეგები მქონდა, რამდენიმე ტურნირში გამოვიჩინე თავი. 1972 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში მე, ემა გაპჩენკო და ვალენტინა კოფმანი გამოვდიოდით, გუნდურში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. პირად პირველობაში კი ოქროს მედალი მე დავიმსახურე. იმავე წელს ოლიმპიურ ნაკრებშიც მიმიწვიეს, რადგან მიუნხენის ოლიმპიადის პროგრამაში მშვილდოსნობა აღადგინეს. იქაც სამნი გავემგზავრეთ. თავიდანვე ლიდერებში ვიყავი, მაგრამ ბოლო სერიაში დავთმე პოზიცია - ბრინჯაოს პრიზიორ ემა გაპჩენკოს ქულით ჩამოვრჩი და მეოთხე ადგილი დავიკავე. ჩემპიონობა ამერიკელმა დორინ იულბერმა მოიპოვა.

მეორე ადგილზე პოლონელი ირენა შიდლოვსკა გავიდა. არადა, ევროპის ჩემპიონატზე ორივე პრიზიორს დიდი უპირატესობით ვაჯობე. ჩვენმა მწვრთნელმა არსენ ბალოვმა თქვა - ქეთევანმა ოქრო დაკარგა, ვერცხლი დათმო და ბრინჯაო გაასაჩუქრაო. ცხადია, გული დამწყდა, რადგან კარგად ვიყავი მომზადებული. შეჯიბრების შემდეგ კოტე მახარაძე მოვიდა და დამამშვიდა: არა უშავს, რომ ქეთო და კოტე არ გამოვიდაო. ჩვენი უბადლო ტელეკომენტატორი საბჭოთა ტელევიზიისთვის მედალოსნებზე გადაცემებს ამზადებდა.

### ამბროზიანოს თასი და ვერცხლის ყელსაბამი

**- მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ თქვენ აქტიურ სპორტს თავი დაანებეთ. რა მოხდა?**

- არა. მიუნხენის შემდეგ სამი წელიწადი გამოვდიოდი სარბიელზე. 1973 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გავხდი პირადში, 1974-1975 წლებში პრიზიორი ვიყავი, მილანისა და ლოძის ტურნირები მოვიგე. განსაკუთრებით მილანის ტურნირი იყო საინტერესო 1975 წელს. იქ ტრადიციულად „ამბროზიანოს" თასი გათამაშდა. ქალებს ვძლიე. მთავარი პრიზისთვის მამაკაცებში გამარჯვებულ მასპინძელს - სპირალელის შევხვდი. მაჯობა, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ რევანში ავიღე. მშვიდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა რუსკონიმ საბჭოთა ნაკრების წევრები ვახშამზე მიგვიწვია შინ და ასპარეზობის მთავარი ჯილდო - „ვერცხლის ყელსაბამი" იქ გადმომცა.



ქეთევან ლოსაბერიძე

იმ შეჯიბრების შემდეგ განცხადება დავწერე - ნაკრებიდან გამათავისუფლეთ-მეთქი. ყველას გაუკვირდა. მიზეზი ის იყო, რომ 1974 წელს გავთხოვდი და როგორც ყველა ქალი, მეც დედობაზე ვოცნებობდი. ამიტომ დიდ სპორტს ჩამოვშორდი. 1978 წელს საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ მთხოვა, მომავალი წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის დამეწყო მზადება - სუსტი წერტილი მომიძებნეს: საპრიზო ადგილზე თუ გახვალ, ვაკეში ოროთახიან ბინას მოგცემთო. მაშინ იოლი არ იყო ბინის მიღება. მეც დავყაბულდი.

მალევე აღვიდგინე სპორტული ფორმა, მეორედ მოვიპოვე საბჭოთა კავშირის თასი, კიოლნის ტურნირზეც პირველი ვიყავი. 1979 წლის სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დავიკავე - ნატალია ბუტუზოვამ მაჯობა. იმ წლებში მას, მართლაც, მაღალი შედეგები ჰქონდა. მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი. კათედრის გამგეს - პოლიკარპე ზერაგიას ჩემი წარმატება რომ შეუტყვია, უხუმრია, ბინას უმიზნებდა და როგორ ააცდენდაო.

**- ბინა მართლა მოგცეს?**

- მაშინ ის სახლი ვაკის საცურაო აუზის გვერდით შენდებოდა. სანამ დაასრულებდნენ, ოლიმპიადამაც მოუსწრო. მოსკოვში ჩემპიონობა რომ მოვიპოვე, სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას ვთხოვე, იქნებ, ერთი ოთახიც დამიმატოთ-მეთქი. უარი არ უთქვამთ. 1981 წლის ბოლოს სამოთახიანი ბინა მივიღე.

**- ყველაზე დიდი სიხარული, ალბათ ოლიმპიადაზე მოპოვებულმა „ოქრომ" მოგიტანათ.**

- ნებისმიერი სპორტსმენისთვის ოლიმპიური ჩემპიონობა ოცნებაა. ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ ქალისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება მაინც დედობა გახლავთ. ჩემი თინიკოს დაბადებით გამოწვეულ სიხარულზე უფრო დიდი განცდა მე არ მქონია. თანაც როდის - გათხოვებიდან მეცხრე წელიწადს.

### ფოცხვერის კლანჭი თილისმად

**- ქალბატონო ქეთევან, ვინც თქვენს სასპორტო წარმატებებს გაეცნობა, იფიქრებს, ლოსაბერიძე ყოველთვის პირველობდა და საბჭოთა ნაკრებში პრობლემებიც არ შექმნიაო...**

- კარგად იცით, მაშინ რა დრო იყო. ხშირად სპორტსმენის ბედ-იღბალი „ზემოთ" წყდებოდა. ყოფილა შემთხვევები, როცა დიდ შეჯიბრებაზე არ წავუყვანივართ. ის კი არა, კინაღამ მოსკოვის თამაშებზეც არ გამომიყვანეს. იმ წელიწადს თითქმის ყველა ასპარეზობა მოვიგე. ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზეთ, ერთ-ერთ დისტანციაზე ხელი მომეცარა და საბოლოოდ მესამე ადგილი დავიკავე. გაიმარჯვა ოლგა როგოვამ.

ოლიმპიურ ნაკრებში ერთბაშად ოთხი კანდიდატი აღმოვჩნდით - მე, ბუტუზოვა, როგოვა და რუსტამოვა. არჩევანი ჩემსა და ბუტუზოვაზე შეჩერდა. ატყდა ერთი ამბავი, მსოფლიოს რეკორდსმენ როგოვას გარეთ რატომ ტოვებთო. ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე ჩვენთვის ოფიციალური ტურნირი გამართეს. 2569 ქულა მოვაგროვე და დიდი უპირატესობით მოვუგე კონკურენტს.

**- თავად მშვილდოსნებს როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენთან?**

- ყოველთვის ვცდილობდით, მეგობრულად ვყოფილიყავით ერთმანეთთან. მხოლოდ ეს იყო, ზოგჯერ „ზემოდან" გვიმღვრევდნენ წყალს. როგოვას რომ გამაჯიბრეს, მესამე დღეს ოლგა თავად მოვიდა ჩემთან და მითხრა, ოლიმპიადაზე შენ უნდა გამოხვიდეო. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ერთ ეპიზოდს გიამბობთ: მე და ემა გაპჩენკო საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირიდან ვბრუნდებოდით. თვითმფრინავში გვერდი-გვერდ ვისხედით.

იგი თავის ოჯახზე მიყვებოდა. მითხრა, დედაჩემმა გემრიელი კერძების მომზადება იცის. დღეს მელოდება და ცხელ „შჩის" დამახვედრებს, ერთს გემოზე ჩავხვრეპ და მერე დავიძინებო. მე გამახსენდა ჩემი ბავშვობა, ნაადრევად გარდაცვლილი დედა და თვალები ცრემლით ამევსო. ემას ეს არ შეუმჩნევია - ჩემს მხარზე თავჩამოდებულს უკვე მშვიდად ეძინა. მოსკოვში რომ ჩავფრინდით, გაპჩენკოს ახლობლები დახვდნენ და შინ წაიყვანეს, მე კი მშვილდოსნობის ფედერაციის წარმომადგენლებმა ერთ-ერთ სასპორტო ბაზის საერთო საცხოვრებელში მიმიყვანეს. გული დამწყდა...

**- ცხოვრებაში თილისმა ან სხვა მსგავსი რამ თუ გქონიათ?**

- გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ერთმა რუსმა მშვილდოსანმა ფოცხვერის კლანჭი მაჩუქა, რომელსაც ყველგან თან ვატარებდი; შეჯიბრებისას სტადიონზე ყოველთვის მარჯვენა ფეხით შევდიოდი, დილითაც დღემდე მარჯვენა ფეხით ვდგები და უფლის მადლობელი ვარ!..

ლეგენდარულ ქართველ სპორტსმენზე ამიერიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ წარსულში თუ ვილაპარაკებთ, რადგან სიკეთით გამორჩეულ პიროვნებასა და ულალატო მეგობარს ჯანმრთელობამ უმტყუნა - ქეთევან ლოსაბერიძე 2022 წლის 22 იანვარს 72 წლისა გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

---

### ქეთევან ლოსაბერიძის ხსოვნას



კიდევ ერთი დიდი ოლიმპიელი და ღირსეული მოქალაქე გამოგვაკლდა - 72 წლის ასაკში ვერაგ ვირუსს ემსხვერპლა ქეთევან ლოსაბერიძე: ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მშვილდოსანი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდსმენი, მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

ქეთევან ლოსაბერიძემ მშვილდოსნობაში ვარჯიში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას დაიწყო და ცოტა ხანში ყურადღება მიიქცია, როგორც ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდამ, რომელსაც წინ დიდი სპორტული წარმატებები ელოდა. მისი ოლიმპიური დებიუტი 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა - რამდენიმე ქულა დააკლდა მედლამდე და მეოთხე ადგილი ერგო. მანამდეც და მერეც, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ქეთევანი მაშინდელი საბჭოთა ნაკრების ლიდერის რანგში გამოდიოდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საერთო გამარჯვებებში, ტოლს არ უდებდა უძლიერეს აზიელ მეტოქეებს და ხშირად ამარცხებდა მათ.

სწორედ ქეთევან ლოსაბერიძე იყო პირველი ევროპელი მშვილდოსანი ქალი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ეს მოხდა მოსკოვში, 1980 წლის ოლიმპიადაზე, სადაც, უკვე სოლიდურ ასაკში, იშვიათი ბრძოლის უნარი და დიდი სპორტული ოსტატობა გამოავლინა, ოლიმპიური რეკორდი დაამყარა და ამაყად შედგა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

აქტიური სპორტული ცხოვრების დასრულების შემდეგ, ქეთევან ლოსაბერიძე პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა და, როგორც ნიჭიერ მათემატიკოსს, აქაც წარმატებული კარიერა ჰქონდა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი მათემატიკის კურსი მიჰყავდა. პარალელურად კი, არც სპორტს და მშვილდოსნობას ივიწყებდა - რამდენიმე წელიწადს სათავეში ედგა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციას, თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალბედა მშვილდოსნებს, აქტიურად საქმიანობდა სეოკ-ის ქალთა კომისიაში, რეგულარულად მონაწილეობდა მნიშვნელოვან ოლიმპიურ ღონისძიებებში, ოლიმპიურ მუზეუმში ხშირად მასპინძლობდა საჯარო სკოლების მოსწავლეებს, გატაცებით უყვებოდა მათ ძველ სპორტულ ამბებს, აცნობდა ქართული სპორტის და ოლიმპიური მოძრაობის საინტერესო ისტორიას.

ჩვენი სპორტის წინაშე ქეთევან ლოსაბერიძის დამსახურება აღინიშნა არაერთი ჯილდოთი, მათ შორის - ღირსების, ვახტან გორგასლის მეორე ხარისხის და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენებით, სეოკ-ის ორდენით და მედლით.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# ნადალის მე-14 მეოთხედფინალი, ზვერევის სენსაციური მარცხი...

**რაფაელ ნადალი** ავსტრალიის ღიას მამაკაცთა ტურნირის პირველი მეოთხედფინალისტი გახდა. ესპანელმა ჩოგბურთელმა სამ სეტში დაამარცხა ფრანგი **ადრიან მანარინო** - 7:6(14), 6:2, 6:2. შეხვედრა ორი საათი და 43 წუთი გაგრძელდა.

ამ მატჩის პირველი სეტი მთლიანად ტურნირის მშვენება გახდა. ის საათი და 22 წუთი გაგრძელდა და აქედან 29 წუთი ტაი-ბრეიკმა დაიკავა, რომლის დროსაც ნადალს შვიდი სეტბოლი ჰქონდა, მანარინოს - ოთხი. საბოლოოდ, უფრო მეტად ესპანელს გაუმართლა და მოიგო უმნიშვნელოვანესი სეტი, რის შემდეგაც, უდიდესი უპირატესობა მოიპოვა. მომდევნო ორ სეტში ნადალმა ხუთი ბრეიკი შეასრულა და მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება.

ნადალმა 16 ეისი ჩააწოდა, პირველ მოწოდებაზე მხოლოდ ოთხი ქულა დათმო, 17 ბრეიკპოინტიდან ხუთი გამოიყენა და 22 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ამასთან 42 „ვინერსი" დააგროვა.

ნადალი მეთოთხმეტედ ითამაშებს ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში. აქ მისი მეტოქე კანადელი **დენის შაპოვალოვი** იქნება, რომელმაც მოულოდნელად სამ სეტში მოუგო ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ გერმანელ **ალექსანდრ ზვერევს** - 6:3, 7:6(5) 6:3.

პირველ და მესამე სეტებში კანადელმა თითო ბრეიკის წყალობით მოიგო. მეორე სეტში გერმანელს მოგების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ 5:3-ზე სეტზე ვერ ჩააწოდა.

შაპოვალოვს არ ჰქონია განსაკუთრებული სტატისტიკა - 11 ორმაგი შეცდომა დაუშვა და უფრო მეტი უნებლიე შეცდომა ჰქონდა, ვიდრე „ვინერსი". მაგრამ კიდევ უფრო უარესი მაჩვენებლები დააფიქსირა ზვერევმა. გერმანელმა სულ რაღაც ექვსი ქულა მოიგო მეორე მოწოდებაზე, მხოლოდ 18 „ვინერსი" ჩააგდო და 32 შეცდომა დაუშვა.

შაპოვალოვისთვის ეს არის პირველი მეოთხედფინალი ავსტრალიის ღიაზე. ამ ეტაპზე მას 2020 წელს აშშ-ის ღიაზე უთამაშია, შარშან კი ნახევარფინალში იყო უიმბლდონზე.

ნადალისა და შაპოვალოვის ურთიერთშევედრებში ესპანელი წინ არის - 3:1.

■ ■ ■

ავსტრალიის ღიას ქალთა ტურნირზე პირველი ორი მეოთხედფინალური წყვილი დაკომპლექტდა. კვირას გამართული ოთხივე მერვედფინალი ორ სეტში დასრულდა.

პირველი მეოთხედფინალისტი **მედისონ კისი** გახდა, რომელმაც საათსა და 11 წუთში გაანადგურა ესპანელი **პაოლა ბადოსა** - 6:3, 6:1. ამერიკელი არცერთხელ მდევრის როლში არ ყოფილა. პირველ სეტში კისმა ერთადერთი ბრეიკით მოიგო, მეორეში კი მეტოქის ყველა მოწოდება აიღო და ერთადერთხელ დათმო საკუთარი გეიმი. კისს ჯამში 16 ბრეიკპოინტი ჰქონდა და ხუთი გამოიყენა. ამერიკელმა ამ სეზონში 11 მატჩი ჩაატარა და 10 მოიგო. ის კარიერაში მერვედ გავიდა „დიდი სლემის" მეოთხედფინალში და პირველად ავსტრალიაში 2018 წლის შემდეგ.

კისის მეტოქე მეოთხედფინალში ჩეხი **ბარბორა კრეიჩიკოვა** იქნება, რომელმაც ასევე ოთხი გეიმი წააგო თავის მოწინააღმდეგესთან, ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** - 6:2, 6:2. მატჩი საათი და 22 წუთი გრძელდებოდა.

აზარენკამ შეხვედრაში ერთადერთი ბრეიკი შეასრულა. ის 2:6, 1:2 იყო ჩამორჩენილი, როცა სამედიცინო ტაიმაუტი აიღო. თამაშის განახლების შემდეგ, მან მეტოქის მოწოდება აიღო, მაგრამ 2:2-ზე ზედიზედ ოთხი გეიმი და მატჩი დათმო.

მეორე მეოთხედფინალური წყვილი შეადგინეს ავსტრალიელმა **ეშლი ბარტიმ** და ამერიკელმა **ჯესიკა პეგულამ**.

ბარტის ამ ტურნირზე პირველად შეხვდა დიდი წინააღმდეგობა. პირველი სეტი მან **ამანდა ანისიმოვას** ერთადერთი ბრეიკით მოუგო. მეორე სეტის სტარტზე ავსტრალიელმა ტურნირზე პირველად წააგო საკუთარი მოწოდება და ანისიმოვა 2:0 დაწინაურდა, თუმცა, ბარტიმ იქვე შეასრულა უკუბრეიკი, 3:3-ზე კი ზედიზედ სამი გეიმი მოიგო. 6:4 6:3 და ბარტიმ საათსა და 16 წუთში კარიერაში მესამედ მოიპოვა ავსტრალიის ღიაზე მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

რაც შეეხება პეგულას, მან 7:6(0), 6:3 დაამარცხა ბერძენი **მარია საკარი** და გაიმეორა შარშანდელი შედეგი, როცა განთესვის ნომრის გარეშე გააღწია ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში.

# ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიის წინააღმდეგ

ბრიტანულმა გაზეთმა „სანმა" თავის წყაროზე დაყრდნობით დაწერა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** აპირებს სასამართლოში უჩივლოს ავსტრალიის მთავრობას სასტიკი მოპყრობისთვის. „სასტიკ მოპყრობაში" იგულისხმება ის, რომ ჯოკოვიჩი რამდენიმე დღის განმავლობაში მოათავსეს მელბურნის საკარანტინე სასტუმროში (რომელიც ციხეს უფრო ჰგავდა) ავსტრალიური ვიზის პირველად გაუქმების შემდეგ.

იტყობინებიან, რომ სარჩელის საერთო თანხამ, შესაძლოა, 4.36 მილიონი დოლარი შეადგინოს. ამ თანხაში შედის 3.13 მილიონი დოლარი, რომელიც სერბს შეიძლება გამოემუშავებინა ავსტრალიის ღიას მოგების შემთხვევაში, თუ მას ტურნირზე დაუშვებდნენ.

ამასობაში, ნოვაკის მომავალ კარიერას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ავსტრალიიდან დეპორტაციის შემდეგ, ჯოკოვიჩს ამ ქვეყანაში შესვლაზე სამწლიანი აკრძალვა დაუწესეს. ასე რომ, თუ ავსტრალიის მთავრობა გადაწყვეტილებას არ შეცვლის, მომდევნო ჯერზე ჯოკოვიჩი ავსტრალიის ღიაზე მხოლოდ 2026 წელს ითამაშებს, როცა 38 წლის იქნება.

კითხვის ნიშნის ქვეშ არის სერბის გამოსვლა „დიდი სლემის" მომდევნო ტურნირზე - როლან გაროსზე. საფრანგეთის სპორტის მინისტრმა **როქსანა მარასინიანომ** განაცხადა, რომ ქვეყანაში ყველა სპორტულ ტურნირზე სპორტსმენებისგან ვაქცინაციაზე სერთიფიკატს მოითხოვენ. მათ შორის არის როლან გაროსიც. თუ მაისამდე საფრანგეთის მთავრობა არ შეცვლის ამ გადაწყვეტილებას, ჯოკოვიჩი ვერც პარიზულ ტურნირში ითამაშებს.

სერბისთვის შველა შეიძლება იყოს ტურნირები ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე, მაგრამ აქაც სერიოზული გაურკვევლობაა. Eurosport-ის ექსპერტმა **ბარბარა შეტმა** განაცხადა, რომ ავსტრალიიდან დეპორტაცია ცუდად იმოქმედებს ნოვაკის აშშ-ში თამაშის შესაძლებლობაზე.

*„ავსტრალიიდან დეპორტაციის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლაც არ შეიძლება. საერთოდ, თუ აცრას არ გაიკეთებს, ჯოკოვიჩს პრობლემები ექნება მსოფლიოში გადაადგილების მხრივ. საინტერესოა, გადაიფიქრებს თუ არა ის, რადგან ეს შეიძლება მთელ კარიერად დაუჯდეს. ამ ყველაფერმა შეიძლება ისტორია შეცვალოს"*, - ამბობს შეტი და არ შეიძლება მას არ დაეთანხმო.

დღევანდელი მოცემულობით, ჯოკოვიჩს შეუძლია მხოლოდ „დიდი სლემის" ერთ ტურნირზე - უიმბლდონზე გამოსვლის იმედი ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ გასულ კვირას ბრიტანეთის მთავრობამ ქვეყანაში აუცილებელი კოვიდ-პასპორტების გაუქმების შესახებ გამოაცხადა. თუმცა, კორონავირუსთან დაკავშირებით სიტუაცია მუდმივად იცვლება და არავინ იცის, რა მდგომარეობა იქნება ივნისში. იმ დროისთვის, შესაძლოა, კორონავირუსის მორიგი შტამი აღმოაჩინონ და რეგულაციები ისევ გამკაცრდეს.



კალათბურთი

# სომხეთის ნაკრებს NBA-ის მწვრთნელი გაუძღვება

კალათბურთში სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა **რექს კალამიანი**, რომელიც „დეტროიტ პისტონზის" სამწვრთნელო შტაბში ასისტენტად მუშაობს.

სომხეთის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაცხადა მოლაპარაკებების დასრულების შესახებ ამერიკელ სპეციალისტთან, რომელსაც სომხური ფესვები აქვს.

ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით სომხეთის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს მცირე ქვეყნების ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 28 ივნისიდან 3 ივლისამდე მალტაში გაიმართება.

კალამიანი NBA-ში 30 წელი მუშაობს. ის იყო მთავარი მწვრთნელის ასისტენტი „კლიპერსში", „დენვერში", „მინესოტაში", „საკრამენტოში", „ოკლაჰომასა" და „ტორონტოში".

ჩოგბურთი

# ჯოკოვიჩის უცნაური შენაძენი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შეიძინა დანიური ბიოტექნოლოგიური კომპანია Quant Biol Res-ის აქციათა 80 პროცენტი. ეს დანიური კომპანია კორონავირუსის საწინააღდეგო პრეპარატის შექმნაზე მუშაობს. ინფორმაცია სააგენტო „როიტერმა" გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის მთავრობამ ჯოკოვიჩის დეპორტაცია მოახდინა მას შემდეგ, რაც ფედერალურმა სასამართლომ ძალაში დატოვა ვიზის ანულირების გადაწყვეტილება. ამის გამო, სერბი ჩოგბურთელი ტოვებს ავსტრალიის ღია პირველობას.

კალათბურთი. NBA

# იოკიჩი დაწინაურდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის (MVP) პრიზზე პრეტენდენტთა მორიგი რეიტინგი.

პირველ ადგილზე გადავიდა „დენვერის" ცენტრი **ნიკოლა იოკიჩი**. მან გაუსწრო „მილუოკის" ფორვარდ **იანის ანტეტოკუნმპოს**, რომელიც დიდი ხანი ინარჩუნებდა ლიდერობას.

იოკიჩმა ბოლო მატჩებში ზედიზედ ოთხი სამმაგი დუბლი შეასრულა. ის სეზონის ლიდერია სამმაგი დუბლების რაოდენობით.

რეიტინგში ადგილები გაცვალეს „ფილადელფიას" ცენტრმა **ჯოელ ემბიდმა** და „ბრუკლინის" ფორვარდმა **კევინ დურანტმა**. ახლა ისინი, შესაბამისად, მესამე და მეოთხე ადგილებზე არიან.

ერთი საფეხურით დაქვეითდა და მეათე ადგილზეა „ლეიკერსის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი**.

**მილუოკი-საკრამენტო 133:127**

**27:35, 35:19, 32:32, 39:41**

მ: მიდლტონი (34), ჰოლიდეი (26), დივინჩენცო (20), პილი (17), კონაუტონი (15), ნვორა (10), პორტისი (6+12 მოხსნა).

ს: ბარნსი (29), ჰალიბერტონი (24+12 პასი), დევისი (22+7 მოხსნა), ჰოლმსი (17+7 მოხსნა), ბეგლი (13).

**კლივლენდი-ოკლაჰომა 94:87**

**24:22, 23:23, 31:23, 16:19**

კ: გარლანდი (23+11 პასი), მობლი (15+17 მოხსნა), ალენი (14+13 მოხსნა), ოსმანი (10).

ო: გილჯეს-ალექსანდერი (29+9 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (12), უიგინსი (11), დორტი (10).

**ფინიქსი-ინდიანა 113:103**

**24:25, 35:29, 33:20, 21:29**

ფ: ბრიჯესი (23), ბიიომბო (21+13 მოხსნა), პოლი (18+16 პასი), მაკგი (13+12 მოხსნა), ბუკერი (11+7 მოხსნა).

ი: დუარტე (17), სტივენსონი (17), ბითაძე (16+11 მოხსნა), ლემბი (14+7 მოხსნა), ჯ. ჰოლიდეი (10), ბრისეტი (10).

აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბრუკლინი | 45 | 29 | 16 | 64.4 |
| 2. ჩიკაგო | 44 | 28 | 16 | 63.6 |
| 3. მაიამი | 46 | 29 | 17 | 63.0 |
| 4. მილუოკი | 49 | 30 | 19 | 61.2 |
| 5. კლივლენდი | 47 | 28 | 19 | 59.6 |
| 6. ფილადელფია | 45 | 26 | 19 | 57.8 |
| 7. შარლოტი | 46 | 26 | 20 | 56.5 |
| 8. ტორონტო | 43 | 22 | 21 | 51.2 |
| 9. ვაშინგტონი | 46 | 23 | 23 | 50.0 |
| 10. ბოსტონი | 47 | 23 | 24 | 48.9 |
| 11. ნიუ იორკი | 46 | 22 | 24 | 47.8 |
| 12. ატლანტა | 45 | 20 | 25 | 44.4 |
| 13. ინდიანა | 47 | 17 | 30 | 36.2 |
| 14. დეტროიტი | 45 | 11 | 34 | 24.4 |
| 15. ორლანდო | 47 | 8 | 39 | 17.0 |

დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ფინიქსი | 45 | 36 | 9 | 80.0 |
| 2. გ. სტეიტი | 46 | 33 | 13 | 71.7 |
| 3. მემფისი | 48 | 32 | 16 | 66.7 |
| 4. იუტა | 46 | 30 | 16 | 65.2 |
| 5. დალასი | 46 | 26 | 20 | 56.5 |
| 6. დენვერი | 44 | 23 | 21 | 52.3 |
| 7. ლეიკერსი | 46 | 23 | 23 | 50.0 |
| 8. კლიპერსი | 47 | 23 | 24 | 48.9 |
| 9. მინესოტა | 45 | 22 | 23 | 48.9 |
| 10. პორტლენდი | 45 | 19 | 26 | 42.2 |
| 11. ნიუ ორლეანი | 45 | 17 | 28 | 37.8 |
| 12. საკრამენტო | 48 | 18 | 30 | 37.5 |
| 13. სან ანტონიო | 46 | 17 | 29 | 37.0 |
| 14. ოკლაჰომა | 46 | 14 | 32 | 30.4 |
| 15. ჰიუსტონი | 47 | 14 | 33 | 29.8 |

გვერდი მოამზადა
**გიორგი თვალიაშვილმა**

## ცხელი ხაზი

ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვიჩენცა-ჩიტადელა | 3:3 |
| ლეჩე-კრემონეზე | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მალაგა-იბიცა | 0:5 |
| ბურგოსი-ლეგანესი | 4:0 |
| სპორტინგი-ამორებიეტა | 2:1 |
| ჟირონა-ლუგო | 1:1 |
| უესკა-პონფერადინა | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰანოვერი-დინამო | 0:0 |
| რეგენსბურგი-კილი | 1:2 |
| **ნიდერლანდები** | |
| ვილემი-ტვენტე | 0:1 |
| ნიიმეგენი-ფეიენოორდი | 1:4 |
| ჰერაკლესი-იგლზი | 1:1 |
| ეინდჰოვენი-აიაქსი | 1:2 |
| სპარტა-უტრეხტი | 0:3 |
| ვაალვიკი-სიტარდი | 2:1 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-ბრიუგე | 2:2 |
| უნიონი-გენკი | 2:1 |
| მეხელენი-ანდერლეხტი | 0:1 |
| **პორტუგალია** | |
| სპორტინგი-ბრაგა | 1:2 |
| მარიტიმუ-ბელენენსეში | 1:1 |
| გიმარაეში-ეშტორილი | 3:1 |
| ჟილ ვისენტე-პორტიმონენსე | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| ჰათაია-რიზე | 0:0 |
| ქასიმფაშა-ქაისერი | 3:1 |
| ალთაი-კონია | 0:1 |
| ანტალია-გაზიანთეფი | 0:0 |
| გირესუნი-ალანია | 1:3 |
| გალათასარაი-ტრაბზონი | 1:2 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-ლამია | 0:0 |
| ატრომიტოსი-აეკ | 0:2 |
| ვოლოსი-პაოკ | 0:4 |
| ოლიმპიაკოსი-იანინა | 2:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ ურევს მანჩესტერში?

## კრიშტიანო რონალდო გავლენას ახდენს მანჩესტერ იუნაიტედის გასახდელზე, რანგნიკს კი პოგბას, მარსიალსა და კავანის გაშვება სურს

იტყობინებიან, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდ **კრიშტიანო რონალდოს** ვერ ჩამოუყალიბდა კარგი ურთიერთობა თანაგუნდელებთან.

ინტერნეტგამოცემა The Athletic ირწმუნება, რომ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეს უჭირს საერთო ენის გამონახვა პორტუგალიელთან. **ედინსონ კავანი**, რომელიც ძალიან ცუდად ლაპარაკობს ინგლისურად, უფრო გამაერთიანებელი ფაქტორია, ვიდრე კრიშტიანო.

რონალდოს „იუვენტუსში" ყოფნის დროს, ბევრ ფეხბურთელს, მაგალითად, **პაულო დიბალას** მსგავსი შეგრძნებები ჰქონდა.

ადრე **ლეონარდო ბონუჩიმ** და **ჯანლუიჯი ბუფონმა** აღნიშნეს, რომ „იუვენტუსი" საკუთარ დნმ-ს კარგავდა კრიშტიანო რონალდოს გუნდში ყოფნის გამო. ამტკიცებენ, რომ ახლა იგივე ხდება „მანჩესტერ იუნაიტედში".

ამასობაში, „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელ **რალფ რანგნიკს** კლუბიდან სამი ფეხბურთელის გაშვება სურს.

როგორ გაზეთი Daily Mail იტყობინება, რანგნიკს მიაჩნია, რომ **პოლ პოგბა, ანტონი მარსიალი** და **ედინსონ კავანი** აფუჭებენ ატმოსფეროს გასახდელში, ამიტომაც გუნდმა ისინი პირველ რიგში უნდა მოიშოროს.

პოგბასა და კავანის კონტრაქტები 2022 წლის ზაფხულში იწურება, მარსიალი კი „მანჩესტერ იუნაიტედთან" 2024 წლის ზაფხულამდეა დაკავშირებული, მაგრამ ფრანგს თავად სურს კლუბის დატოვება, რათა მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს.

# ბილეთებზე დიდი მოთხოვნაა

## ყატარი 2022-ის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყო - პირველ დღეს ფიფა-ში 1.2 მილიონი განაცხადი შევიდა

დაიწყო მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის პირველი ეტაპი - ამის შესახებ იტყობინება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა).

ბილეთების გაყიდვის პირველი ეტაპი 8 თებერვლამდე გაგრძელდება. ამ პერიოდში ფეხბურთის მოყვარულებს შეეძლებათ განაცხადები გააკეთონ ფიფა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე. თუ განაცხადების რაოდენობა გადააჭარბებს ბილეთების რაოდენობას, მფლობელები შემთხვევითი წილისყრის მეთოდით გამოვლინდებიან.

პირველივე დღეს ფიფა-ში 1.2 მილიონი განაცხადი შევიდა. ყველაზე მეტი მოთხოვნა იყო ყატარიდან, არგენტინიდან, მექსიკიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ფინალური მატჩის ბილეთებისთვის მთელი მსოფლიოდან შესულია 140 ათასზე მეტი განაცხადი.

ჯგუფური ეტაპის მატჩებზე უცხოელი გულშემატკივრებისთვის ბილეთების ღირებულებაა - 69 დოლარიდან 220 დოლარამდე, ადგილობრივებისთვის - 11 დოლარია. ფინალის ბილეთის ფასია: უცხოელებისთვის - 604-დან 1.6 ათას დოლარამდე, ადგილობრივებისთვის - 206 დოლარი.

11 დოლარი - მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩზე დასასწრები ბილეთის ყველაზე დაბალი ღირებულებაა 1986 წლის ტურნირის შემდეგ. მაშინ მექსიკაში ბილეთის ფასი სამი დოლარი იყო.

ბილეთების რეალიზაციის მეორე ეტაპი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრამდე (1 აპრილი) დაიწყება. გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ ბილეთები „ცოცხალი რიგის" რეჟიმში შეიძინონ.

ყატარში მსოფლიოს ჩემპიონატი 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე გაიმართება.





# ისევ ქურდობა

## ლინდელოფის სახლში ქურდები შეიჭრნენ - ფეხბურთელის ოჯახის წევრები კარადაში დაიმალნენ

პრემიერლიგის მატჩის დროს, რომელშიც „ბრენტფორდი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ხვდებოდნენ ერთმანეთს, ქურდები მანჩესტერელთა მცველ **ვიქტორ ლინდელოფის** სახლში შეიპარნენ.

გაზეთ Daily Mail-ის ინფორმაციით, იმ მომენტში ფეხბურთელის ცოლი **მაია ნილსონი** ბავშვებთან ერთად შინ იმყოფებოდა. როცა ის მიხვდა, რომ სახლში ქურდები შევიდნენ, შვილებთან ერთად კარადაში დაიმალა.

*„მატჩის დროს, მანჩესტერში ჩვენს სახლში ქურდები შემოვიდნენ. შინ მარტო ვიყავი ორ ბავშვთან ერთად, მაგრამ შევძელით კარადაში დამალვა.*

*ყველაფერი წესრიგში გვაქვს, მაგრამ გარემოებების გათვალისწინებით, ცხადია, რომ ძალიან მძიმე და საშიში გამოცდილება იყო.*

*ახლა მთელი ოჯახით შვედეთში ვიმყოფებით",* - განაცხადა შვედი ფეხბურთელის ცოლმა.

# ინტერი დიბალას გადაბირებას გეგმავს

მილანის „ინტერი" „იუვენტუსის" ფორვარდ **პაულო დიბალას** გაფორმებას აპირებს.

გამოცემა La Gazzetta dello Sport ამტკიცებს, რომ „ინტერის" ხელმძღვანელობა ცოტა ხნის წინ დაუკავშირდა ფეხბურთელის აგენტს, რათა განიხილოს შესაძლო გარიგების დეტალები. მილანური კლუბი აპირებს არგენტინის ნაკრების შემტევი ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბიროს.

„ინტერი" მზად არის დიბალას ხუთწლიანი ხელშეკრულება შესთავაზოს წელიწადში 7.5 მილიონი ევროს ოდენობის ხელფასით.

ადრე გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ „იუვენტუსმა" და დიბალამ ვერ შეძლეს მოლაპარაკება ხელშეკრულების გაგრძელებაზე, რომელსაც 2022 წლის ზაფხულში გასდის ვადა.

# ბრაზილიაში არავაქცინირებულები ვერ ითამაშებენ

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ (CBF) ქვეყნის ჩემპიონატში აუცილებელი ვაქცინაციის წესი შემოიღო.

ამ გადაწყვეტილებას შეიცავს სამედიცინო დოკუმენტის ახალი ვერსია, რომელიც კონფედერაციამ 2022 წელს ბრაზილიური ფეხბურთის დასაცავად შეადგინა. ფეხბურთელებს, რომლებსაც არ ექნებათ ვაქცინაციაზე სერთიფიკატი, არ დაუშვებენ ბრაზილიის პროფესიული ლიგების მატჩებზე.

აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილება არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს და კონფედერაციის ინტერესები მხოლოდ ფეხბურთელთა უსაფრთხოებაა.

ბრაზილიის ჩემპიონატში ახალი სეზონი აპრილში დაიწყება.

# რობინიოს ცხრა წელი მიუსაჯეს

რომის საკასაციო სასამართლომ (ბოლო სასამართლო ინსტანცია) უარყო ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფორვარდ **რობინიოს** ადვოკატების აპელაცია და დაადასტურა ცხრაწლიანი პატიმრობა ჯგუფური გაუპატიურებისთვის. ამის შესახებ დაწერა ბრაზილიურმა გაზეთმა OGlobo-მ.

2017 წლის ნოემბერში ყოფილ ფეხბურთელს ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ 2013 წლის 22 იანვარს, იტალიაში მონაწილეობა მიიღო ალბანელი გოგონას ჯგუფურ გაუპატიურებაში, რომელიც ღამის კლუბში თავის 23-ე დაბადების დღეს აღნიშნავდა.

2020 წლის ოქტომბერში რობინიო შეუერთდა მშობლიურ კლუბ „სანტოსს", მაგრამ ოთხი დღის შემდეგ მისი კონტრაქტი გააუქმეს საზოგადოებრივი პროტესტის გამო.

კარიერის განმავლობაში რობინიო თამაშობდა მადრიდის „რეალში", „მანჩესტერ სიტისა" და „მილანში".

# ბაიერნი იანვარში დე იონგის შეძენას აპირებს

„ბარსელონას" ნიდერლანდელი ნახევარმცველი **ფრენკი დე იონგი**, შესაძლოა, „ბაიერნში" გადავიდეს, - იტყობინება გაზეთი Marca.

აღნიშნავენ, რომ გერმანული კლუბის წარმომადგენლები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს ფეხბურთელთან. ისინი აპირებენ ტრანსფერი იანვარში განახორციელონ.

თუ მიუნხენელები ვერ შეძლებენ „ბარსელონასთან" ზამთარში შეთანხმებას, მოლაპარაკებები ზაფხულისთვის გადაიდება. მომავალი კვირა განმსაზღვრელი აღმოჩნდება ფეხბურთელის შემდგომ კარიერაში.

ლა ლიგას მიმდინარე სეზონში დე იონგმა „ბარსელონას" შემადგენლობაში 16 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლითა და ორი შედეგიანი პასით გამოიჩინა თავი.

# მანჩინი ბალოტელის დაუძახებს

თურქული კლუბ „ადანას" ფორვარდი **მარიო ბალოტელი** მალე გამოძახებას მიიღებს იტალიის ნაკრებში. ამის შესახებ თავის „ტვიტერში" დაწერა ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა **ფაბრიციო რომანომ**.

31 წლის ბალოტელიმ მიმდინარე სეზონში 20 მატჩში რვა გოლი გაიტანა და ორი შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

ჟურნალისტმა გაარკვია, რომ იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** გადაწყვიტა ბალოტელისთვის შანსის მიცემა, მით უმეტეს, რომ ტრავმის გამო, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს **ფედერიკო კიეზა**.

ბალოტელის იტალიის ნაკრებში 36 მატჩი აქვს ჩატარებული. ბოლო შეხვედრა 2018 წლის შვიდი სექტემბრით თარიღდება.

# მბაპეს ძმა ავტოავარიაში მოხვდა

„პარი სენ-ჟერმენის" ფორვარდ **კილიან მბაპეს** 15 წლის ძმა **იტან მბაპე** ავტოავარიაში მოხვდა. ინციდენტი პარასკევს პარიზული გუნდის საწვრთნელ ცენტრთან ახლოს, სენ-ჟერმენ-ან-ლეში მოხდა. ამის შესახებ დაწერა გაზეთმა „ეკიპმა".

ავტომობილი Range Rover 4x4, რომელშიც უმცროსი მბაპე მძღოლთან ერთად იმყოფებოდა, Audi-ის მარკის მანქანას შეეჯახა და ამოტრიალდა. პოლიციის ინფორმაციით, Audi-ის მძღოლი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

იტან მბაპე საავადმყოფოში გადაიყვანეს. აღნიშნავენ, რომ მან მსუბუქი ტრავმები მიიღო და მის ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება.

გასული წლის ზაფხულში იტან მბაპემ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „პარი სენ-ჟერმენთან".

გვერდი მოამზადა
**გიორგი თვალიამ**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
შეზღუდვების პირობებში გამოიცემა ორშაბათს და ხუთშაბათს
ISSN 2233-3827
9 772233 382000
კოლორ ჯგუფი დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი პაატა გელაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-18), პაატა გელაშვილი (2018-დან)

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70; გაზეთის გამოწერა: 238 26 73.
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს გამომცემლობა „ლელო", 205262062. სს ბანკი „თიბისი ბანკი" TBCBGE22 ა/ა: GE74TB7793336020100002
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებგვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 577 99 16 51; ადგილზე მიტანა უფასოა!